

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დასავლეთევროპული ენებისა და
ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ფილოლოგია

ელენე ხუსკივაძე

ექსპერიმენტული ლექსიკოგრაფია: ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების კვლევა

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე,

ასოცირებული პროფესორი ნათელა ნემსაძე

თბილისი

2025

აბსტრაქტი

ლექსიკონის გამოყენების კვლევას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი და ამ მიმართულებით ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ხარვეზები ლექსიკონის გამოყენების თვალსაზრისით, რამაც ბევრი მეცნიერი მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ დაიკარგა ლექსიკონის გამოყენების კულტურა, მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებით. ამ პრობლემას ვერც საქართველომ აუარა გვერდი და ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული უნარ-ჩვევების არარსებობა მომხმარებლებში, რამაც ხელი შეუწყო ინგლისური ენის გავლენის გაძლიერებას ქართულ ენაზე, ინგლისურენოვანი ბარბარიზმებისა და კალკების მომრავლებას ენაში.

ჩემთვის, როგორც საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლისათვის ეს პრობლემა კარგადაა ცნობილი. კოლეგებთან გასაუბრებამ კი საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხს უფრო ღრმა კვლევა ესაჭიროებოდა სკოლაში,

ამ ამოცანების გადასაჭრელად ჩატარდა ორი კვლევა სკოლებში. პირველი ექსპერიმენტი ჩატარდა 2024 წლის გაზაფხულზე 24-ე საჯარო სკოლაში, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა სკოლის მოსწავლეებში, ხოლო მეორე მხრივ, სკოლებში ლექსიკონის გამოყენების სწავლების საჭიროების ანალიზი. მეორე კვლევა კი ჩატარდა 2024-2025 წლების დეკემბერ-იანვარში და ამ ფართომასშტაბიანი კვლევის მიზანი იყო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა ლექსიკონების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პირველ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24-ე საჯარო სკოლის მაღალი კლასის 50-მა მოსწავლემ, მეორე კვლევამ კი მოიცვა როგორც თბილისის, ისე რეგიონების საჯარო სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები. გამოიკითხა როგორც ქართული ენის, ისე სხვადასხვა ევროპული და აღმოსავლური ენების მასწავლებლები და ამ ენების შემსწავლელი მოსწავლეები.

ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ენების სწავლებისას ლექსიკონის გამოყენების
კვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა სკოლაში.

Abstract

Research on dictionary use has been conducted since the 1970s, with numerous experiments worldwide. These studies have identified significant shortcomings in dictionary usage, leading many scholars to conclude that the culture of using dictionaries is declining, which has negative consequences. Georgia is not exempt from this issue. Studies conducted in the country have shown that users lack basic dictionary usage skills. This deficiency has contributed to the growing influence of the English language on the Georgian language, resulting in the spread of English-language barbarisms and calques within the latter.

As a public school English teacher, I am acutely aware of the issues discussed in this thesis. Conversations with colleagues ultimately led to a survey of language teachers in public schools.

To address these questions, two studies were conducted in schools. The first experiment took place in the spring of 2024 at Public School No. 24. Its aim was twofold: on the one hand, to identify students' skills in using dictionaries, and on the other, to analyze the necessity of teaching dictionary use in schools. The second study was conducted between December 2024 and January 2025. This large-scale research aimed to survey both school teachers and students regarding the use of dictionaries in the teaching and learning process. The first study involved 50 senior students from Public School No. 24. The second study encompassed both teachers and students from public schools in Tbilisi and various regions of Georgia. It included respondents who teach and learn not only the Georgian language but also various European and Eastern languages.

The experiment I conducted represents one of the first attempts to explore the use of dictionaries in language learning at the school level.

სარჩევი

1. შესავალი	1
2. თავი I	8
3. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	8
4. 1.1 ლექსიკონის გამოყენების ადრეული კვლევები	8
5. 1.2 ლექსიკონის მომხმარებელთა ევროპული კვლევა 29 ქვეყანაში	10
6. 1.3 ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია	12
7. 1.4 კვლევები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოსავლენად.....	13
8. 1.5 ლექსიკონის გამოყენების კვლევები საქართველოში	15
9. 1.6 ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები	18
10. 1.7 დასკვნა	19
11. თავი II	20
12. ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ინგლისური ენის შემსწავლელელებში: პოლისემია, კონვერსია (ექსპერიმენტის შედეგები)	20
13. 2.1 შესავალი	20
14. 2.2 ექსპერიმენტი	22
15. 2.3 კვლევის პროცესი	23
16. 2.3.1 კვლევის პირველი ეტაპი	23
17. 2.3.2 კვლევის მეორე ეტაპი	30
18. 2.4 კვლევის შედეგები	34
19. 2.5 კვლევის შედეგების ანალიზი	36
20. 2.6 დასკვნა	37

21. თავი III	39
22. ლექსიკონის ქართველ მომხმარებელთა კვლევა სკოლებში: მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები	39
23. 3.1 შესავალი	39
24. 3.2 ქ. თბილისის საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები	41
25. 3.3 რეგიონების საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები	68
26. 3.4 აღმოსავლური ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები	80
27. 3.5 დასკვნა	83
28. თავი IV	85
29. ლექსიკონის ქართველ მომხმარებელთა კვლევა სკოლებში: მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები	85
30. 4.1 ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები	85
31. 4.1.1 შედეგების ანალიზი.....	94
32. 4.2 საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგების შედარებითი ანალიზი	96
33. 4.3 რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები	97
34. 4.4 აღმოსავლური ენების შემსწავლელთა გამოკითხვის შედეგები	109
35. 4.5 გამოკითხვის შედეგების ანალიზი	141
36. საერთო დასკვნა და რეკომენდაციები	143
37. მითითებული ლიტერატურა	152

შესავალი

ჩემი სადისერტაციო კვლევა განეკუთვნება თეორიული ლექსიკოგრაფიის, ანუ მეტალექსიკოგრაფიის იმ მიმართულებას, რომელსაც ეწოდება ლექსიკონის გამოყენების კვლევა, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა (Research on Dictionary Use). ჩემი, როგორც საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის ლექსიკოგრაფიის მიმართულების სტუდენტის დაინტერესება თეორიული ლექსიკოგრაფიის ამ მიმართულებით, განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

2022 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში უცხოური ენების სწავლების სავალდებულო მეთოდად შეიტანა ლექსიკონების, განსაკუთრებით, ორენოვანი ლექსიკონების გამოყენება. ეს გადაწყვეტილება იყო იმ ვითარების გამოსწორების მცდელობა, რაც შეიქმნა უცხოური ენების სწავლების ახალი მეთოდების შედეგად, რომლებიც გავრცელდა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. ამ მეთოდებმა უარყვეს მშობლიური ენის გამოყენება უცხოური ენების სწავლების პროცესში და შესაბამისად შეიზღუდა ორენოვანი ლექსიკონების გამოყენება ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონების სასარგებლოდ. ქართველი ლექსიკოგრაფის, თ. მარგალიტაძის აზრით, ის დიდი გავლენა, რაც ინგლისურ ენას აქვს თანამედროვე ქართულ ენაზე, ბარბარიზმებისა და კალკების მომრავლება, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ბოლო 10 წელში გამოიკვეთა, დიდწილად უცხოური ენების, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების მეთოდებითაა განპირობებული (Margalitadze, 2018; 2020).

იტალიელი ლექსიკოგრაფი მარტინა ნიდი, თავის პლენალურ მოხსენებაში, რომელიც წაიკითხა ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-20 კონგრესზე გერმანიაში, აღნიშნავს, რომ ორენოვანი ლექსიკონების აკრძალვამ უცხოური ენების სწავლებისას მნიშვნელოვნად შეამცირა ინტერესი ლექსიკონებისადმი, რადგან ლექსიკონებს, კერძოდ

ორენოვან ლექსიკონებს ყველაზე ხშირად სწორედ უცხოური ენების სწავლებისას იყენებდნენ (Nied, 2022).

სამხრეთ აფრიკელი ლექსიკოგრაფი რუფუს გოუვსი, იმავე კონგრესზე 2022 წელს საუბრობს ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვაზე და იმ უარყოფით გავლენებზე რასაც ეს ფაქტი ახდენს ეროვნულ ენებზე (Gouws, 2022). ამდენად, ლექსიკოგრაფიის მიმართ ინტერესის დაკარგვა საერთაშორისო პრობლემად იქცა და ლექსიკონების გამოყენება და უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად გადაეჯაჭვა ერთმანეთს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

ბევრმა ენობრივმა საზოგადოებამ დაიწყო ამ პრობლემის გაცნობიერება და შესაბამისი ზომების მიღება მის გამოსასწორებლად. ზემოხსენებული განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ამგვარ ზომად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, დარგობრივ მახასიათებელში ამ ცვლილების შეტანა პრობლემას ავტომატურად ვერ მოაგვარებს, მით უფრო რომ მან ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენი განათლების სისტემაში. პრობლემას ართულებს ის გარემოებაც, რაზეც მიუთითებს მარტინა ნიდი ზემოთხსენებულ სტატიაში. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად მასწავლებლებიც არ არიან მზად რომ ლექსიკონის გამოყენების კულტურა დააბრუნონ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, უფრო მეტიც, ისინი ხშირად ვერც კი ხვდებიან ლექსიკონის გამოყენების საჭიროებას (Nied, 2022; Margalitadze and Meladze, 2023). ჩემთვის, როგორც ინგლისური ენის მასწავლებლისთვის, ეს პრობლემები კარგადაა ნაცნობი, ასევე, კარგადაა ნაცნობი მასწავლებლების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, რამაც მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ამ პრობლემის უფრო ღრმა კვლევა სკოლაში.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები.

ამდენად ჩემი სადისერტაციო კვლევის მიზანია ლექსიკონის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა საქართველოს სკოლებში ექსპერიმენტის გზით, კერძოდ, ერთი მხრივ, მოსწავლეების მიერ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოკვლევა, ხოლო მეორე მხრივ, ლექსიკონების მიმართ სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულების

შესწავლა ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვის საფუძვლების უკეთ გამოვლენის მიზნით.

ამდენად, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევით დაინტერესება სკოლებში არის განპირობებული როგორც საკითხის თეორიული ასპექტებით, ისე ამ პრობლემის პრაქტიკული მხარით, რადგან მისი მიზანია ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება საქართველოს სკოლებში, რაც ასევე უნდა აისახოს ქართული ენის ცოდნის დონეზე და დაიცვას ქართული ენა ინგლისური ენის მოჭარბებული გავლენისგან.

კვლევის მიზანმა განსაზღვრა კვლევის შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა სკოლის მოსწავლეებში ექსპერიმენტის გზით;
2. სკოლის მოსწავლეებისათვის ლექსიკონის გამოყენების სწავლების საჭიროებისა და ეფექტურობის კვლევა;
3. მასწავლებლების დამოკიდებულების შესწავლა როგორც ზოგადად ლექსიკონებისადმი, ისე მათი გამოყენებისადმი ენების სწავლების პროცესში;
4. სკოლის მოსწავლეების დამოკიდებულების გამოკვლევა როგორც ლექსიკონების მიმართ, ისე მათი გამოყენების მიმართ ენების სწავლის პროცესში.

ამ ამოცანების გადასაჭრელად ჩატარდა ორი კვლევა სკოლებში. პირველი ექსპერიმენტი ჩატარდა 2024 წლის გაზაფხულზე 24-ე საჯარო სკოლაში, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა სკოლის მოსწავლეებში, ხოლო მეორე მხრივ, სკოლებში ლექსიკონის გამოყენების სწავლების საჭიროების ანალიზი. მეორე კვლევა კი ჩატარდა 2024-2025 წლების დეკემბერ-იანვარში და ამ ფართომასშტაბიანი კვლევის მიზანი იყო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა ლექსიკონების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პირველ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24-ე საჯარო სკოლის მაღალი კლასის 50-მა მოსწავლემ, მეორე კვლევამ კი მოიცვა როგორც თბილისის, ისე რეგიონების საჯარო

სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები. გამოიკითხა როგორც ქართული ენის, ისე სხვადასხვა ევროპული და აღმოსავლური ენების მასწავლებლები და ამ ენების შემსწავლელი მოსწავლეები.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა ახალი მიმართულებაა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული კვლევები ჩატარდა გასულ წლებში, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი და პრობლემა გასაანალიზებელი და შესასწავლი (Margalitadze and Meladze, 2023). რაც შეეხება ამ საკითხების კვლევას სკოლებში, ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი და გამოკითხვა არის სკოლებში ლექსიკონის გამოყენების შესწავლის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, რაც განსაზღვრავს თემის **აქტუალობას**.

ნაშრომის **მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს საკითხის მრავალმხრივ და კომპლექსურ შესწავლაში, კერძოდ, გამოიკითხა დედაქალაქისა და რეგიონების მასწავლებლები და მოსწავლეები, რომლებიც სხვადასხვა უცხო ენას ასწავლიან და სწავლობენ, შედარდა და შეჯერდა მათი პასუხები; ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელიც სამი კვირა გრძელდებოდა და კარგად წარმოაჩინა როგორც ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები სკოლის მოსწავლეებში, ისე ლექსიკონის გამოყენების სწავლების საჭიროება და მეთოდოლოგია. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგიის რეფორმირების პროცესში. კვლევის შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის მოდულს, რომლის მიზანიც იქნება ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება სკოლის მოსწავლეებში სპეცილურად შექმნილი სავარჯიშოების მეშვეობით. კვლევაში გამოყენებული მეთოდები და თავად ჩატარებული ექსპერიმენტები შეიძლება გამოყენებული იქნეს ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან სამუშაოდ.

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ამ მიმართულებით გამოცემული წამყვანი ევროპელი და ქართველი ლექსიკოგრაფების შრომებს: მ. რანდელი (Rundell, 1999), ი. კოსემი (Kosem et al., 2018), რ. ლევი (Lew 2002; 2011), ს. ატკინსი (Atkins, 1998), თ. მარგალიტაძე და გ. მელაძე (Margalitadze and Meladze, 2023).

პირველ ექსპერიმენტში გამოვიყენე ნიუ ჯერსისა და სლოვენის უნივერსიტეტების პროფესორების მიერ შემუშავებული საკვლევი მასალა (Farina et al., 2019.).

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილისთვის მივმართე გამოკითხვის მეთოდს, რომელიც კვლავ ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად ლექსიკონის გამოყენების შესასწავლად ჩატარებულ კვლევებში. ამ მიზნით გამოვიყენე უნგრელი მეცნიერის კ. მარკუსის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომლის საფუძველზეც მან გამოიკვლია ინგლისური და გერმანული ენების სწავლების პროცესში ლექსიკონების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები უნგრულ უნივერსიტეტებში (P. Márkus et al., 2023.). კითხვარი ითარგმნა ქართულად და მოხდა მისი ადაპტაცია ქართული სკოლის რეალობასთან და საქართველოში ლექსიკონების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან. კვლევაში ძირითადად მივმართე რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, რომელიც, რიგ შემთხვევაში, ზუსტდებოდა თვისობრივი მეთოდით, კერძოდ მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისა და ინტერვიუს გამოყენებით.

კვლევის შედეგების ანალიზისათვის გამოვიყენე პლატფორმა “სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის” (SPSS 27.0 ვერსია), რომლის დახმარებითაც დავიანგარიშე პასუხების საშუალო მაჩვენებელი (mean score) და სტანდარტული გადახრა (standard deviation). კვლევისა და პასუხების შინაგანი შეთანხმებულობის გასაზომად, კვლევის სანდოობის დასაანგარიშებლად და გასაანალიზებლად კი გამოვიყენე კრონბახის ალფა კოეფიციენტი (Cohen et al. 2007). გამოკითხვის დროს გამოყენებული იყო Google Form-ის პლატფორმა.

ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებმა და ამოცანებმა განსაზღვრეს მისი სტრუქტურა, რომელიც შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

შესავალში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები, მისი აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

დისერტაციის პირველ თავში მიმოხილულია ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, გაანალიზებულია კვლევის ძირითადი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. პირველი თავი იყოფა შემდეგ ქვეთავებად:

- 1.1 ლექსიკონის გამოყენების ადრეული კვლევები;
- 1.2 ლექსიკონის მომხმარებელთა ევროპული კვლევა 29 ქვეყანაში;
- 1.3 ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია;
- 1.4 კვლევები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოსავლენად;
- 1.5 ლექსიკონის გამოყენების კვლევები საქართველოში;
- 1.6 ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები;
- 1.7 დასკვნა.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია 24-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტი და მისი შედეგები. ეს თავიც დაყოფილია შემდეგ ქვეთავებად:

- 2.1 შესავალი;
- 2.2 ექსპერიმენტი;
- 2.3 კვლევის პროცესი;
- 2.3.1 კვლევის პირველი ეტაპი;
- 2.3.2 კვლევის მეორე ეტაპი;
- 2.4 კვლევის შედეგები;

2.5 კვლევის შედეგების ანალიზი;

2.6 დასკვნა.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე და მეოთხე თავები ეთმობა კვლევას, რომლის მიზანი იყო საჯარო სკოლების ენების მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა ლექსიკონების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მესამე თავი იყოფა შემდეგ ქვეთავებად:

3.1 შესავალი;

3.2 ქ. თბილისის საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;

3.3 რეგიონების საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;

3.4 აღმოსავლური ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;

3.5 დასკვნა

მეოთხე თავში კი გამოყოფილია შემდეგი ქვეთავები:

4.1 ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები;

4.1.1 შედეგების ანალიზი;

4.2 საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგების შედარებითი ანალიზი;

4.3 რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები;

4.4 აღმოსავლური ენების შემსწავლელთა გამოკითხვის შედეგები;

4.5 გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

ნაშრომს დართული აქვს საერთო დასკვნა, რომელშიც ასახულია ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომში წარმოდგენილია 12 ცხრილი და 66 სურათი. ნაშრომს ასევე დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ლექსიკოგრაფიამ, როგორც დარგმა, განვითარების ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გზა განვლო. შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები, ერთენოვანი ანუ განმარტებითი, ორენოვანი ანუ თარგმნითი, ეტიმოლოგიური, სინონიმების, ანტონიმების, ფრაზული ზმნების, იდიომების, სლენგის, დიალექტების, დარგების საჭიროებებიდან გამომდინარე უფრო და უფრო აქტუალური გახდა დარგობრივი ლექსიკოგრაფია, განვითარდა სასწავლო ლექსიკოგრაფია და სხვა. თუ პრაქტიკული ლექსიკოგრაფია ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა, რადგან ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ მეზობელი ხალხების ენები და ცდილობდნენ ორენოვანი სიტყვათა სიების შედგენას, თეორიული ლექსიკოგრაფია, ანუ მეტალექსიკოგრაფია, შედარებით გვიან განვითარდა (Wiegand, 1984). თეორიული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი კომპონენტია ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა, რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კვლევების საჭიროებაზე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ამახვილებდა ყურადღებას ინგლისელი ლექსიკოგრაფი სემუელ ჯონსონი (1755). 70-იანი წლებიდან დღემდე ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში, რომლის მიზანიც იყო აღნიშნული პრობლემის შესწავლა სხვადასხვა თვალსაზრისით.

1.1. ლექსიკონის გამოყენების ადრეული კვლევები.

კვლევების ადრეულ ეტაპზე ერთ-ერთი ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ რისთვის იყენებდნენ ლექსიკონებს მომხმარებლები. 1962 წელს კ. ბარნჰარტმა (Barnhart 1962) ჩაატარა ერთ-ერთი პირველი მასშტაბური კვლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 27 შტატის 50,000-ზე მეტმა სტუდენტმა, რომელთათვისაც ინგლისური იყო მშობლიური ენა. როგორც გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, სტუდენტები ლექსიკონებს ძირითადად იყენებდნენ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად, უფრო იშვიათად სიტყვის მართლწერის დასაზუსტებლად ან სინონიმების

და საილუსტრაციო მასალის მოსაძიებლად. ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მათი დაინტერესება ეტიმოლოგიით.

1973 წელს რ. კვერკმა (Quirk 1973) ჩაატარა გამოკითხვა დიდ ბრიტანეთში. ამჯერადაც გამოკითხვის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რისთვის იყენებდნენ მომხმარებლები ლექსიკონებს. მან გამოკითხვა ჩაატარა ბრიტანულ უნივერსიტეტებში და ამ კვლევაში მონაწილეობდა 220 სტუდენტი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ბრიტანეთშიც სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად მიმართავდნენ ლექსიკონებს, უფრო იშვიათად ლექსიკონებს იყენებდნენ მართლწერისთვის ან თამაშებისთვის.

საინტერესო იყო ს. გრინზაუმისა და მისი კოლეგების მიერ 1984 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკითხვა, რომელიც რ. კვერკის კვლევას დაეფუძნა (Greenbaum et al. 1984). გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელი სტუდენტები უფრო ხშირად მიმართავდნენ ლექსიკონებს, ვიდრე ბრიტანელი სტუდენტები, ასევე რომ ისინი უფრო მეტ ლექსიკონს იყენებდნენ, ვიდრე ბრიტანელები. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამერიკელი სტუდენტები ლექსიკონებს უფრო ხშირად სიტყვის მართლწერის დასაზუსტებლად მიმართავდნენ.

მკვლევრების დაინტერესება ლექსიკონების გამოყენების საკითხებით უცხოური ენების შემსწავლელელებში იწყება 1979 წელს ჯ. ტომასჩუკის მიერ ჩატარებული გამოკითხვით (Tomaszczyk 1979). გამოკითხვა ჩატარდა პოლონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისური ენის შემსწავლელ უცხოელ სტუდენტებთან და მასში მონაწილეობდა 16 სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელი 400-ზე მეტი სტუდენტი. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტები იყენებდნენ როგორც ორენოვან, ისე განმარტებით ლექსიკონებს. თარგმნის დროს ისინი ძირითადად იყენებდნენ ორენოვან ლექსიკონებს მიუხედავად ინგლისური ენის ცოდნის დონისა. ლექსიკონებს ძირითადად მიმართავდნენ მნიშვნელობის გასაგებად, სინონიმების მოსაძიებლად, ასევე მართლწერისა და წარმოთქმისთვის.

1987 წელს ა. ბეჟუანმა და ა. მულინმა (Bejoint and Moulin 1987) შეისწავლეს ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ფრანგ სტუდენტებში,

რომლებიც ეუფლებოდნენ ინგლისურ ენას. აღმოჩნდა, რომ ისინი უპირატესად ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებს იყენებდნენ, რადგან არ ჰქონდათ ინფორმაცია სხვა ლექსიკონების არსებობის შესახებ. ისინი ვერ იყენებდნენ სრულად ლექსიკონებში შეტანილ ინფორმაციას, რადგან მათ ეს ცოდნა არ ჰქონდათ. სტუდენტები ლექსიკონებს ძირითადად იყენებდნენ თარგმნის დროს და ტექსტების კითხვის დროს.

ბ. ატკინსის მიერ 1998 წელს ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა კვლევამ ევროპის 7 ქვეყანაში გამოავლინა, რომ გამოკითხული სტუდენტების 60 პროცენტს არ ჰქონდა ლექსიკონის სწორად გამოყენების ცოდნა (Atkins 1998). მისმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სტუდენტები ორენოვან ლექსიკონებს უფრო ხშირად იყენებდნენ, ვიდრე განმარტებით ლექსიკონებს.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევის საინტერესო მიმართულებაა ექსპერიმენტები, რომელთა მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რომელი ტიპის ლექსიკონია ყველაზე ეფექტური უცხოური ენების სწავლების პროცესში, განმარტებითი, ორენოვანი, თუ შერეული, განმარტებით-ორენოვანი (Laufer and Hadar 1997; Chen 2007). ეს კვლევა 2016 წელს გაიმეორა საქართველოში ა. კაპანაძემ (კაპანაძე, 2017).

1.2. ლექსიკონის მომხმარებელთა ევროპული კვლევა 29 ქვეყანაში.

2018 წელს ევროპელმა ლექსიკოგრაფებმა ჩატარეს მასშტაბური კვლევა ლექსიკონის გამოყენების კულტურაზე (Kosem et al. 2018). ამ კვლევასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: მსგავსი კვლევების მონაწილეები თითქმის ყოველთვის იყვნენ სტუდენტები, მასწავლებლები, ან ენის ექსპერტები. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ აკადემიური კვლევის დროს სტუდენტთა მასა ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით თუ ეს კვლევა ტარდება კითხვარის მეშვეობით. ზემოხსენებული კვლევის მესვეურებმა მიიღეს გადაწყვეტილება კვლევა არ ჩატარებულყო მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, არამედ კვლევაში ჩაერთოთ ფართო საზოგადოება. ევროპული კვლევის სიახლე მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ მასში მონაწილეობას იღებდა ყველა, განურჩევლად ასაკისა, სოციალური სტატუსისა თუ განათლებისა, არამედ საინტერესო იყო ისიც, რომ აღნიშნულ

კვლევაში მონაწილეობდნენ ისინიც, რომელთა საქმიანობა არ არის უშუალოდ დაკავშირებული ლექსიკონის გამოყენებასთან.

კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ენაზე. კითხვარების თარგმნისა და სხვადასხვა ქვეყნის სპეციფიკასთან მორგების პროცესში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ლექსიკოგრაფები და ექსპერტები, სულ 29 ქვეყნის 58 ექსპერტი იღებდა ამ კვლევაში მონაწილეობას. აღნიშნულ კვლევაში საქართველო ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა იყო.

კვლევის ძირითადი ფოკუსი იყო განმარტებითი ლექსიკონები, თუმცა კითხვარში ასევე შედიოდა კითხვები სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შესახებ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ზოგიერთ ენას რამდენიმე განმარტებითი ლექსიკონიც კი აქვს. ამ ენებს მიუკუთვნება ენები, რომლებზეც შედარებით მეტი ადამიანი საუბრობს, მაგალითად, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ასევე ბერძნული და დანიური ენებიც. ამის პარალელურად, არსებობს ენები, რომლებსაც მხოლოდ ერთი განმარტებითი ლექსიკონი აქვთ. მათ შორისაა ქართული, ესტონური, ფინური, სლოვენური და მისთ.

საინტერესო იყო ასევე ლექსიკონის გამოყენების ფორმატი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ ქვეყნებში, როგორებიცაა, მაგალითად, საქართველო, ხორვატია, ავსტრია, საფრანგეთი, ისრაელი, იტალია, მაკედონია, პორტუგალია რუმინეთი და სერბეთი, ციფრული ლექსიკონების სიმწირეა, მაგრამ შეინიშნება მათი ზრდის ტენდენცია.

კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი, რომელიც კვლევის დროს გამოიკვეთა არის შემდეგი. ქვეყნებში, როგორებიცაა ავსტრია, ბელგია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, პორტუგალია, სლოვენია, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება სპეციალურად არის შეტანილი სასწავლო კურიკულუმში, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს.

კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანა ერთ პრაქტიკას თუ ტენდენციას იზიარებს. ლექსიკონის მოხმარების კვლევა ძალიან დაბალ დონეზეა ან ამის პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს. გამონაკლისია მხოლოდ გერმანია და დანია. გერმანიაში სპეციალური სამეცნიერო ცენტრიც კი არსებობს ამისთვის.

კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა სპეციალური ვებსაიტი, სადაც დაინტერესებულ მომხმარებლებს პირდაპირ შეეძლოთ კითხვარის შევსება მათ მშობლიურ ენაზე (Kosem et al. 2018).

1.3. ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა თავდაპირველად ტარდებოდა კითხვარების მეშვეობით. კვლევის წარმმართველები ან აძლევდნენ კითხვარებს იქვე მყოფ ცდისპირებს, ან უგზავნიდნენ ელექტრონულ ფორმატში. კითხვარების მეთოდი მეტად პოპულარული იყო და მისი ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა იყო ის, რომ კითხვარების მეშვეობით ბევრი ცდისპირის გამოკითხვა იყო შესაძლებელი. თუმცა ამ მეთოდს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მკვლევრებს არ ჰქონდათ საშუალება დაკვირვებოდნენ ცდისპირებს კითხვარის შევსების დროს. ამდენად, მკვლევარი ვერ აფასებდა იმას, თუ რამდენად სწორად გაიგო კითხვები გამოკითხვაში მონაწილე პირმა. ტრადიციული მეთოდის კრიტიკოსები უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ თვისობრივი კვლევის მეთოდებზე (Labov 1972; Lew 2002).

კითხვარების გარდა განვითარდა გამოკითხვის ალტერნატიული გზებიც ლექსიკონის მომხმარებლების გამოსაკვლევად. ეს არის პირდაპირი დაკვირვების, ობზერვაციის მეთოდი, როდესაც კვლევის წარმმართველი უშუალოდ აკვირდება ცდისპირის ქცევას და ამდენად უფრო სანდო ინფორმაციას მოიპოვებს (Hatherall, 1984).

უ. უინგეიტმა აღწერა კვლევის კიდევ ერთი ალტერნატიული მეთოდი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ცდისპირს სთხოვენ ხმამაღლა თქვას ის, რის გაკეთებასაც აპირებს დავალების შესრულების დროს (Wingate 2002). ცხადია, შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, რაც უფრო ეფექტური იქნება და უკეთესი და საიმედო შედეგების მიღების საშუალებას იძლევა.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო ლექსიკონის მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა ლექსიკონებისადმი და მათი სურვილების გათვალისწინება ლექსიკონის ხარისხისა და სტრუქტურის

გასაუმჯობესებლად. მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ეს ემპირიული კვლევები გამოიწვევდა მნიშვნელოვან წინსვლას ლექსიკოგრაფიაში, რაც, ერთი მხრივ, გამოავლენდა ლექსიკონის მომხმარებლის ზუსტ რაოდენობას, ხოლო მეორე მხრივ აღწერილი პროცესი საფუძვლად დაედებოდა ლექსიკონზე მუშაობას მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით. მართლაც, ლექსიკონის მომხმარებლებზე ორიენტაცია, მათი საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების ანალიზი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების დაგეგმვის, ლექსიკონების სამეცნიერო აპარატის შემუშავებისა და შედგენის პროცესში.

1.4. კვლევები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოსავლენად.

ლექსიკონის გამოყენების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკონის მომხმარებლების უნარ-ჩვევების გამოვლენის საკითხები (Nied Curcio 2022; Gouws 2022). ამ თემაზე ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ლექსიკონის მომხმარებლის უმეტესმა ნაწილმა არ იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ნაშრომი ეფექტურად და როგორ მიიღოს მასში ჩადებული ინფორმაციის მაქსიმუმი.

ლექსიკონის გამოყენებაზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ლექსიკონის მომხმარებელს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევები. ეს უნარ-ჩვევები მოიცავს გარკვეულ ლინგვისტურ კომპეტენციას, ლექსიკოგრაფიულ ცოდნას და პრაგმატულ უნარ-ჩვევებს. თუმცა, ამ კვლევებმა ასევე გამოავლინა, რომ ენის შემსწავლელებს, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული უნარ-ჩვევები, ვერ პოულობენ პოლისემიური სიტყვების კონტექსტუალურ მნიშვნელობას ლექსიკონის დახმარებით და სიტყვა-სტატიის მხოლოდ პირველი მნიშვნელობის ნახვით შემოიფარგლებიან. ასევე მომხმარებელს უჭირს კონტექსტში სიტყვის სწორი მეტყველების ნაწილის დადგენა, ომონიმების გამიჯვნა და სწორი კონტექსტუალური ომონიმის შერჩევა. ეს საკითხები გამოიკვეთა, როგორც ყველაზე პრობლემური (Margalitadze and Meladze, 2023; Margalitadze and K. Markus, 2024).

ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების მაგალითია ე. მიჩელის კვლევა, რომელიც მან ჩაატარა 1983 წელს სკოლის მოსწავლეებზე (Mitchell 1983). მკვლევარმა

აღმოაჩინა, რომ მოსწავლეები ძალიან ცოტა დროს ხარჯავდნენ სიტყვის მოძიებაზე ლექსიკონში, არ კითხულობდნენ სიტყვა-სტატიაში შეტანილ საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებს, ვერ იგებდნენ რომელი მეტყველების ნაწილი იყო სამიზნო სიტყვა, არ იცოდნენ რა არის ომონიმია. შესაბამისად, ისინი ირჩევდნენ არასწორ ომონიმს, არასწორ მეტყველების ნაწილს, სიტყვის მნიშვნელობას ვერ იგებდნენ სწორად და შეცდომით თარგმნიდნენ.

იაპონელმა მკვლევარმა ტონომ, 1984 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ სტუდენტები სიტყვის მნიშვნელობის ძიებისას კითხულობდნენ მხოლოდ პირველ განმარტებას და თავს არიდებდნენ სხვა მნიშვნელობების ანალიზს (Tono 1984). ექსპერიმენტი ჩატარდა ინგლისური ენის შემსწავლელ იაპონელ სტუდენტებთან.

საგულისხმოა მ. რანდელის მიერ 1999 წელს ჩატარებული გამოკითხვა, რომელმაც ნათლად აჩვენა, რომ ისინი, ვისაც არ ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, შემოიფარგლებოდნენ სიტყვა-სტატიის მხოლოდ პირველი განმარტებით, ხოლო ისინი, ვინც ისწავლა ლექსიკონის გამოყენება, უკეთეს შედეგებს აჩვენებდა ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულებაში (Rundell 1999). მ. რანდელის ამ ექსპერიმენტმა კარგად გამოავლინა ლექსიკონის გამოყენების სწავლების აუცილებლობა.

მკვლევრებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ბევრ ქვეყანაში დაიკარგა ლექსიკონის გამოყენების კულტურა, რასაც თავისი უარყოფითი შედეგები აქვს (Nied Curcio 2022; Gouws 2022).

ლექსიკონის მომხმარებლებისა და ლექსიკონის მოხმარების მიმართულებით ჩატარებული კვლევებიდან, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევებზე ჩატარებული კვლევები. თითქმის ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ის მომხმარებელი, ან ენის შემსწავლელი, რომელსაც ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, ბევრად უკეთ იღებს ლექსიკონიდან სათანადო ინფორმაციას,

ბევრად უკეთ ასრულებს ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებულ დავალებებს და უკეთ იგებს და იმახსოვრებს უცხო ენის სიტყვებს.

1.5. ლექსიკონის გამოყენების კვლევები საქართველოში.

ლექსიკონის ქართველი მომხმარებლის კვლევის მიმართულებით რამდენიმე საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარდა საქართველოშიც. ზოგიერთი მიზნად ისახავდა ქართული მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენას ლექსიკონების მიმართ. სხვა კვლევები უფრო სპეციფიკური იყო და სწავლობდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების - ერთენოვანი, ორენოვანი ან კომბინირებული - ეფექტურობას ინგლისური ენის სწავლების პროცესში (კაპანაძე 2017). განსაკუთრებით საინტერესოა ის ექსპერიმენტები, რომლებიც ცდილობდნენ გამოეკვლიათ ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა მიერ ლექსიკონის გამოყენების უნარები (Margalitadze and Meladze 2023). საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა იგივე სურათი გამოავლინა, რაც უცხოეთში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა. ხშირ შემთხვევაში, ქართველ ახალგაზრდებსაც არა აქვთ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები, უჭირთ ნავიგაცია სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში, არ იციან რა სახის ინფორმაცია შეიძლება მოიძიონ ლექსიკონებში, როგორი ტიპის ლექსიკონები არის შექმნილი ქართული ენისათვის და სხვა. ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვამ ბევრი პრობლემა შეუქმნა ქართულ ენას, სწორედ მას უკავშირებს თ. მარგალიტაძე თანამედროვე ქართულ ენაში ინგლისური ენის გავლენით მიმდინარე პროცესებს კერძოდ, ბარბარიზმებისა და კალკების მომრავლებას (Margalitadze 2018; 2020).

ამდენად, ლექსიკონის გამოყენების საკითხი არ არის მხოლოდ თეორიული საკითხი, რომელიც შეიძლება საინტერესო იყო მკვლევართა ერთი ჯგუფისთვის, ეს საკითხი იქცა მეტად აქტუალურ თემად, რადგან მას უკავშირდება თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე არასწორი პროცესები. საკითხის ასეთმა აქტუალურობამ განაპირობა ის, რომ, როგორც აღინიშნა, ლექსიკონის, განსაკუთრებით ორენოვანი ლექსიკონის, გამოყენება ერთ-ერთ აუცილებელ მეთოდად შეიტანეს საქართველოს

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში 2022 წელს. თუმცა, დარგობრივ მახასიათებელში ამ მეთოდის შეტანა თავისთავად ვერ გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რაც უკავშირდება ლექსიკონის გამოყენების სწავლებას სკოლებში.

უცხოური ენების სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. უცხოური ენების შესწავლა კი შეუძლებელია ორენოვანი ლექსიკონებისა და უცხოური ენების სწავლების სწორად შერჩეული მეთოდების გარეშე. ორენოვანი ლექსიკონების გამოყენება და უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად დაუკავშირდა ერთმანეთს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

აქვე მინდა გავიხსენოთ, რომ გასულ საუკუნეში და 21-ე საუკუნის დასაწყისში, უცხოური ენების სწავლებისას იყენებდნენ ე.წ. გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს. მოგვიანებით წარმოიშვა უცხოური ენების სწავლების ალტერნატიული მეთოდები, რომელმაც შეზღუდა მთარგმნის მეთოდი, ასევე მშობლიური ენის გამოყენების პრაქტიკა უცხოური ენების სწავლებისას, რამაც ბუნებრივად მიგვიყვანა ორენოვანი / მთარგმნითი ლექსიკონების გამოყენების უარყოფამდე. ეს პრაქტიკა გავრცელდა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ მარტინა ნიდი თავის ერთ-ერთ სტატიაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორენოვანი ლექსიკონების აკრძალვამ უცხოური ენების სწავლებისას და სწავლების ახალმა მეთოდებმა დიდწილად შეამცირა ინტერესი ლექსიკონებისადმი, რადგან ლექსიკონებს მომხმარებლები ყველაზე ხშირად უცხოური ენების სწავლის დროს იყენებდნენ და ეს ლექსიკონები ძირითადად სწორედ ორენოვანი ლექსიკონები იყო (Nied, 2022).

ლექსიკონების სწორად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოური ენების შესწავლის პროცესში, რადგან ლექსიკონები არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ენის შემსწავლელს გაიგოს უცხო სიტყვები, გამონათქვამები, შესაბამისად, წინადადებები და ტექსტები. ლექსიკონი არა მხოლოდ სიტყვებისა და გამონათქვამების ჩამონათვალია, არამედ ღირებული ინსტრუმენტია ენის შემსწავლელთა ხელში, რომელსაც შეუძლია

ხელი შეუწყოს უცხო ენის ცოდნის ავტონომიურ და უწყვეტად განვითარებას (Kosem et al. 2018; Levy and Steel 2015; Lew 2011).

ზემოთ მოყვანილი კვლევები ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლექსიკონი ეფექტურია მაშინ, როცა მას კვალიფიციურად იყენებენ, ანუ ლექსიკონზე მუშაობა ისევე უნდა ვასწავლოთ, როგორც ნებისმიერი სხვა საგანი. შემთხვევითი არ არის, რომ ლიტუვური ენის ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ლიტუვური ენის მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება, შეტანილია საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებში (Kavaliauskas 2012).

ბათუმის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე ლექსიკოგრაფიაში, რომელიც 2012 წელს ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იტალიელმა ლექსიკოგრაფმა კარლა მარელომ, თავის პლენარულ მოხსენებაში ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს:

- „ვასწავლოთ, როგორ მუშაობენ ლექსიკოგრაფები, რათა ნათელი იყოს, თუ რა შეუძლიათ ლექსიკოგრაფებს და რა არ შეუძლიათ თვით კომპიუტერულ ეპოქაში და დიდი ონლაინკორპუსების დახმარებითაც კი;
- მივმართოთ მასალის ძიების მეთოდებს, რომლებიც სასარგებლოა ნებისმიერი სახის კვლევის დროს;
- გამოვიყენოთ „სიტყვების გრამატიკა“, ანუ მორფოსინტაქსური ინფორმაციული შინაარსი სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში, რათა ვასწავლოთ მეტი, ვიდრე მარტოდენ ლექსიკური მარაგი;
- დავარწმუნოთ მასწავლებლები, რომ მათ მოსწავლეებს საჭირო მასალის მოძიების უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშაონ არა მარტო იმიტომ, რომ ამგვარი უნარ-ჩვევები სასარგებლოა სასკოლო დონეზე, არამედ იმის გამოც, რომ ისინი მათი ცხოვრებისა და პროფესიული კარიერისთვის გადამწყვეტ ფაქტორებად იქცევიან სკოლის დამთავრების შემდეგ“ (Marello 2012).

1.6. ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები.

ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვით გამოწვეული უარყოფითი შედეგები ლექსიკოგრაფებისათვის ყველაზე თვალსაჩინო იყო და ისინი ამის შესახებ ღიად წერდნენ და საუბრობდნენ (Gouws 2022; Margalitadze 2018; 2020). საგულისხმოა, რომ სწორედ ლექსიკოგრაფებმა ითავეს ამ პრობლემის გამოსწორებაზე ზრუნვა და ამ მიზნით სხვადასხვა პროექტი განახორციელეს.

ამ პროექტებს შორის უნდა გამოიყოს მაიკლ რანდელის მიერ შექმნილი ონლაინლექციების კურსი, რომლის მიზანია ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხების ახსნა მსმენელისთვის (Creese et al. 2018).

ბერძენმა ლექსიკოგრაფებმა, საბერძნეთის განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიზანია ლექსიკონის გამოყენების კულტურის ამაღლება საბერძნეთის სკოლებში. ამ მიზნით მათ სპეციალური სასწავლო ლექსიკონებიც შექმნეს სკოლების დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის (Gavriilidou and Konstantinidou 2021).

ლექსიკოგრაფებმა დაიწყეს სავარჯიშოების ციკლის დამუშავება, რომელიც ორიენტირებულია ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამ მხრივ საყურადღებოა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მომზადებული სინდი ლინის წიგნი, რომელიც შეიცავს ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განმავითარებელ სავარჯიშოებს (Leaney 2007).

აღსანიშნავია უნგრელი ლექსიკოგრაფის კატალინ მარკუსის მიერ გამოცემული სავარჯიშოების კრებული, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები და მათში წარმოდგენილი ინფორმაციის სტრუქტურა, ლექსიკონებიდან ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური ინფორმაციის მოპოვების ტექნიკები (P. Márkus 2022; 2023).

იტალიელმა ლექსიკოგრაფმა, კარლა მარელომ და მისმა კოლეგებმა შექმნეს სპეციალური ვებსაიტი ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით,

რომელზეც ასევე სპეციალურად შექმნილი სავარჯიშოებია განთავსებული (Marchisio et al. 2019).

საქართველოში ამ მიზნით ჩატარებული მუშაობა დაწვრილებითაა აღწერილი ქართველი ლექსიკოგრაფების თინათინ მარგალიტაძისა და გიორგი მელაძის სტატიაში (Margalitadze and Meladze 2023).

1.7. დასკვნა.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა თეორიული ლექსიკოგრაფიის, ანუ მეტალექსიკოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე 200-ზე მეტი კვლევა ჩატარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (Nied, 2022), რომლის მიზანიც იყო აღნიშნული პრობლემის შესწავლა სხვადასხვა თვალსაზრისით. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ლექსიკონის მომხმარებლების დამოკიდებულების შესწავლა ლექსიკონებისადმი და მათი სურვილების გათვალისწინება ლექსიკონის ხარისხისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად; ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რომელი ტიპის ლექსიკონია ყველაზე ეფექტური უცხოური ენების სწავლების პროცესში, განმარტებითი, ორენოვანი, თუ შერეული, განმარტებით-ორენოვანი; მკვლევრები ასევე ინტერესდებოდნენ ლექსიკონის მომხმარებლების უნარ-ჩვევების გამოვლენის საკითხებით; ცალკეული კვლევები ეთმობოდა იმის შესწავლას, თუ რისთვის იყენებდა მომხმარებელი ლექსიკონს, სიტყვის მართლწერის დასადგენად, გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად, სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად, კროსვორდის შესავსებად თუ სხვა.

მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ეს ემპირიული კვლევები გამოიწვევდა მნიშვნელოვან წინსვლას ლექსიკოგრაფიაში, რაც საფუძვლად დაედებოდა ლექსიკონზე მუშაობას მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით. მართლაც, ლექსიკონის მომხმარებლებზე ორიენტაცია, მათი საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების ანალიზი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების დაგეგმვის, ლექსიკონების სამეცნიერო აპარატის შემუშავებისა და შედგენის პროცესში,

ლექსიკონების ხარისხი გაუმჯობესდა და შეიქმნა ონლაინლექსიკონები, რომლებიც ძალიან მოსახერხებელია გამოსაყენებლად მომხმარებლებისათვის.

ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევის პროცესმა ასევე გამოავლინა ის ვითარება, რომ ხშირ შემთხვევაში, ლექსიკონის მომხმარებელი ვერ ავლენს ლექსიკონის გამოყენების ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, მაგ., ვერ ცნობს პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას ლექსიკონის დახმარებით და სიტყვა-სტატიის მხოლოდ პირველი მნიშვნელობის ნახვით შემოიფარგლება. ასევე მომხმარებელს უჭირს კონტექსტში სიტყვის სწორი მეტყველების ნაწილის დადგენა, ომონიმების გამოჯვნა და სწორი კონტექსტუალური ომონიმის შერჩევა. ეს საკითხები გამოიკვეთა, როგორც ყველაზე პრობლემური. მკვლევრებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ბევრ ქვეყანაში დაიკარგა ლექსიკონის გამოყენების კულტურა, რასაც თავისი უარყოფითი შედეგები აქვს, მათ შორის ქართული ენისათვის.

ამ ვითარების გამოსასწორებლად ლექსიკოგრაფებმა ბევრ ქვეყანაში დაიწყეს პროექტების შემუშავება, რომლის მიზანია ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაბრუნება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება უცხოური ენების შემსწავლელელებში.

თავი II

ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება ინგლისური ენის

შემსწავლელელებში: პოლისემია, კონვერსია (ექსპერიმენტის შედეგები)

2.1. შესავალი

ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლება ბევრ კერძო საკითხს მოიცავს: სიტყვის წარმოთქმა, მართლწერა, გრამატიკული ინფორმაცია, ლექსიკური საკითხები - პოლისემია, ომონიმია, კონვერსია, შესიტყვებები, ფრაზული ზმნები, იდიომები, ტერმინოლოგია, სტილისტიკური კვალიფიკაციები. ყველა ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და საჭიროებს ენის შემსწავლელის წვრთნას ინგლისური ენის

სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. ჩემს კვლევაში კონცენტრაცია გავაკეთე ორ ლექსიკურ საკითხზე, პოლისემიასა და კონვერსიაზე, რადგან, როგორც საერთაშორისო კვლევებში, ისე საქართველოში ჩატარებულ კვლევებში, ეს თემები გამოიკვეთა, როგორც ყველაზე პრობლემური (Mitchell, 1983; Rundell, 1999; Nied, 2022; Margalitadze and Meladze, 2023).

როგორც ვიცით, ინგლისური ენა გამოირჩევა დიდი პოლისემიურობით, სიტყვას აქვს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა. ამ სიტყვების უმრავლესობა მაღალი სიხშირით გამოიყენება ინგლისურ ენაში, რაც ართულებს კომუნიკაციას ამ ენაზე მოსაუბრესა და მსმენელს შორის, ასევე იწვევს დაბნეულობას საკლასო ოთახში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მასწავლებლების უმრავლესობაში გავრცელებულია ტაქტიკა არ ჩაუღრმავდენენ ასეთ სიტყვებს მაშინვე, უბრალოდ ახსნან ის კონკრეტული მნიშვნელობები, რაც კონკრეტულ კონტექსტში იჩენს თავს. თუმცა სიტყვების დაუფლების უფრო ნაყოფიერი სტრატეგია იქნებოდა ავხსნათ მნიშვნელობები, ვაჩვენოთ მოსწავლეებს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობები ლექსიკონში, ავუხსნათ მათ როგორ შეიძლება მოცემული სიტყვის სწორი კონტექსტუალური მნიშვნელობის პოვნა ლექსიკონის დახმარებით და სხვა (ვარდიძე, 2020).

პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობის პოვნა არ არის ადვილი ამოცანა და ამ უნარის განვითარებას დიდი ძალისხმევა სჭირდება როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის მხრიდან.

არანაკლები სირთულე უკავშირდება ინგლისური სიტყვის მეტყველების ნაწილის ამოცნობას კონტექსტში. ინგლისურ ენაში კარგადაა განვითარებული კონვერსია, ანუ ნულოვანი დერივაცია. ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა. სწორი მეტყველების ნაწილის ამოცნობა კონტექსტში მნიშვნელოვანია სიტყვის სწორად გაგებისათვის და ლექსიკონში სათანადო სიტყვა-სტატიის მოძიებისათვის.

ამ საკითხებს მასწავლებლები არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას, რადგან მათ ან არ რჩებათ დრო საგაკვეთილო პროცესში, რათა დრო დაუთმონ მრავალმნიშვნელობიან სიტყვებთან მუშაობას, ან არ არიან საკმარისად კვალიფიციურნი. სახელმძღვანელოებში არ არის მოცემული არანაირი

ინფორმაცია, სასწავლო მასალა, მეთოდოლოგიური მითითებები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება გაუმკლავდეს მოცემულ საკითხებს.

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები ხშირად სრულ თავისტკივილად მიიჩნევა.

ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლების გზით სკოლაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1. საჭიროა თუ არა უცხოური ენების შემსწავლელებისთვის ლექსიკონის გამოყენების სწავლება სკოლაში, რათა გაუმჯობესდეს მათი უნარი ამოიცნონ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა ან გაუმკლავდნენ სხვა კომპლექსურ ლექსიკურ საკითხებს?
2. რამდენად ეფექტურია სპეციალურად შექმნილი სავარჯიშოები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, განსაკუთრებით ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის, მეტყველების ნაწილის ამოცნობისათვის და ინგლისური ლექსიკის სხვა ასპექტებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩავატარე ექსპერიმენტი ქ. თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში, სადაც ვასწავლი ინგლისურ ენას. ცდისპირებად კი შევარჩიე მეათე კლასის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ ინგლისური ენის ცოდნის საშუალო დონე.

აღნიშნული კვლევა არის ჩემ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ორიგინალური კვლევა. ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე კი საკვლევ მასალად გამოვიყენე ნიუ ჯერსის შტატის უნივერსიტეტის პროფესორის, დონა ფარინას ხელმძღვანელობით სლოვენიაში, ლიუბლიანას უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მასალები (Farina et al., 2019). საკვლევი მასალის გამოყენებისათვის მქონდა დონა ფარინასა და მისი კოლეგების წერილობითი თანხმობა.

2.2. ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი ჩატარდა 2024 წლის გაზაფხულზე ორ ეტაპად. იგი 3 კვირა მიმდინარეობდა და მასში 50 მეათეკლასელმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

მოსწავლეები გავყავი ორ ჯგუფად, ჯგუფი A და ჯგუფი B. A ჯგუფის მოსწავლეებთან ვიმუშავე 3 კვირის განმავლობაში სპეციალურად შემუშავებული სავარჯიშოებით, რომელიც გამიზნული იყო პოლისემიისა და კონვერსიის პრობლემებზე. მეორე ჯგუფის (B) მოსწავლეებს კი ასეთი მუშაობა არ ჩატარებიათ.

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე როგორც უკვე აღინიშნა, გამოვიყენე დონა ფარინასა და მისი სლოვენელი კოლეგების მიერ ლიუბლანას უნივერსიტეტში ჩატებული ექსპერიმენტის მასალა. კვლევის მეორე ეტაპი ითვალისწინებდა მოსწავლეებთან საკვლევი მასალის შეტანას ინგლისური კონტექსტების სახით, სადაც მათ შერჩეული ინგლისური სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობა უნდა ამოეცნოთ ლექსიკონის დახმარებით. ეს კონტექსტები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათში მოსწავლეებისათვის ცნობილი, მაღალსიხშირული ინგლისური სიტყვები გამოყენებულია სრულიად მოულოდნელი პოლისემიური მნიშვნელობებით. ამ მასალის შემუშავებაზე დონა ფარინამ და მისმა კოლეგებმა დიდხანს იმუშავეს და მართლაც შექმნეს საინტერესო საკვლევი კონტექსტები, რომელიც კარგად ავლენს როგორც ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების არსებობას, ისე მათ არარსებობას ცდისპირებში. გარდა გახაზული სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობებისა, ცდისპირებს უნდა ამოეცნოთ მათი მეტყველების ნაწილი. ექსპერიმენტში გამოვიყენეთ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი (CEGOD), თუმცა მოსწავლეებს ასევე შეეძლოთ მიემართათ სხვა ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონებისათვის.

2.3 კვლევის პროცესი

2.3.1 კვლევის პირველი ეტაპი

როგორც უკვე აღვნიშნე, კვლევაში მონაწილე A ჯგუფის ცდისპირებთან დაიგეგმა წინასწარი მუშაობა სავარჯიშოებით. რაც შეეხება მეორე B ჯგუფს, მათთან ამგვარი მუშაობა არ ჩატარებულა. წინასწარ ვიმუშავე იმ მოსწავლეებთან, რომელთა მასწავლებელიც თავად ვარ. მათ ავუხსენი რომ ინგლისური სიტყვები, ხშირ

შემთხვევაში, ხასიათდება ნულოვანი დერივაციით, ანუ ნულოვანი სიტყვათწარმოებით. სიტყვისგან იწარმოება სხვა მეტყველების ნაწილი სუფიქსის დართვის გარეშე. ამის შედეგად, ერთი და იგივე სიტყვა გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილად და საჭიროა სიტყვის მეტყველების ნაწილის სწორად ამოცნობა.

მოსწავლეებს ასევე ავუხსენი, რომ ინგლისური სიტყვები არის პოლისემიური და მათი კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობა ლექსიკონის დახმარებითაა შესაძლებელი, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორად აღიქვან სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, სწორად გაიგონ ტექსტი. ავუხსენი მათ, რომ მნიშვნელოვანია ლექსიკონების გამოყენება და ვაჩვენე კიდევ, როგორ უნდა მოიძიონ სიტყვა ან მისი მნიშვნელობა ლექსიკონში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ სკოლაში მოსწავლეების უმრავლესობამ არ იცის ლექსიკონის სწორი გამოყენება, ბევრი კი ფიქრობს რომ ინგლისურ სიტყვას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მოსწავლეები ვამუშავე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სავარჯიშოებით. ქვემოთ მოყვანილია ამგვარი სავარჯიშოების რამდენიმე ნიმუში.

სავარჯიშოები კონვერსიის თემაზე:

კონვერსიაზე შექმნილი სავარჯიშოები გავყავი ორ ნაწილად. პირველი ტიპის სავარჯიშოებში თითოეულ საცდელ სიტყვას წინადადების ბოლოში, ფრჩხილებში მითითებული ჰქონდა რამდენიმე მეტყველების ნაწილი და მოსწავლეს მათგან უნდა ამოეცნო სიტყვის სწორი მეტყველების ნაწილი (სავარჯიშოები 1-4). ეს სავარჯიშოები შედარებით მარტივი იყო და ამზადებდა მოსწავლეებს მეორე ეტაპის უფრო რთული სავარჯიშოებისათვის, რომლებშიც საცდელ სიტყვას მეტყველების ნაწილი არ ჰქონდა მითითებული და ის მოსწავლეს თავად უნდა ამოეცნო (სავარჯიშოები 5-7).

(1) სავარჯიშო 1

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა head თითოეულ წინადადებაში და გახაზეთ ფრჩხილებში მითითებული სწორი მეტყველების ნაწილი:

Head

1. Use your head! (Noun or verb)
2. He headed his flock for home (Noun or verb)
3. The head of the mountain was covered with snow (Noun or verb)
4. His name heads the list (Noun or verb)

(2) სავარჯიშო 2

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *bank* თითოეულ წინადადებაში და გახაზეთ ფრჩხილებში მითითებული სწორი მეტყველების ნაწილი:

Bank

1. They banked snow (Noun or verb)
2. The lake was banked by forest from three sides (Noun or verb)
3. The river overflowed its banks (Noun or verb)

(3) სავარჯიშო 3

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *good* თითოეულ წინადადებაში და გახაზეთ ფრჩხილებში მითითებული სწორი მეტყველების ნაწილი:

Good

1. He knows good from evil (Noun or adjective?)
2. What is the good of it? (Noun or adjective?)
3. William brought good news (Noun or adjective?)
4. Life is good here (Noun or Adjective?)

(4) სავარჯიშო 4

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *match* თითოეულ წინადადებაში და გახაზეთ ფრჩხილებში მითითებული სწორი მეტყველების ნაწილი:

Match

1. The football match was interesting (Noun or verb?)
2. The carpets and the wallpaper match well (Noun or verb?)
3. His paintings had a perfect match of colours (Noun or verb?)
4. They match the colours perfectly (Noun or verb?)

(5) სავარჯიშო 5

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *comfort* თითოეულ წინადადებაში

Verb? Noun? Adjective? Adverb?

Comfort

1. He told her a few words of comfort.
2. Can you comfort anyone?
3. When I am in trouble my parents always comfort me.
4. This news is a great comfort to me.

(6) სავარჯიშო 6

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *ship* თითოეულ წინადადებაში

Verb? Noun? Adjective? Adverb?

Ship

1. He was arrested and shipped back to the UK.
2. We travelled by the ship.
3. They shipped goods by rail.
4. A captain of the ship was a very brave man.

(7) სავარჯიშო 7

დაადგინეთ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა *short* თითოეულ წინადადებაში

Verb? Noun? Adjective? Adverb?

Short

1. She left a short time ago.
2. She has a very short memory.
3. He stopped short.
4. Tom cut a stick short.

სავარჯიშოებზე მუშაობისას გამოიკვეთა ის პრობლემა რომ მოსწავლეებს ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის ამოცნობა უფრო გაუჭირდათ ვიდრე არსებითი სახელის და ზმნისა. ამის გამო უფრო მეტი სავარჯიშო ამ მეტყველების ნაწილებზე შევადგინე და მათზე ვამუშავე ჯგუფი.

სავარჯიშოები პოლისემიაზე:

ვინაიდან პოლისემია სრულიად უცნობია სკოლის მოსწავლეებისათვის, ამიტომ საწყის ეტაპზე შედარებით მარტივი ტიპის სავარჯიშოებით ვიმუშავეთ ამ პრობლემაზე (სავარჯიშოები 8-9).

(8) სავარჯიშო 8

ქვემოთ მოცემულია ინგლისური ზმნის to drive 5 პოლისემიური მნიშვნელობა და ორი წინადადება, რომლებშიც ეს ზმნაა გამოყენებული. ამოიცანით ზმნის to drive კონტექსტუალური მნიშვნელობა და შემოხაზეთ ფრჩხილებში სწორი მნიშვნელობის შესაბამისი ციფრი.

1. ტარება (ატარებს), წაყვანა; მართვა;
2. მგზავრობა (მგზავრობს);
3. გარეკვა(გარეკავს), გაფანტვა;
4. გადატვირთვა (გადატვირთავს) საქმით და მისთ;
5. უკუგდება, უკუქცევა;

They were driving cattle with spiked sticks.

(1 2 3 4 5)

The tried to drive the competitors away

(1 2 3 4 5)

(9) სავარჯიშო 9

ქვემოთ მოცემულია ინგლისური ზმნის to run 4 პოლისემიური მნიშვნელობა და ორი წინადადება, რომლებშიც ეს ზმნაა გამოყენებული. ამოიცანით ზმნის to run კონტექსტუალური მნიშვნელობა და შემოხაზეთ ფრჩხილებში სწორი მნიშვნელობის შესაბამისი ციფრი.

1. სწრაფად მოძრაობა (მოძრაობს);
2. მართვა (მართავს), ხელმძღვანელობა;
3. მუშაობა (მუშაობს), ფუნქციონირება;
4. დინება (მიედინება), დენა;

He has no idea how to run a restaurant.

(1 2 3 4)

The river runs into the sea.

(1 2 3 4)

სავარჯიშოების შესრულების პროცესში მოსწავლეებს უკვირდათ, თუ როგორ შეიძლებოდა ერთ სიტყვას, რომელიც მათ თითქოს ასე კარგად იცოდნენ, ამდენი მნიშვნელობა ჰქონოდა.

შერეული სავარჯიშოები პოლისემიასა და კონვერსიაზე:

A ჯგუფის მოსწავლეებთან მუშაობის შემდეგი ეტაპი იყო შერეული ტიპის სავარჯიშოები, რომელიც შეიცავდა წინადადებებს, რომლებშიც მოსწავლეებს უნდა ამოეცნოთ გახაზული სიტყვების მეტყველების ნაწილი და კონტექსტუალური მნიშვნელობა ლექსიკონების დახმარებით (სავარჯიშოები 10-12).

(10) სავარჯიშო 10

მოიძიეთ გახაზული სიტყვის მეტყველების ნაწილი და კონტექსტუალური მნიშვნელობა

Thin

1. Their arguments all sound a little thin for me.
2. The sauce was thin and tasteless.

(11) სავარჯიშო 11

მოიძიეთ გახაზული სიტყვის მეტყველების ნაწილი და კონტექსტუალური მნიშვნელობა

Buy

1. I am not afraid as I will buy a public official.
2. He said it was a mistake, but I don't buy it.

(12) სავარჯიშო 12

მოიძიეთ გახაზული სიტყვის მეტყველების ნაწილი და კონტექსტუალური მნიშვნელობა

Floor

1. His office is located on the fourth floor.
2. He will now take questions from the floor.

2.3.2. კვლევის მეორე ეტაპი

კვლევის მეორე ეტაპზე ექსპერიმენტში მონაწილე ორივე ჯგუფში შევიტანე ერთნაირი დავალება, კერძოდ დავალება მოიცავდა 6 ინგლისურ კონტექსტს, რომელშიც გახაზული იყო საკვლევი სიტყვები. როგორც უკვე აღინიშნა, საკვლევ სიტყვებად შერჩეული იყო მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობი სიტყვები, რომლებიც სრულიად მოულოდნელი პოლისემიური მნიშვნელობით იყო მოცემულ კონტექსტში გამოყენებული. ცდისპირებს ლექსიკონების დახმარებით უნდა დაედგინათ საკვლევი სიტყვების მეტყველების ნაწილი და მათი კონტექსტუალური მნიშვნელობა. როგორც აღინიშნა, საკვლევი კონტექსტებისთვის გამოვიყენე დონა ფარინას მიერ მომზადებული მასალა, რომელიც მან გამოიყენა ლიუბლიანას უნივერსიტეტში ჩატარებულ ექსპერიმენტში (Farina et al., 2019).

კვლევის მეორე ეტაპი ორ დღეზე გადავანაწილე და ცალ-ცალკე ჩავატარე A და B ჯგუფის მოსწავლეებთან. პირველ დღეს ჩავატარე კვლევა იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც არანაირი წინასწარი მომზადება არ გაუვლიათ, განსხვავებით A ჯგუფის მოსწავლეებისგან. ხოლო მეორე დღეს კვლევა ჩატარდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც წინასწარ სხვადასხვა სახის სავარჯიშოებს ასრულებდნენ სამი კვირის განმავლობაში.

ორივე დღეს კვლევის ხანგრძლივობა გაგრძელდა ერთი საგაკვეთილო პროცესი (45 წუთი). მოსწავლეები მშვიდ და წყნარ გარემოში მუშაობდნენ ცალ-ცალკე, მათთვის განკუთვნილ კომპიუტერთან და ემებდნენ მითითებული ლექსიკონების (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი და ინგლისური ენის სხვა განმარტებითი ლექსიკონები, მათ შორის *მერიამ-უებსტერის სასწავლო ლექსიკონი*) მიხედვით მოცემულ კონტექსტში საცდელი სიტყვის მნიშვნელობას და მეტყველების ნაწილს.

კვლევისთვის შეირჩა 6 კონტექსტი და 6 სიტყვა, მათ შორის 2 ზმნა, 2 არსებითი სახელი და 2 ზედსართავი სახელი: to fix (verb), to score (verb), plug (noun), ticket (noun), sharp (adjective), rich (adjective). ქვემოთ მოცემულია საკვლევი სიტყვები და კონტექსტები, ასევე მათი ძირითადი მნიშვნელობა და კონტექსტუალური მნიშვნელობა:

პირველი კონტექსტი

A man arrived at the police station here in 2011 with an unusual tip. He told the police that a Singaporean man was **fixing** matches with the local professional soccer team. The police were incredulous.

ზმნის **to fix** ძირითადი მნიშვნელობაა: „*მყარად დამაგრება (<და>ამაგრებს), მიმაგრება*“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “to make firm, stable, or stationary“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ ზმნის კონტექსტუალური მნიშვნელობაა: „*ვისიმე მოსყიდვით და ა.შ. რისამე მოწყობა (<მო>აწყობს); ჩაწყობა*“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “to influence the actions, outcome, or effect of by improper or illegal methods“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მეორე კონტექსტი

Back when Patrick had a job at an auto-parts store and as a banquet server, his morning routine involved driving to Lawrence before work and **scoring** his daily fix.

Then he would shoot up with heroin or fentanyl at the wheel of the car while driving back to New Hampshire.

ზმნის **to score** ძირითადი მნიშვნელობაა სპორტული: „გოლის / ბურთის, შაიბის და ა.შ. გატანა (გაიტანს), ქულის მოპოვება“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “to get points, goals, runs, etc., in a game or contest“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ ზმნის კონტექსტუალური სლენგური მნიშვნელობაა: „ნარკოტიკის ყიდვა (ყიდულობს)“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “to buy or get (illegal drugs)“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მესამე კონტექსტი

Microsoft says that the wireless sharing is a new way to discover music. But you can’t shake the feeling that it’s all just a big **plug** for Microsoft’s music store. If it’s truly about the joy of music discovery, why doesn’t Microsoft let you buy your discoveries from any of the PlaysForSure stores?

არსებითი სახელის **plug** ძირითადი მნიშვნელობაა: „შტეფსელი, ჩანგალი“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “a part at the end of an electric cord that has two or three metal pins that connect the cord to a source of electricity“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ არსებითი სახელის კონტექსტუალური სასაუბრო მნიშვნელობაა: „რეკლამა, რისამე რეკლამირება, რაიმესთვის რეკლამის გაკეთება“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “something that is said on the radio, on television, etc., in order to create interest in something (such as a book, movie, or restaurant)“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მეოთხე კონტექსტი

The state's Republican chairman, Edward F. Cox, offered a respectful, if cautious statement about Mr. Kolb's candidacy.

“We're glad he has formally announced his intentions,” Mr. Cox said, before saying he was excited by the possibility of other candidates, too. [...]

He added that the party would be “working collaboratively with our county chairs over the coming weeks and months to put together the statewide ticket.”

არსებითი სახელის **ticket** ძირითადი მნიშვნელობაა: „ბილეთი“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “a certificate or token showing that a fare or admission fee has been paid“ (*Merriam-Webster Learner's Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ არსებითი სახელის კონტექსტუალური მნიშვნელობაა: „საარჩევნო სია; არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “a list of candidates for nomination or election“ (*Merriam-Webster Learner's Dictionary*).

მეხუთე კონტექსტი

Her rock 'n' roll friends might have expected a hip 'n' cool outfit for her English country wedding. But it was her husband, Jamie Hince, the guitarist from The Kills, in his sharp blue Yves Saint Laurent suit, who brought a touch of music-world fantasy.

ზედსართავი სახელის **sharp** ძირითადი მნიშვნელობაა: „ბასრი, მჭრელი; მახვილი, წვეტიანი“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “having a thin edge that is able to cut things or a fine point that is able to make a hole in things“ (*Merriam-Webster Learner's Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ ზედსართავი სახელის კონტექსტუალური სასაუბრო მნიშვნელობაა: „მოდური, ელეგანტური (ითქმის ტანსაცმლის, ჩაცმულობის შესახებ)“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “stylish or fashionable“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მეექვსე კონტექსტი

“Jesus,” Arden says, stacking his hands on the top of his head. “I can’t win.”

Oh, now that’s rich. “You can’t win? You? Arden Moss? You’ve already won, idiot. You have everything you’ve ever wanted in life, all handed to you on a silver platter.”

ზედსართავი სახელის **rich** ძირითადი მნიშვნელობაა: „მდიდარი, შეძლებული“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “having a lot of money and possessions“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

მოცემულ კონტექსტში ამ ზედსართავი სახელის კონტექსტუალური სასაუბრო მნიშვნელობაა: „სასაცილო, კომიკური; აბსურდული“ (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი); “used to say that a person's comment or criticism is surprising or amusing because the same comment or criticism could be made about that person“ (*Merriam-Webster Learner’s Dictionary*).

2.4. კვლევის შედეგები

კვლევის დასრულების შემდეგ შევამოწმე მოსწავლეების ნამუშევრები, სულ 50 ნაშრომი. ნაშრომები შეფასდა შემდეგი სისტემით: დავალება მოიცავდა 6 კონტექსტს და შესაბამისად 6 საკვლევ სიტყვას. თითო სწორი პასუხი შეფასდა 5 ქულით, და მაქსიმალური ქულა შეადგენდა 30 ქულას.

ნაშრომები დავყავი სამ კატეგორიად: სრულყოფილი, კარგი და სუსტი. სრულყოფილი ნაშრომი 30-25 ქულა, კარგი ნაშრომი 20-15 ქულა, სუსტი ნაშრომი 10-5 ქულა.

ქულები გადანაწილდა შემდეგნაირად: A ჯგუფის ცდისპირების 25-კაციან ჯგუფში სრულყოფილი შეფასება დაიმსახურა 20 მოსწავლემ (80%), აქედან 15-მა მოსწავლემ (60%) მიიღო 30 ქულა და 5 მოსწავლემ (20%) - კი 25 ქულა. კარგი შეფასება არ მიუღია არცერთ ცდისპირს, ხოლო 5 მოსწავლის ნამუშევარი შეფასდა როგორც სუსტი (20%) თითოეული 10-10 ქულით (იხ. ცხრილი 1).

რაც შეეხება B ჯგუფის ცდისპირების შედეგებს, შეფასება სრულყოფილი ვერც ერთმა ცდისპირმა ვერ მიიღო, კარგი შეფასება დაიმსახურა 17 მოსწავლემ (70%), აქედან ხუთმა მოსწავლემ (20%) მიიღო 20 ქულა, ხოლო 12 მოსწავლემ (50%) დაიმსახურა 15 ქულა.

სუსტი ნამუშევარი ჰქონდა 8 მოსწავლეს (30%), აქედან ხუთმა მოსწავლემ (20%) მიიღო 5 ქულა და სამმა მოსწავლემ (10%) 10 ქულა (იხ. ცხრილი 2).

A ჯგუფი

სრულყოფილი	20 მოსწავლე (80%)
კარგი	0 მოსწავლე
სუსტი	5 მოსწავლე (20%)

ცხრილი N 1.

B ჯგუფი

სრულყოფილი	0 მოსწავლე
კარგი	17 მოსწავლე (70%)
სუსტი	8 მოსწავლე (30%)

ცხრილი N 2.

რაც შეეხება საცდელი სიტყვების მეტყველების ნაწილების დადგენას, A ჯგუფის 22 მონაწილეს სწორად ჰქონდა ყველა საცდელი სიტყვის მეტყველების ნაწილი ამოცნობილი.

ხოლო რაც შეეხება B ჯგუფის ცდისპირებს, 25 მონაწილიდან 20 მოსწავლეს ჰქონდა დაშვებული შეცდომა მეტყველების ნაწილის ამოცნობისას. მათ განსაკუთრებით გაუჭირდათ შემდეგი სიტყვების მეტყველების ნაწილების დადგენა: score და plug, პირველი მიიჩნიეს არსებით სახელად მოცემულ კონტექსტში, მეორე კი ზმნად. ერთმა მოსწავლემ კი სიტყვა sharp არსებით სახელად მიიჩნია.

B ჯგუფის მოსწავლეებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ score, fix, და sharp სიტყვების კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობა, რადგან მათთვის უჩვეულო აღმოჩნდა კარგად ნაცნობი სიტყვების ასეთ განსხვავებულ კონტექსტში გააზრება. B ჯგუფის მოსწავლეებს შედარებით გაუადვილდათ სიტყვა rich-ის მნიშვნელობის მიხედვით, რადგან სიტყვა-სტატიაში მოცემული იყო ამ სიტყვის კონტექსტის მსგავსი საილუსტრაციო მასალა:

Rich - სასაცილო, კომიკური; აბსურდული; rich incident [situation] კომიკური / სასაცილო შემთხვევა [სიტუაცია]; a rich joke მოსწრებული ხუმრობა; that's rich (coming from him, her etc) რა სასაცილოა (მისგან და მისთ.) ამის მოსმენა / გაგება (*ვინაიდან თავად ამის მოქმედზე ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება*) (*დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი*).

2.5. კვლევის შედეგების ანალიზი

კვლევამ გამოავლინა, რომ იმ მოსწავლეებმა, რომელთაც იცოდნენ ინგლისური სიტყვების ის თავისებურება, რასაც პოლისემია ეწოდება, რომლებმაც იმუშავეს სხვადასხვა სახის სავარჯიშოებით და ჰქონდათ ცოდნა ლექსიკონის გამოყენებაზე, უკეთ გაართვეს თავი დავალებას. ხოლო მოსწავლეებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი ინფორმაცია პოლისემიურ სიტყვებზე და არ ჰქონდათ ცოდნა ლექსიკონის გამოყენების შესახებ სათანადოდ ვერ გაართვეს თავი მოცემულ დავალებას.

შედეგებიდან გამომდინარე დავინახეთ რომ აუცილებელია პოლისემიური სიტყვების სწავლებისას არა მხოლოდ თეორიული, ზეპირი დასწავლა არამედ პრაქტიკული მეცადინეობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახისა თუ ტიპის სავარჯიშოების შემუშავებას, ასევე მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ

ლექსიკონების სწორი გამოყენება. B ჯგუფის მოსწავლეებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სიტყვის ძიების პროცესში ისინი არც კი ინტერესდებოდნენ ენახათ სხვა მნიშვნელობები, არ უკვირდებოდნენ იმას, თუ რომელი მეტყველების ნაწილს განეკუთვნებოდა საცდელი სიტყვა. მაგალითად, საცდელი სიტყვის fix ძიებისას, ბევრი მოსწავლე მას ეძებდა კონტექსტუალური ფორმით - fixing, ამით ისინი შეცდომაში შედიოდნენ და ზმნის ნაცვლად არსებით სახელს ეძებდნენ.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება. მე გავესაუბრე A ჯგუფის იმ ხუთ მოსწავლეს, რომელთაც სუსტი შეფასება მიიღეს. აღმოჩნდა რომ დამატებითი სავარჯიშოებით მუშაობის პროცესში ისინი, ავადმყოფობის გამო აცდენდნენ გაკვეთილებს და შესაბამისად არ ჰქონდათ საფუძვლიანი ცოდნა პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობების ლექსიკონში ძიებისა თუ ამოცნობის შესახებ.

2.6. დასკვნა

როგორც აღინიშნა, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევას, თეორიული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ მიმართულებას, საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 70-იან წლებში და მას შემდეგ 200-ზე მეტი კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში. ამ კვლევების საფუძველზე, მომხმარებლების კომენტარების, შენიშვნებისა და სურვილების გათვალისწინებით, გაუმჯობესდა ბეჭდური, შემდგომ კი ელექტრონული და ონლაინლექსიკონების ხარისხი, მათში მასალის წარმოდგენის პრინციპები და შედეგად მივიღეთ მომხმარებლისათვის ბევრად ადვილად გამოსაყენებელი რესურსები. სამწუხაროდ, არ განვითარდა ლექსიკონების გამოყენების სწავლება, რადგან ამ კვლევებმა ასევე გამოავლინა, რომ ლექსიკონის გამოყენება ისევე უნდა ისწავლებოდეს, როგორც ნებისმიერი სხვა დისციპლინა. კვლევებმა აჩვენა, რომ ლექსიკონის მომხმარებლებს ხშირად არა აქვთ ლექსიკონის გამოყენების ელემენტარული უნარ-ჩვევები, ვერ ცნობენ სიტყვის მეტყველების ნაწილს, ვერ ცნობენ პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას, ვერ არჩევენ ერთმანეთისგან ომონიმურ სიტყვებს და სხვა. უფრო მეტიც, ლექსიკონის გამოყენების სწავლების უგულებელყოფამ წლების განმავლობაში, გამოიწვია ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის

საქართველოში. ეს ვითარება უარყოფითად აისახა როგორც უცხოური ენების, ისე მშობლიური ენების ცოდნაზე ბევრ ქვეყანაში. ჩემთვის, როგორც საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლისთვის, ეს პრობლემაც და მისი შედეგებიც კარგადაა ცნობილი მოსწავლეებთან ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად. ექსპერიმენტი, რომელიც მე ჩავატარე 24-ე საჯარო სკოლაში ამ პრობლემის უფრო სიღრმისეულ ანალიზს ისახავდა მიზნად.

ჩემი კვლევის მიზანი იყო პასუხი კითხვებზე:

1. საჭიროა თუ არა უცხოური ენების შემსწავლელელებისთვის ლექსიკონის გამოყენების სწავლება სკოლაში, რათა გაუმჯობესდეს მათი უნარი ამოიცნონ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა ან გაუმკლავდნენ სხვა კომპლექსურ ლექსიკურ საკითხებს?
2. რამდენად ეფექტურია სპეციალურად შექმნილი სავარჯიშოები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, განსაკუთრებით ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის, მეტყველების ნაწილის ამოცნობისათვის და ინგლისური ლექსიკის სხვა ასპექტებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის?

ექსპერიმენტმა ნათლად დაგვანახა ლექსიკონის გამოყენების სწავლების აუცილებლობა. ერთი მხრივ, დავინახეთ, რომ სამკვირიანი მუშაობა A ჯგუფის მოსწავლეებთან საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მათ ლექსიკასთან დაკავშირებული დავალებები უკეთ შეესრულებინათ. მეორე მხრივ, B ჯგუფის მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენების უნარებზე დაკვირვებამ დაგვანახა ამ უნარების არარსებობა და მათი განვითარების საჭიროება. ჩვენი ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგები შეესაბამება იმ შედეგებს, რაც ანალოგიურმა კვლევებმა გამოვლინა სხვა ქვეყნებში, კერძოდ ის, რომ ვისაც ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, ის უკეთესად ართმევს თავს რელევანტური და საჭირო ინფორმაციის ამოღებას ლექსიკონიდან.

ამ ექსპერიმენტმა დამარწმუნა იმაში, რომ საჭიროა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის მოდულის შემუშავება სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელიც მოიცავს ლექსიკონის გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს: დაწერილობა და წარმოთქმა, გრამატიკა და ლექსიკა: პოლისემია, ომონიმია, კონვერსია, შესიტყვებები, იდიომები და ტერმინოლოგია. ამგვარი მოდულის შექმნისათვის საჭიროა სკოლებში ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარება, რომელიც მოიცავს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს. ეს გამოკითხვა უკეთ წარმოაჩენს როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების საჭიროებებს სკოლებში და სავარჯიშოების კრებულისა და მასწავლებლებისათვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნა უნდა დაეფუძნოს ამ საჭიროებების უფრო სიღრმისეულ გააზრებას.

თავი III

ლექსიკონის ქართველ მომხმარებელთა კვლევა სკოლებში: მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები

3.1. შესავალი

მესამე თავში წარმოდგენილია იმ კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული და უცხოური ენების სწავლების პროცესში ლექსიკონების გამოყენების პრაქტიკის შესწავლას სკოლებში. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების ქართული ენისა და სხვადასხვა უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული) მასწავლებლებმა. გამოკითხვა ინტერვიუს სახით ასევე ჩავატარე აღმოსავლური ენების (კორეული, იაპონური, სპარსული, ჩინური) მასწავლებლებთან. რაც შეეხება საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვას, გამოიკითხა ქ. თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე აღმოსავლური ენების შემსწავლელები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 68 მასწავლებელმა და 104 მოსწავლემ. მათ შორის 38 იყო ქ. თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლები, 20 კი რეგიონების საჯარო

სკოლებისა. ინტერვიუ ჩავატარე კორეული ენის 3 მასწავლებელთან, იაპონური ენის 2 მასწავლებელთან, სპარსული ენის 1 მასწავლებელთან და ჩინური ენის 4 მასწავლებელთან.

რაც შეეხება მოსწავლეებს, გამოიკითხა ქ. თბილისის საჯარო სკოლების 58 მოსწავლე, რეგიონების საჯარო სკოლების 14 მოსწავლე და აღმოსავლური ენების 32 შემსწავლელი.

საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა ჩატარდა ამ მიზნით სპეციალურად მომზადებული კითხვარით. უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარი არის ლექსიკონის გამოყენების კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი (Kosem et al. 2018). ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მკვლევარს ერთდროულად ბევრი ცდისპირი გამოკითხოს, რადგან კითხვარი ელექტრონული სახით ეგზავნება მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც. თუმცა რაოდენობრივი მეთოდი ყოველთვის არ არის საკმარისი პრობლემის სრულყოფილად გასაანალიზებლად, რისთვისაც კვლევაში ნაწილობრივ ჩავრთე თვისობრივი მეთოდიც და ზოგიერთ მასწავლებელს პირადადაც გავესაუბრე კითხვარის შევსების შემდეგ. კითხვარის ძირითადი ნაწილი ეხება ლექსიკონის გამოყენების საკითხებს როგორც თავად მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ, ისე მათ მიერ ენების სწავლა-სწავლების პროცესში.

კვლევაში გამოყენებული კითხვარი დაეფუძნა უნგრეთში ჩატარებული კვლევის კითხვარს, რომელიც ეხებოდა ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოკვლევას უცხოური ენების შემსწავლელებში, კერძოდ კი ინგლისური და გერმანული ენების შემსწავლელ უნგრელ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში. კითხვარი ასევე მოიცავდა ამ ენების სწავლების პროცესში მასწავლებლების მიერ ლექსიკონის გამოყენების სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს (P. Markus 2023). დეტალურად შევისწავლე უნგრეთში ჩატარებული კვლევის შეკითხვები, რის შემდეგაც კითხვარი ითარგმნა ქართულად და მოხდა მისი ადაპტაცია ქართული სკოლისა და ქართველი მომხმარებლების პრობლემებთან. კერძოდ, როგორც წინა თავში აღინიშნა, ქართველ მომხმარებელს განსაკუთრებით უჭირს ისეთი საკითხები, როგორებიცაა პოლისემია,

კონვერსია, ომონიმია (Margalitadze and Meladze 2023; Khuskivadze 2024), რის გამოც უნგრულ კითხვარს დაემატა კითხვები ამ ლინგვისტურ საკითხებზე მუშაობასთან დაკავშირებით ენების სწავლა-სწავლებისას.

კითხვარი სამი ნაწილისგან შედგება: 1) პირადი მონაცემები (სქესი, ასაკი, რომელ ენას ასწავლის/სწავლობს, სტაჟი); 2) ლექსიკონის გამოყენება (კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ლექსიკონებს იყენებენ თავად პედაგოგები და მოსწავლეები, რამდენად ხშირად იყენებენ ლექსიკონებს და სხვა); 3) ლექსიკონის გამოყენება ენების სწავლა-სწავლების პროცესში (სულ 26 კითხვა მასწავლებლებისათვის და 36 კითხვა მოსწავლეებისათვის).

კვლევის შედეგების ანალიზისათვის, უნგრული კვლევის კვალდაკვალ, გამოვიყენეთ პლატფორმა “სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის” (SPSS 27.0 ვერსია), რომლის დახმარებითაც დავიანგარიშეთ პასუხების საშუალო მაჩვენებელი (mean score) და სტანდარტული გადახრა (standard deviation). კვლევისა და პასუხების შინაგანი შეთანხმებულობის გასაზომად, კვლევის სანდოობის დასაანგარიშებლად და გასაანალიზებლად კი გამოვიყენეთ კრონბახის ალფა კოეფიციენტი (Cohen et al. 2007). გამოკითხვის დროს გამოყენებული იყო Google Form-ის პლატფორმა.


3.2. ქ. თბილისის საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარი სამი ნაწილისგან შედგება: 1) პირადი მონაცემები (სქესი, ასაკი, რომელ ენას ასწავლის, სტაჟი); 2) ლექსიკონის გამოყენება (კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ლექსიკონებს იყენებენ თავად პედაგოგები, რამდენად ხშირად იყენებენ ლექსიკონებს და სხვა); 3) ლექსიკონის გამოყენება ენის სწავლების პროცესში (სულ 26 კითხვა).

კითხვარი შეავსო თბილისში არსებული საჯარო სკოლების 38 მასწავლებელმა, მათ შორის ქართული და უცხოური ენების მასწავლებლებმა. მათი მონაცემები ასე განაწილდა:


სქესი მდედრობითი -100%;

ასაკი 25-30 -მდე 3%; 30-35-მდე 16%; 35-40-მდე 18%; 40-45-მდე 29%; 50 და მეტი- 34%
(იხ. სურათი 1).



სურათი 1.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი იყო ინგლისური ენის მასწავლებელი - 45%, რუსული ენის პედაგოგები - 18%, ქართული ენა - 24%, გერმანული ენა - 5%, ფრანგული - 5%, ესპანური - 3% (იხ. სურათი 2).



სურათი 2.

რაც შეეხება პედაგოგების სტატუსს, ქვემოთ მოცემულია ამ საკითხთან დაკავშირებით დასმული კითხვები და მიღებული პასუხები:

1. გაქვთ თუ არა ენის სწავლების გამოცდილება (საჯარო ან კერძო სკოლაში)?

ამ კითხვაზე პასუხის 94.7 % იყო დადებითი და 5,3% უარყოფითი.

2. ენის სწავლება კერძოდ, რეპეტიტორობა

დადებითი პასუხი: 92.1% და უარყოფითი პასუხი: 7.9%

3. სწავლება დაწყებით საფეხურზე


დადებითი პასუხი: 82.2% და უარყოფითი პასუხი: 15.8%

4. სწავლება საბაზო საფეხურზე

დადებითი პასუხი: 94.7% და უარყოფითი პასუხი: 5.3 %

5. სწავლება საშუალო საფეხურზე:

დადებითი პასუხი: 94.7% და უარყოფითი პასუხი: 5.3 % (იხ. სურათი 3.).



სურათი 3.

როგორც ვხედავთ, კვლევაში მონაწილე ენის მასწავლებლების უმრავლესობა (94,7 %) საჯარო თუ კერძო სკოლის პედაგოგია, რომელთაც ასევე აქვთ რეპეტიტორობის გამოცდილება 92,1 %. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც დამწყებმა პედაგოგებმა (2-წლიანი სტაჟით), ასევე გამოცდილმა პედაგოგებმა (36-წლიანი სტაჟით). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე ცდისპირების უმრავლესობა არის 11 და მეტწლიანი გამოცდილებით და მხოლოდ 5 პედაგოგი 38-დან ახალბედა, დამწყები (მაქსიმუმ 2-წლიანი გამოცდილებით), რითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პედაგოგებს აქვთ ენების სწავლების საკმაოდ დიდი გამოცდილება და მათი კვლევაში მონაწილეობა იყო შესაბამისი და საიმედო.

კითხვარის მეორე ნაწილი მოიცავდა მასწავლებლების მიერ ლექსიკონის გამოყენების საკითხებს.

კითხვა N1: „რომელი ტიპის ლექსიკონი გაქვთ ამჟამად?“

პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. ბეჭდური ლექსიკონები 52,6 %,
2. ონლაინ ლექსიკონები - 76, 3%,
3. თქვენს მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია - 26,3 %.

მასწავლებლების პასუხებიდან ირკვევა, რომ მათ უმრავლესობას აქვს ონლაინლექსიკონები, რაც თავისთავად არ გამორიცხავს ბეჭდური ლექსიკონების ფლობას, რადგან ერთ ცდისპირს შეეძლო მოენიშნა ორი სავარაუდო პასუხი. თუმცა ისინი ყველაზე ნაკლებად ფლობენ მათ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას.

შემდეგი კითხვების პასუხების შეფასება მოხდა 5-ბალიანი შკალით: 1-დან - 5 ქულამდე (1 -არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის). ამ ხუთქულიანი შეფასების მიხედვით საშუალო არითმეტიკულის ზღვრული ქულაა 3,00. ზღვრული ქულის ქვემოთ პასუხი უფრო უარყოფითია ვიდრე დადებითი, ხოლო ზღვრული ქულის ზემოთ - დადებითი.

კითხვა N2: „რამდენად ხშირად იყენებთ ქვემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა ლექსიკონის ტიპებს?“

1. მე ვიყენებ განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,61
2. მე ვიყენებ ორთოგრაფიულ ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,00
3. მე ვიყენებ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,63
4. მე ვიყენებ ორენოვან ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,55.

პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადი ლექსიკონი არის უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონები, შემდეგ განმარტებითი ლექსიკონები და ორენოვანი ლექსიკონები, ბოლოს კი ორთოგრაფიული ლექსიკონები.

კითხვა N3: „ხშირად იყენებთ ქვემოთ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის ლექსიკონს?“

ამ კითხვაზე პასუხებიც უნდა შეფასებულიყო 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის).

1. მე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს: საშუალო ქულა - 2,95
2. მე ვიყენებ კომპიუტერში ჩატვირთულ ციფრულ ლექსიკონებს: საშუალო ქულა 3,13
3. მე ვიყენებ ჩემს მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას (ტაბლეტი, ტელეფონი, სმარტსაათი ან სხვა): საშუალო ქულა - 2,95
4. მე ვიყენებ ონლაინლექსიკონებს: საშუალო ქულა - 3,95
5. მე ვიყენებ საძიებო სისტემას, როგორც ლექსიკონს (მაგალითად, მე ვეძებ სიტყვას ან ფრაზას ინტერნეტში): საშუალო ქულა - 3,68
6. მე ვიყენებ სათარგმნ აპლიკაციას ან პროგრამას (მაგალითად, google translate): საშუალო ქულა - 2.79.

მასწავლებლების პასუხებმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადია ონლაინლექსიკონები, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ჰქონდა ბეჭდურ ლექსიკონებს და სათარგმნ აპლიკაციას და პროგრამას.

შეკითხვა N 4: „რომელ ქართულ და სხვა, არაქართულ ლექსიკონებს იყენებთ?“

პასუხები ამ კითხვაზეც უნდა შეფასებულიყო 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებზე წარმოდგენილია როგორც კითხვარში ჩამოთვლილი ლექსიკონები, ისე პასუხების საშუალო მაჩვენებელი (იხ. ცხრილები N3, N4 და N5).

N	ქართული ენის ლექსიკონები	საშუალო ქულა
1	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (https://ena.ge/explanatory-online)	2.58
2	ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (https://ena.ge/orthography-online)	2,47

3	ქართული მართლწერის შემმოწმებელი პროგრამა "მცდარბეჭდილმძებნი" (https://spellchecker.ge/)	1,97
---	---	------

ცხრილი N 3.

N	რუსული-ფრანგული-გერმანული-ესპანური ენების ლექსიკონები	საშუალო ქულა
1.	.რუსულ-ქართული ლექსიკონი (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=9)	2.03
2.	რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი (https://slovarozhegova.ru/)	1.63
3.	ფრანგული ენის განმარტებითი ლექსიკონი (https://www.lexilogos.com/francais_dictionnaire.htm)	1.28
4.	იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონი (https://www.lexilogos.com/italien_dictionnaire.htm)	1.16
5.	ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონები (https://www.lexilogos.com/espagnol_dictionnaire.htm)	1.23
6.	გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონი - Duden(https://www.duden.de/woerterbuch)	1.38

ცხრილი N 4.

N	ინგლისური ენის ლექსიკონები	საშუალო ქულა
1.	ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი (https://en.bab.la/dictionary/english-georgian/)	2.38
2.	დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (https://dictionary.ge)	2.75
3.	ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Cambridge	3.06

	(https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/)	
4.	ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Longman (https://www.ldoceonline.com)	2.56
5.	ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი Macmillan (https://www.macmillanenglish.com/ge/dictionary)	2.74
6.	ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Oxford (https://www.oxfordlearnersdictionaries.com/)	3.06
7.	ინგლისური ენის ლექსიკონი - The Free Dictionary (https://www.thefreedictionary.com)	2.37
8.	ინგლისური ენის ლექსიკონი - Urban Dictionary (https://www.urbandictionary.com)	2.32

ცხრილი N 5.


შედეგების, ანუ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც 3-დან ქვევით უფრო უარყოფით პასუხს გულისხმობს და 3-დან ზევით უფრო დადებითს, შეგვიძლია დავინახოთ, რომ სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენება არც ისე ხშირია უცხოური თუ ქართული ენის მასწავლებლების მიერ. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ინგლისური ენის ლექსიკონებს სხვებთან შედარებით, რაც იმით აიხსნება, რომ ამ გამოკითხვაში ყველაზე მეტი მონაწილე ინგლისური ენის მასწავლებელია. ინგლისური ენის ლექსიკონებიდან ოქსფორდისა და კემბრიჯის ინგლისური ენის ლექსიკონებს აქვთ მაღალი მაჩვენებელი, რაც სავარაუდოდ მათი პოპულარობით შეიძლება აიხსნას.

კითხვარის ამ მონაკვეთისთვის არ გვიანგარიშია სტანდარტული გადახრა, რაც შემდეგი გარემოებით იყო განპირობებული: კითხვარში ჩამოთვლილი იყო სხვადასხვაენოვანი ლექსიკონები და მათზე პასუხებს სცემდნენ სხვადასხვა ენის მასწავლებლები. ინგლისური ენის მასწავლებელი არ მონიშნავდა ფრანგულ, გერმანულ ან სხვაენოვან ლექსიკონებს. ასევე კვლევაში მონაწილე რუსული, გერმანული, ფრანგული

თუ სხვა ენის მასწავლებელი მონიშნავდა ლექსიკონებს მისი სპეციალობიდან გამომდინარე. ამდენად, კითხვარის ამ ნაწილისათვის არარელევანტური იყო სტანდარტული გადახრის მითითება. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო გვაინტერესებდა მასწავლებლების მიერ ლექსიკონების გამოყენების ზოგადი სურათის დანახვა, რაც, როგორც პასუხების საშუალო მაჩვენებლიდან ჩანს, უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი.

კითხვარის მესამე ნაწილი მოიცავდა კითხვებს, რომლებიც ლექსიკონის საგაკვეთილო პროცესში გამოყენების საკითხებს ეხებოდა და შედგებოდა 26 კითხვისგან. ცდისპირებს პასუხები უნდა შეეფასებინათ აქაც 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის).


1. ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს:



სურათი 4.

ცდისპირების შეფასების მიხედვით უმრავლესობამ აირჩია 1 ქულა (26.3%) და 4 ქულა (28.9%). ამ კითხვაზე პასუხების საშუალო მაჩვენებელია - 2.87, რაც დაბალი შეფასებაა (იხ. სურათი 4).


2. ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად:



სურათი 5.

აღმოჩნდა რომ ამ კითხვაზე პასუხად მასწავლებლების უმრავლესობამ აირჩია 3 ქულა. საშუალო მაჩვენებელი კი არის - 3.05 (იხ. სურათი 5).


3. ჩემი გაკვეთილის ნაწილს ვუთმობ ლექსიკონში სათანადო ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარებას:



სურათი 6.

შეკითხვა 1, 2, 3, ქულით შეაფასა მასწავლებლების 23.7 პროცენტმა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ, ხშირ შემთხვევაში, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ლექსიკონში საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარებას. საშუალო ქულა შესაბამისად არის დაბალი - 2.71 (იხ. სურათი 6).


4. მე მჭირდება ტრენინგი და პროფესიული განვითარება ლექსიკონის გამოყენების სწავლებისათვის:



სურათი 7.

ცდისპირების უმრავლესობა თვლის რომ მათ არ სჭირდებათ ტრენინგი და პროფესიული განვითარება ლექსკონის გამოყენების სწავლებისთვის. საშუალო მაჩვენებელია - 1.84 (იხ. სურათი 7).


- ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს:



სურათი 8.

მართალია ამ შეკითხვის მონაცემების მიხედვით საშუალო მაჩვენებელი დაბალია, კერძოდ 2.97, თუმცა პროცენტების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხული პედაგოგების ნახევარი საგაკვეთილო პროცესში იყენებს კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს (იხ. სურათი 8).

6. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონი გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად:



სურათი 9.

ამ შეკითხვაზე პასუხების მონაცემების მიხედვით ირკვევა რომ გაკვეთილზე ლექსიკონებს იყენებენ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად. პასუხების საშუალო მაჩვენებელია - 3.03 (იხ. სურათი 9.).


7. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილზე გავაცნო სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების არსებობა:



სურათი 10.

მასწავლებლების უმრავლესობას მნიშვნელოვნად მიაჩნია გააცნოს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები (60.5 %), საშუალო ქულაც შესაბამისად მაღალია - 3.53 (იხ. სურათი 10).


8. ვფიქრობ, რომ შევძლებდი გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება, ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი):



სურათი 11.

გამოკითხვის შედეგად, მასწავლებელთა უმრავლესობას (50% მეტს) მიაჩნია, რომ შეძლებდა გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი). საშუალო ქულაც შესაბამისად მაღალია - 3,42 (იხ. სურათი 11).


9. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად:



სურათი 12.

სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად ლექსიკონს საგაკვეთილო პროცესის დროს იყენებს ცდისპირების 42,2%, ხანდახან იყენებს 26,3 %, იშვიათად - 10.5 % და არასდროს - 21.1 %. აქედან გამომდინარე, საშუალო ქულა არის მაღალი - 3.11 (იხ. სურათი 12).

10. ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაცნობ ლექსიკონის მთლიან სტრუქტურას (შესავალი, შემოკლებები, დანართები და სხვა):



სურათი 13.

პასუხების მიხედვით, პედაგოგების უმრავლესობა იშვიათად ან არასოდეს არ აცნობს მოსწავლეებს ლექსიკონის მთლიან სტრუქტურას (შესავალი, შემოკლებები, დანართები და სხვა). აქედან გამომდინარე საშუალო ქულა 5-ქულიანი შეფასების შკალიდან არის დაბალი - 2.82 (იხ. სურათი 13).


11. ჩემს გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს:



სურათი 14.

გამოკითხული მასწავლებლების 34,3% იყენებს მის გაკვეთილებზე ონლაინლექსიკონებს, ხანდახან იყენებს 26.3% და არასდროს და იშვიათად კი 39,5%. საშუალო მაჩვენებელი არის შემდეგი - 2.95 (იხ. სურათი 14).

12. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად:




სურათი 15.

შედეგების მიხედვით მასწავლებლების უდიდესი ნაწილი (34.2 %) არასოდეს

იყენებს ლექსიკონებს გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად კლასში. საშუალო მაჩვენებელიც 5-ქულიანი შეფასების მიხედვით შესაბამისად არის დაბალი - 2.42 (იხ. სურათი 15).

13. გაკვეთილზე განვიხილავ ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურას და კოდირების სისტემებს (მაგალითად: მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, შემოკლებები და ა.შ.):



სურათი 16.

შედეგების მიხედვით გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლის 28.9% არასოდეს არ განიხილავს ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურას და კოდირების სისტემებს კლასში (მაგალითად: მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, შემოკლებები და ა.შ.), იშვიათად განიხილავს 15.8% , ხანდახან- 28.9%, ხშირად 15.8 და ყოველთვის 10.5%. პასუხების საშუალო ქულა არის - 2.42 (იხ. სურათი 16).


14. ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში:



სურათი 17.

გამოკითხული მასწავლებლების უმეტესი ნაწილი (28.9%), რომლებმაც ამ შეკითხვას მიანიჭეს 4 ქულა, მიიჩნევენ რომ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში. თუმცა ამ შეკითხვის საშუალო ქულა - 3.00 დაბალი მაჩვენებელია (იხ. სურათი 17).

15. ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს სასკოლო კურიკულუმებში:




სურათი 18.

როგორც ვხედავთ ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1-

23.7% , 2- 18.4% 3- 26.3, 4-21.1, 5.- 10.5%. საშუალო ქულის მიხედვით მაჩვენებელი დაბალია - 2.76 (იხ. სურათი 18).


16. ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება საძიებო სისტემები (მაგალითად, Google):



სურათი 19.

პასუხების მიხედვით, მასწავლებლების დაახლოებით 39,5 % გაკვეთილზე იყენებს საძიებო სისტემებს, ხოლო იმავე რაოდენობის 39,5% კი ან არასოდეს არ იყენებს ან იყენებს იშვიათად, ხანდახან ამ სისტემებს იყენებს 21,1 %. შედეგების და საერთო სურათის მიხედვით საშუალო ქულა ისევ დაბალია 3.00 (იხ. სურათი 19).


17. ლექსიკონი ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად:



სურათი 20.

მასწავლებლების 15,8 % კლასში ხშირად იყენებს ლექსიკონებს სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად, 18. 4% იყენებს ყოველთვის, 15.8 % არასოდეს, 21.1% იშვიათად და 28.9% ხანდახან. საშუალო ქულა - 3.00 (იხ. სურათი 20).


18. არ ვარ მოტივირებული ვასწავლო მოსწავლეებს ლექსიკონის გამოყენება:



სურათი 21.

გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა არის მოტივირებული ასწავლოს მოსწავლეებს ლექსიკონების გამოყენება, რადგან მათმა უმრავლესობამ აირჩია 1 და 2 ქულა, რაც იმას გულისხმობს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ამ შეკითხვის შინაარსს. საშუალო ქულა არის დაბალი - 2.13, თუმცა კითხვაზე პასუხი დადებითია (იხ. სურათი 21).


19. მანქანური მთარგმნელები (მაგალითად, google translate) გამოიყენება ლექსიკონების ნაცვლად კლასში:



სურათი 22.

საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელთა უმრავლესობა მანქანურ მთარგმნელებს არ იყენებს, მხოლოდ მცირედი პროცენტი იყენებს მათ: ხშირად - 10.5% და ყოველთვის 5.3%. საშუალო ქულა არის - 2.26 (იხ. სურათი 22).

20. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად:




სურათი 23.

ამ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით, ისევ უმრავლესობა

ცდისპირებისა არ იყენებს ლექსიკონებს ტექსტის შედგენისა თუ წერილების დასაწერად, საშუალო ქულა არის 2.42 (იხ. სურათი 23).


21. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად:



სურათი 24.

ამ შეკითხვაზე პასუხები ასე გადანაწილდა: 13.2% არ იყენებს ლექსიკონებს მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად, 13.2% იყენებს იშვიათად, 28.9% ხანდახან, 23.7% ხშირად და 21.1 % ყოველთვის. შედეგებიდან გამომდინარე საშუალო ქულა შედარებით მაღალია 3.26 (იხ. სურათი 24).


22. ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად:



სურათი 25.

ამ კითხვაზე პასუხს მასწავლებლების უმრავლესობა - 47.4% ანიჭებს 1 ქულას, 13.2% - 2 ქულას, 28.9% - 3 ქულას, 1.5% - 4 ქულას და 0% - 5 ქულას. საშუალო ქულაა - 2.03 (სურათი 25).


23. ჩემს გაკვეთილზე ვმუშაობთ ლექსიკონის დახმარებით სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე ტექსტში:



სურათი 26.

მასწავლებლების უმრავლესობა 34.2% არ იყენებს ლექსიკონებს კლასში სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობისათვის ტექსტში. იშვიათად იყენებს 26.3% პროცენტი, ხანდახან - 23.7%, ხშირად 10.5% და ყოვეთვის 5.3%. საშუალო ქულაა 2.26 (იხ. სურათი 27).

24. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით განვიხილავთ ომონიმურ სიტყვებს:



სურათი 27.

გამოკითხული მასწავლებლის 28.9% კლასში ლექსიკონის დახმარებით არ მუშაობს ომონიმიაზე, 28.9% მუშაობს იშვიათად, 23.7% - ხანდახან, 15.8% ხშირად და 2,6% ყოველთვის. საშუალო ქულა დაბალია - 2.34 (სურათი 27).


25. ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით ვადგენთ კონვერსიული სიტყვების მეტყველების ნაწილს:



სურათი 28.

ამ კითხვაზე გაცემული პასუხების მიხედვით გამოკითხული მასწავლებლების 36.8% არ მუშაობს კლასში კონვერსიაზე, 23.7% მუშაობს იშვიათად, ხანდახან - 23.7%, ხშირად 10.5 % და ყოველთვის - 5.3%. საშუალო ქულა არის 2.24 (ის. სურათი 28).

26. მე ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე ტრენინგ-კურსის, სემინარის დროს:



სურათი 29.

ამ კითხვას მასწავლებელთა უმრავლესობა 76.3% პასუხობს 1 ქულით, 15.8% მასწავლებლებისა 2 ქულით, 5.3% - 3 ქულით, 2.6% - 4 ქულით, 0% - 5 ქულით. საშუალო ქულა კი არის 1.34 (იხ. სურათი 29).

პასუხების უკეთ აღსაქმელად, კითხვარის ამ ნაწილის ყველა კითხვა და მიღებული პასუხების საშუალო ქულები, ასევე სტანდარტული გადახრა წარმოდგენილია მე-6 ცხრილში.

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
1.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	2.87	1.38
2.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	3.05	1.31
3.	ჩემი გაკვეთილის ნაწილს ვუთმობ ლექსიკონში სათანადო ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარებას.	2.71	1.35
4.	მე მჭირდება ტრენინგი და პროფესიული განვითარება ლექსიკონის გამოყენების სწავლებისათვის.	1.84	1.13
5.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	2.97	1.40
6.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონი გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	3.03	1.46

7.	მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილზე გავაცნო სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების არსებობა.	3.53	1.27
8.	ვფიქრობ, რომ შევძლებდი გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი).	3.42	1.24
9.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	3.11	1.43
10.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაცნობ ლექსიკონის მთლიან სტრუქტურას (შესავალი, შემოკლებები, დანართები და სხვა).	2.82	1.35
11.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს.	2.95	1.43
12.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად.	2.42	1.33
13.	გაკვეთილზე განვიხილავ ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურას და კოდირების სისტემებს (მაგალითად:	2.63	1.34

	მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, შემოკლებები და ა.შ.)		
14.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში.	3.00	1.25
15.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს სასკოლო კურიკულუმებში.	2.76	1.32
16.	ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სამიეზო სისტემები (მაგალითად, Google)	3.00	1.34
17.	ლექსიკონი ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	2.13	1.09
18.	არ ვარ მოტივირებული ვასწავლო მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენება.	2.67	1.24
19.	მანქანური მთარგმნელები (მაგალითად, google translate) გამოიყენება ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.26	1.22
20.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად.	2.42	1.18
21.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად.	3.26	1.31
22.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს	2.03	1.10

	სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.		
23.	ჩემს გაკვეთილზე ვმუშაობთ ლექსიკონის დახმარებით სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე ტექსტში.	2.26	1.20
24.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით განვიხილავთ ომონიმურ სიტყვებს.	2.34	1.15
25.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით ვადგენთ კონვერსიული სიტყვების მეტყველების ნაწილს	2.24	1.22
26.	მე ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე ტრენინგ-კურსის, სემინარის დროს.	1.34	0.71

ცხრილი N 6.

ზემოთ მოცემულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზმა დაგვანახა, რომ პასუხების შედეგების უმრავლესობის საშუალო ქულა არის ზღვრული - 3.00 ან დაბალი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მასწავლებლები ლექსიკონის გამოყენებას პრაქტიკულად არ ასწავლიან სკოლის მოსწავლეებს. დადებითი პასუხები მივიღეთ რამდენიმე კითხვაზე, რაც უკავშირდება ლექსიკონის გამოყენებას სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად ან მოსწავლის ლექსიკონის გამდიდრებისათვის. უარყოფითი პასუხები 23-ე, 24-ე და 25-ე კითხვებზე აჩვენებს, რომ პოლისემიის, ომონიმისა და კონვერსიის სწავლების საკითხები სრულიად უგულებელყოფილია მასწავლებლების მიერ. პრაქტიკულად უარყოფითია პასუხი (საშუალო ქულა - 3.0) მე-14 კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების შესწავლა შეტანილი ეროვნულ სასწავლო

გეგმაში. ამ ფონზე ვფიქრობთ, საგულისხმოა დადებითი პასუხები კითხვაზე: „ვფიქრობ, რომ შევძლებდი გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი).“ ასევე უარყოფითია პასუხი მე-18 კითხვაზე „არ ვარ მოტივირებული ვასწავლო მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენება,“ რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასწავლებლები არიან მოტივირებული მიაქციონ ამ საკითხებს მეტი ყურადღება, თუმცა მათ სჭირდებათ სასწავლო რესურსები და დახმარება.

პასუხების სტანდარტული გადახრის ციფრები მერყეობს 0.71-დან 1.46-მდე, მათი უმეტესობა კი 1-ზე მეტია, რაც მიუთითებს მასწავლებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საკმაოდ ფართო გავრცელებაზე. რაც შეეხება კვლევის ამ ნაწილის შედეგების სანდოობასა და შინაგან შეთანხმებულობას, რომელიც გაიზომა კრონბახერის ალფა კოეფიციენტით, იგი შეადგენს $\alpha = 0.993$. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს კითხვების შინაგან შეთანხმებულობაზე და იმაზე, რომ ისინი თანმიმდევრულად ზომავენ კვლევის ძირითად კითხვას, მასწავლებლების მიერ ლექსიკონის გამოყენებასა და, ზოგადად, ლექსიკონის გამოყენების აღქმას.

კითხვარის შევსების დასრულების შემდეგ დამაინტერესა ზოგიერთმა საკითხმა, ამიტომ გამოკითხული პედაგოგების ნაწილს, რომლებიც ჩემი კოლეგები არიან და შემოდგომა მათთან კომუნიკაცია, გავესაუბრე კითხვარის შესახებ. საუბარი არ მიმდინარეობდა გამოკითხვის რეჟიმში, არამედ, პირიქით, კოლეგიალურ გარემოში. მასწავლებლებთან უშუალო გასაუბრებით დავადგინე, რომ კითხვარის რიგი საკითხები მათთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, კერძოდ, ეს ეხებოდა სპეციალურ სახელმძღვანელოებთან და სავარჯიშოებთან დაკავშირებულ კითხვებს, რომლებიც მასწავლებლებს უნდა დაეხმაროს მოსწავლეებისათვის ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაში. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კითხვარში იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომლებსაც ისინი ადრე არ აქცევდნენ ყურადღებას და არ ფიქრობდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო ლექსიკონის გამოყენება ენების სწავლების დროს. ამავდროულად, ეს კითხვარი ბევრი

მასწავლებლისთვის ძალიან ინფორმაციულიც აღმოჩნდა, მათ ბევრი საინტერესო საკითხი გაიგეს ლექსიკონების გამოყენების შესახებ. მაგალითად, პოლისემიური სიტყვების კონტექსტუალური მნიშვნელობების ძებნა სალექსიკონო სიტყვა-სტატიის გამოყენებით, კონვერსიისა და ომონიმის საკითხები და სხვა. კითხვარმა ისინი ასევე დააფიქრა ხელოვნური ინტელექტისა და სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენების საჭიროებაზე უცხოური ენების სწავლების პროცესში.

3.3. რეგიონების საჯარო სკოლების ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები.


რეგიონების საჯარო სკოლებიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 20-მა მასწავლებელმა, მათ შორის ბათუმიდან (35%), ქუთაისიდან (30%), ქარელის მუნიციპალიტეტიდან (20%), წალენჯიხიდან (15%). ეს მასწავლებლები რეგიონებში ასწავლიან ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. მასწავლებელთა 25% ასწავლის ქართულს, 55% - ინგლისურს, 20% კი რუსულს.

გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლების სქესი - მდედრობითი 100%.

მონაწილეების ასაკი: 25-30 წლის - 5% , 30-35 წლის 10%, 35-40 წლის 20%, 40-45 წლის - 30% და 50 და მეტი წლის- 35% (იხ. სურათი 30).

2. გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი ასაკი

20 responses



სურათი 30.

რაც შეეხება გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლების პედაგოგიურ გამოცდილებას, აღნიშნულ კითხვებზე მივიღეთ შემდეგი პასუხები:

1. გაქვთ თუ არა ენის სწავლების გამოცდილება (საჯარო ან კერძო სკოლაში)?

ამ კითხვაზე პასუხის 100 % იყო დადებითი.

2. ენის სწავლება კერძოდ, რეპეტიტორობა

დადებითი პასუხი: 75% და უარყოფითი პასუხი: 25%

3. სწავლება დაწყებით საფეხურზე

დადებითი პასუხი: 90% და უარყოფითი პასუხი: 10%

4. სწავლება საბაზო საფეხურზე

დადებითი პასუხი: 90% და უარყოფითი პასუხი: 10 %

5. სწავლება საშუალო საფეხურზე:

დადებითი პასუხი: 90% და უარყოფითი პასუხი: 10 %

შემდეგი კითხვა შეეხებოდა ენის სწავლების გამოცდილებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს როგორც დამწყებმა, ისე გამოცდილმა პედაგოგებმა: 6-წლიანი გამოცდილებით (5%), 9-წლიანი სტაჟით (5%), 10-წლიანი სტაჟით (10%), 11-წლიანი სტაჟით (5%), 12-წლიანი სტაჟით (5%), 13-წლიანი გამოცდილებით (5%), 15-წლიანი გამოცდილებით (10%), 16-წლიანი გამოცდილებით (15%), 17-წლიანი გამოცდილებით (5%), 20-წლიანი გამოცდილებით (10%), 23-წლიანი გამოცდილებით (5%), 35-წლიანი გამოცდილებით (10%), 37-წლიანი გამოცდილებით (5%) და 42-წლიანი გამოცდილებით (5%).

ამდენად, როგორც ქ. თბილისის, ისე რეგიონების მასწავლებლების გამოცდილება სრულიად საკმარისი და სანდო იყო მათი კვლევაში მონაწილეობისათვის.

პირველი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელი ტიპის ლექსიკონები აქვთ ამჟამად მასწავლებლებს: ბეჭდური, ონლაინ-, თუ მათ მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია. მასწავლებლების პასუხებიდან ირკვევა, რომ მათ უმრავლესობას აქვს ონლაინლექსიკონები, რაც თავისთავად არ გამორიცხავს ბეჭდური ლექსიკონების ფლობას, რადგან ერთ ცდისპირს შეეძლო მოენიშნა ორი სავარაუდო პასუხი. თუმცა ისინი ყველაზე ნაკლებად ფლობენ მათ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას.

კითხვარის ამ ნაწილის მომდევნო კითხვა არკვევს, თუ რომელი ტიპის ლექსიკონებს იყენებენ მასწავლებლები: განმარტებითს, ორთოგრაფიულს, უცხო სიტყვათა თუ ორენოვანს. პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადი ლექსიკონი არის უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონები, შემდეგ განმარტებითი ლექსიკონები და ორენოვანი ლექსიკონები, ბოლოს კი ორთოგრაფიული ლექსიკონები.

კითხვაზე, თუ რომელ ლექსიკონებს და სხვა ონლაინრესურსებსა თუ აპლიკაციებს იყენებენ პედაგოგები ყველაზე ხშირად: ბეჭდურს, ელექტრონულს, ონლაინლექსიკონს, საკუთარ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას, საძიებო სისტემებს თუ მანქანურ მთარგმნელს, პასუხებმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადია ონლაინლექსიკონები, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ჰქონდა ბეჭდურ ლექსიკონებს და სათარგმნ აპლიკაციას და პროგრამას.

მომდევნო კითხვაში ჩამოთვლილი იყო სხვადასხვა ლექსიკონი და პედაგოგებს უნდა მიეთითებინათ ის ლექსიკონები, რომელთაც იყენებენ. პასუხები ფასდებოდა 5-ბალიანი სისტემით (1 -არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის). ქვემოთ წარმოდგენილია ლექსიკონების ჩამონათვალი და პასუხების საშუალო ქულები.

კითხვა: „რომელ ქართულ და სხვა, არაქართულ ლექსიკონებს იყენებთ?“

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<https://ena.ge/explanatory-online>) – 2.50
2. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (<https://ena.ge/orthography-online>) - 2.26
3. ქართული მართლწერის შემმომწმებელი პროგრამა "მცდარბეჭდილმძებნი" (<https://spellchecker.ge/>) - 1,95
4. რუსულ-ქართული ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=9>) - 2.00
5. ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი (<https://en.bab.la/dictionary/english-georgian/>) - 2.74
6. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

(<https://dictionary.ge>) - 2.89

7. რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<https://slovarozhegova.ru/>) - 1.89

8. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Cambridge

(<https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/>) - 3.22

9 . ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Longman

(<https://www.ldoceonline.com>) - 2.50

10. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Macmillan

(<https://www.macmillanenglish.com/ge/dictionary>) - 2.61

11. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Oxford

(<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>) - 2.89

12. ინგლისური ენის ლექსიკონი - The Free Dictionary

(<https://www.thefreedictionary.com>) - 2.22

13. ინგლისური ენის ლექსიკონი - Urban Dictionary

(<https://www.urbandictionary.com>) - 2.06

და გრაფაში სხვა, მიუთითეს: იდიომებისა და ბარბარიზმების ლექსიკონები, აგრეთვე მთარგმნელობითი ვებსაიტი translate.ge.

შედეგებიდან ირკვევა რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადია ინგლისური ენის შესწავლისას კემბრიჯის და ოქსფორდის ლექსიკონები, რაც ალბათ უფრო მათი პოპულარობიდან გამომდინარეობს, ასევე, გრაფაში სხვა აღინიშნა იდიომების, ბარბარიზმების ლექსიკონების გამოყენება, ეს მიუთითებს რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განსაკუთრებული შემთხვევების დროს დასჭირდა ამ ტიპის ლექსიკონების გამოყენება. რაც შეეხება translate.ge-ს გამოყენებას, ვფიქრობ, რომ რეგიონის მასწავლებლისთვის ეს საიტი უფრო ხელმისაწვდომია.

კვლევის შემდგომი ნაწილი ეხება ლექსიკონის გამოყენებას ენის სწავლებისას და მოიცავს 26 კითხვას. მასწავლებლებს პასუხები აქვთ უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე ქულით (1- არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის).

კითხვარის ამ ნაწილის 26 კითხვა და რეგიონის მასწავლებელთა პასუხების საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა წარმოდგენილია მე-7 ცხრილში.

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
1.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	2.95	1.28
2.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.80	1.32
3.	ჩემი გაკვეთილის ნაწილს ვუთმობ ლექსიკონში სათანადო ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევების განვითარებას.	2.65	1.18
4.	მე მჭირდება ტრენინგი და პროფესიული განვითარება ლექსიკონის გამოყენების სწავლებისათვის.	1.55	1.00
5.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	2.25	1.29
6.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონი გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	2.85	1.60

7.	მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილზე გავაცნო სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების არსებობა.	3.40	1.27
8.	ვფიქრობ, რომ შევძლებდი გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი).	3.05	1.50
9.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	3.15	1.42
10.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაცნობ ლექსიკონის მთლიან სტრუქტურას (შესავალი, შემოკლებები, დანართები და სხვა).	2.70	1.38
11.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს.	2.80	1.54
12.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად.	2.30	1.38
13.	გაკვეთილზე განვიხილავ ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურას და კოდირების სისტემებს (მაგალითად:	2.15	1.31

	მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, შემოკლებები და ა.შ.)		
14.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში.	2.70	1.49
15.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს სასკოლო კურიკულუმებში.	2.50	1.43
16.	ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სამიეზო სისტემები (მაგალითად, Google)	2.85	1.46
17.	ლექსიკონი ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	2.65	1.42
18.	არ ვარ მოტივირებული ვასწავლო მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენება.	2.05	1.15
19.	მანქანური მთარგმნელები (მაგალითად, google translate) გამოიყენება ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.05	1.28
20.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად.	2.20	1.25
21.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად.	3.10	1.21
22.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს	2.10	1.39

	სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.		
23.	ჩემს გაკვეთილზე ვმუშაობთ ლექსიკონის დახმარებით სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე ტექსტში.	2.40	1.23
24.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით განვიხილავთ ომონიმურ სიტყვებს.	2.35	1.25
25.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით ვადგენთ კონვერსიული სიტყვების მეტყველების ნაწილს	2.10	1.25
26.	მე ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე ტრენინგ-კურსის, სემინარის დროს.	1.75	1.25

ცხრილი N 7.

როგორც ვხედავთ, შედეგების მიხედვით, კითხვათა უმრავლესობაზე პასუხი საშუალო ქულაზე დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების საკითხებს თითქმის არ აქცევს მასწავლებელი ყურადღებას, უფრო მეტიც, ცდისპირების დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რამდენი საჭირო ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მათი გამოყენებით სწავლების პროცესში და როგორ შესაძლებლობებს გვაძლევს ლექსიკონები ენის სწავლების სწორი მიმართულებით წარმართვის თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები არიან მოტივირებულები ასწავლონ მოსწავლეებს

ლექსიკონის გამოყენის საკითხები და აუცილებელ საჭიროებად თვლიან, რომ არსებობდეს შესაბამისი სახელმძღვანელო და სავარჯიშოების კრებული.

რეგიონის საჯარო სკოლების მასწავლებელთა პასუხების სტანდარტული გადახრის ციფრები მერყეობს 1.00-დან 1.60-მდე, რაც მიუთითებს მასწავლებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საკმაოდ ფართო გავრცელებაზე. რაც შეეხება კვლევის ამ ნაწილის შედეგების სანდოობასა და შინაგან შეთანხმებულობას, რომელიც გაიზომა კრონბახერის ალფა კოეფიციენტით, იგი შეადგენს $\alpha = 0.9952$. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, ისევე როგორც ქ. თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, რომელიც მიუთითებს კითხვების შინაგან შეთანხმებულობაზე, მათ სანდოობაზე და იმაზე, რომ ისინი თანმიმდევრულად ზომავენ კვლევის ძირითად კითხვას, მასწავლებლების მიერ ლექსიკონის გამოყენებასა და, ზოგადად, ლექსიკონის გამოყენების აღქმას.

ქ. თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და რეგიონების საჯარო სკოლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგების შედარების მიზნით, მე-8 ცხრილში ეს მონაცემები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი:

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა (თბილისის სკოლის მასწავლებლები)	საშუალო ქულა (რეგიონის სკოლის მასწავლებლები)
1.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	2.87	2.95
2.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	3.05	2.80
3.	ჩემი გაკვეთილის ნაწილს ვუთმობ ლექსიკონში სათანადო ინფორმაციის	2.71	2.65

	მოდების უნარ-ჩვევების განვითარებას.		
4.	მე მჭირდება ტრენინგი და პროფესიული განვითარება ლექსიკონის გამოყენების სწავლებისათვის.	1.84	1.55
5.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	2.97	2.25
6.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონი გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	3.03	2.85
7.	მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილზე გავაცნო სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების არსებობა.	3.53	3.40
8.	ვფიქრობ, რომ შევძლებდი გამეუმჯობესებინა ლექსიკონის გამოყენების სწავლება ხელმისაწვდომი რომ იყოს შესაბამისი სასწავლო საშუალებები და მასალები (მაგალითად, როგორიცაა სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების წიგნი).	3.42	3.05
9.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	3.11	3.15

10.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაცნობ ლექსიკონის მთლიან სტრუქტურას (შესავალი, შემოკლებები, დანართები და სხვა).	2.82	2.70
11.	ჩემს გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს.	2.95	2.80
12.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად.	2.42	2.30
13.	გაკვეთილზე განვიხილავ ლექსიკონის სიტყვა-სტატიის სტრუქტურას და კოდირების სისტემებს (მაგალითად: მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, შემოკლებები და ა.შ.)	2.63	2.15
14.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში.	3.00	2.70
15.	ლექსიკონის გამოყენების უნარ- ჩვევების შესწავლა შესული უნდა იყოს სასკოლო კურიკულუმებში.	2.76	2.50
16.	ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება საძიებო სისტემები (მაგალითად, Google)	3.00	2.85
17.	ლექსიკონი ჩემს გაკვეთილზე გამოიყენება სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	3.00	2.65
18.	არ ვარ მოტივირებული ვასწავლო მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენება.	2.13	2.05

19.	მანქანური მთარგმნელები (მაგალითად, google translate) გამოიყენება ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.26	2.05
20.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად.	2.42	2.20
21.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონები გამოიყენება მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად.	3.26	3.10
22.	ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.03	2.10
23.	ჩემს გაკვეთილზე ვმუშაობთ ლექსიკონის დახმარებით სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე ტექსტში.	2.26	2.40
24.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით განვიხილავთ ომონიმურ სიტყვებს.	2.34	2.35
25.	ჩემს გაკვეთილზე ლექსიკონის დახმარებით ვადგენთ კონვერსიული სიტყვების მეტყველების ნაწილს	2.24	2.10
26.	მე ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე ტრენინგ-კურსის, სემინარის დროს.	1.34	1.75

ცხრილი N 8.

ქ. თბილისისა და რეგიონების მასწავლებლების საშუალო პასუხები აჩვენებს, რომ ლექსიკონის სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით ვითარება მეტ-ნაკლებად ერთნაირია დედაქალაქსა და რეგიონებში. ცხრილის შედეგების მიხედვით კარგად ჩანს, რომ საშუალო ქულის მიხედვით შედეგები თბილისის სკოლისა და რეგიონის სკოლის ქართული ენისა და დასავლური ენების მასწავლებლებს შორის თითქმის თანაბარია. ნათელია, რომ ლექსიკონის გამოყენების სწავლებას არც რეგიონებში ექცევა ყურადღება, თუმცა ნიშანდობლივია, რომ რეგიონის მასწავლებლებიც ფიქრობენ, რომ სათანადო სასწავლო რესურსების არსებობის შემთხვევაში, უკეთ შეძლებდნენ მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებას.

3.4 აღმოსავლური ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები

ამ ეტაპზე აღმოსავლური ენები სკოლებში არ ისწავლება, თუმცა ჩავთვალო, რომ ამ ენების სწავლებისას ლექსიკონების გამოყენების პრაქტიკის გაცნობა საინტერესო იქნებოდა კვლევის შედეგების ანალიზისთვის. აღმოსავლური ენების მასწავლებლებთან ჩავიწერე ინტერვიუები და სულ გამოვკითხე 10 მასწავლებელი, მათ შორის: 3 კორეული ენის მასწავლებელი, 2 იაპონური ენის მასწავლებელი, 1 სპარსული ენის მასწავლებელი და 4 ჩინური ენის მასწავლებელი.

მასწავლებლებთან ინტერვიუ იგივე კითხვარით წარიმართა, რითაც ქართული და ევროპული ენების მასწავლებლებთან. მათი პედაგოგიური გამოცდილება მერყეობს 3 წლიდან 20 წლამდე. ისინი ასწავლიან ენებს როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ისე ენების შემსწავლელ ცენტრში და ასევე აქვთ რეპეტიტორობის გამოცდილება.

შეკითხვაზე თუ რომელ ლექსიკონებს იყენებენ ყველაზე ხშირად, თითქმის ყველას პასუხი იყო ერთი - ონლაინლექსიკონები. აღმოსავლური ენის შემსწავლელი მასწავლებლების უმრავლესობა ხშირად იყენებს უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს

და ორენოვან ლექსიკონებს. ორენოვანი ლექსიკონები, რომლებსაც ისინი იყენებენ სასწავლო პროცესში სიტყვების მნიშვნელობის დასადგენად, არის ძირითადად ინგლისურ- ან რუსულენოვანი ლექსიკონები. ასევე, მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სხვადასხვა ინტერნეტსაიტებს, რომლებიც მათ ფრაზების, კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობაში ეხმარება. აღმოსავლური ენების მასწავლებლები ასევე იყენებენ ბეჭდურ ლექსიკონებს, თუ ეს მოცემულია მათ სახელმძღვანელოში. მასწავლებლების უმრავლესობა, საჭიროებისამებრ, წინასწარ უმზადებს მოსწავლეებს უცხო სიტყვების ჩამონათვალს და მათ არ უფიქრიათ ესწავლებინათ ენის შემსწავლელისათვის სიტყვის მნიშვნელობების მოძიება ლექსიკონში, რათა მომავალში შეძლებოდათ დამოუკიდებლად მუშაობა. თუმცა, ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა მოსწავლეებს შეძლებოდათ უცხო სიტყვების დამოუკიდებლად მოძიება ლექსიკონებში. აღმოსავლური ენის მასწავლებლები უჩივიან სასწავლო რესურსების სიმცირეს და მათთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ნებისმიერი სახის დამხმარე სახელმძღვანელოს არსებობა: ლექსიკონი, დამხმარე სავარჯიშოების კრებული თუ სხვა რესურსები. აღმოსავლური ენის მასწავლებლები ლექსიკონებს ძირითადად იყენებენ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად და ლექსიკონის გასამდიდრებლად.

რამდენიმე მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა მოსწავლეებს ადრეულ ასაკში შეესწავლათ ლექსიკონზე მუშაობა და მოზრდილობის ასაკში უკვე ჩამოყალიბებული იქნებოდათ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების კულტურა, რომელიც აუცილებლად წაადგებოდათ ნებისმიერი ენის შესწავლისას. ერთმა მასწავლებელმა ისიც კი აღნიშნა, რომ მას ლექსიკონის გამოყენება მისმა ინგლისური ენის მასწავლებელმა ასწავლა და შემდგომ მას ძალიან უმარტივდებოდა სხვადასხვა სახის დავალებების შესრულება. ამიტომ აღმოსავლური ენების მასწავლებლები თვლიან, რომ კარგი იქნებოდა და აუცილებელიცაა არსებობდეს ლექსიკონის გამოყენების განმავითარებელი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, სავარჯიშოების კრებული, ამ მიზნით შექმნილი ინტერნეტპროგრამები, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესში. ერთ-ერთმა კორეული ენის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კორეულ ენაში არ არის ქართული ენის ზედსართავი სახელების მსგავსი მეტყველების ნაწილი, არის

ეკვივალენტობის პრობლემა გრამატიკულ და ლექსიკურ დონეებზე, კორეულში არის ომონიმების დიდი რაოდენობა, რაც სათანადო სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების გარეშე ართულებს სწავლა-სწავლების პროცესს.

აღმოსავლური ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი არიან მოტივირებულები ასწავლონ მათ მოსწავლეებს ლექსიკონის გამოყენება და თანხმდებიან იმაზე, რომ აუცილებელია შემსწავლელებს გააცნონ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების არსებობა და მათი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

ინტერვიუს დროს იყო ისეთი მომენტიც როცა ერთ-ერთმა მასწავლებელმა (21 წლის, 2-წლიანი სტაჟით) ჩემ შეკითხვებზე, იყენებდა თუ არა სასწავლო პროცესში ლექსიკონებს პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობების დასადგენად ან სათანადო ომონიმის ამოსაცნობად კონტექსტში ლექსიკონის დახმარებით, კითხვა ვერ გაიგო და მკითხა რას ნიშნავდა პოლისემია და ომონიმია. როცა განვუმარტე, თუ რას ვგულისხმობდი, მაშინ გამცა პასუხი, რომ იშვიათად იყენებდა ამისთვის ლექსიკონებს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ როცა მასწავლებელმა თავად არ იცის ეს საკითხები, აქ აუცილებელია ტრენინგები, მით უფრო, რომ მათი მოტივაცია ისწავლონ და ასწავლონ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები, არის ძალიან დიდი. ენის სპეციფიკიდან გამომდინარეც არის ეს აუცილებელი და ის, რომ მოსწავლეები ხშირად იყენებენ Google Translate-ს, სადაც ბევრი შეცდომაა, მომავალში ისინი შეძლებენ გაარჩიონ სწორი და მცდარი ინფორმაცია.

ინტერვიუს თანახმად, აღმოსავლური ენის მასწავლებლები და მისი მოსწავლეები არ იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს საგაკვეთილო პროცესში.

ასევე, მასწავლებლების დიდ ნაწილს არ უსწავლიათ ლექსიკონის გამოყენება არც ტრენინგკურსებზე და არც სხვაგან, მხოლოდ თვითონ ისწავლეს ლექსიკონზე მუშაობა როცა ეს დასჭირდათ, თუმცა გასაუბრების შემდეგ აღნიშნეს, რომ ინტერვიუს შემდეგ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი და ბევრი სიახლე გაიგეს ლექსიკონების გამოყენებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მათ ისიც აღიარეს, რომ ლექსიკონების

აქტიური გამოყენება შემსწავლელების მხრიდან უფრო გაუმარტივებს მათ სასწავლო პროცესს და უფრო საინტერესოს გახდის მას.

3.5 დასკვნა.

მასწავლებლების გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 68 მასწავლებელმა, მათ შორის 48 იყო თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ქართულ ენასა და ევროპულ ენებს, 10 იყო აღმოსავლური ენების მასწავლებელი, ხოლო 20 რეგიონების საჯარო სკოლების პედაგოგები. ქართული და ევროპული ენების მასწავლებლებს დაეგზავნათ კითხვარი, ხოლო აღმოსავლური ენების მასწავლებლებთან ჩავიწერე ინტერვიუები. მასწავლებლების უმრავლესობას აქვს სოლიდური პედაგოგიური სტაჟი, რამაც მათი მონაწილეობა გამოკითხვაში გახადა სანდო და რელევანტური.

პასუხებიდან გამომდინარე, უმრავლესობა ფლობს ონლაინლექსიკონებს და ამასთანავე ყველაზე გამოყენებადი სწორედ ამ ტიპის ლექსიკონებია. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მომხმარებლებს ონლაინლექსიკონის გამოყენება უმარტივებს სიტყვის მნიშვნელობის მოძიებას, თუ სხვა საჭირო ინფორმაციის მიღებას, ეს პროცესი უფრო კომფორტულია მათთვის.

რაც შეეხება სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენების სიხშირეს, აქ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენება არც ისე ხშირია უცხოური თუ ქართული ენის მასწავლებლების მხრიდან. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ინგლისური ენის ლექსიკონებს სხვებთან შედარებით და ეს კი აიხსნება იმით, რომ ყველაზე მეტი მონაწილე ამ გამოკითხვაში იყო ინგლისური ენის მასწავლებელი. ოქსფორდისა და კემბრიჯის ლექსიკონების მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, მათი პოპულარობით შეიძლება აიხსნას.

საგაკვეთილო პროცესის დროს ლექსიკონის გამოყენების საკითხებს კი, როგორც შედეგებიდან დავინახეთ, საკმაოდ დაბალი ქულები აქვს. გამოკითხვიდან ირკვევა, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი ან არ არის ინფორმირებული ლექსიკონების გამოყენების

საკითხების შესახებ ან არ აქცევდნენ ადრე ამ საკითხს დიდ ყურადღებას. ცდისპირების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იქნება სპეციალური სახელმძღვანელო და სავარჯიშოების ციკლი მეთოდური მითითებებით, რაც მათ გაუადვილებს საგაკვეთილო პროცესში ლექსიკონის გამოყენების სწავლების ინტეგრაციას. პირადი გასაუბრების შემდეგ, მასწავლებლების ნაწილი იმასაც კი ადასტურებდა, რომ ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების საკითხები უნდა შევიდეს ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, რათა ამ პრობლემას მეტი ყურადღება დაეთმოს. მასწავლებლებმა ასევე ხაზი გაუსვეს სალექციო თუ ტრენინგ-კურსების საჭიროებას, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ ლექსიკოგრაფიის პრობლემატიკაში და სწორად წარმართონ ლექსიკონის გამოყენების სწავლება სკოლებში.

რომ შევაჯამოთ, როგორც ქ. თბილისის ქართული ენის, ევროპული ენებისა თუ აღმოსავლური ენების მასწავლებლებს, ასევე, სხვადასხვა რეგიონების ქართული ენისა და ევროპული ენების მასწავლებლებს ნაკლებად აქვთ ნაფიქრი ლექსიკონის გამოყენების საკითხებზე. ამის მიზეზი არის ის, რომ მათ თავად არა აქვთ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები, არა აქვთ გააზრებული ლექსიკონის გამოყენების საჭიროება, არ იციან როგორ იქმნება ლექსიკონები და რა ტიპის ინფორმაციის მოპოვება შეიძლება ამ ნაშრომებიდან. შესაბამისად, ისინი ამ საკითხებს არც თავის მოსწავლეებს არ ასწავლიან. ნიშანდობლივია ერთ-ერთი მასწავლებლის კითხვა ინტერვიუს დროს პოლისემიის, კონვერსიისა და ომონიმის რაობის შესახებ. როდესაც კითხვები დავუსვი, რომლებიც ამ ლექსიკურ საკითხებს ეხება, მან ვერ გაიგო კითხვა, რადგან, როგორც გაირკვა, არ ჰქონდა ინფორმაცია პოლისემიის, კონვერსიისა და ომონიმის შესახებ. გამოკითხვაში ძალიან დაბალი საშუალო ქულა ჰქონდა სწორედ იმ კითხვებს, რომლებიც პოლისემიას, კონვერსიასა და ომონიმას უკავშირდება. მასწავლებლები არ მუშაობენ ამ საკითხებზე, რადგან არ იციან რამდენად მნიშვნელოვანია ეს ლექსიკური საკითხები და მათი სწავლება. არ ასწავლიან არა იმიტომ, რომ არ არის სწავლების საჭიროება, არამედ იმიტომ, რომ არ იციან როგორ ასწავლონ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ გამოკითხვამ და პედაგოგებთან გასაუბრებამ კიდევ ერთხელ ნათლად დაანახა მათ ლექსიკონის გამოყენების საჭიროება ენის სწავლებისას,

ბევრმა ისიც აღიარა, რომ ჯობია კარგად გაერკვნენ ლექსიკონის გამოყენების საკითხებში და შემდეგ შეძლებენ მათი ცოდნის მოსწავლეებისთვის გადაცემას.

თავი IV

ლექსიკონის ქართველ მომხმარებელთა კვლევა სკოლებში: მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები

4.1 ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები

მოსწავლეების გამოკითხვის შემდეგ, აუცილებელ და მნიშვნელოვან ეტაპად მივიჩნიე მოსწავლეების გამოკითხვა, რომლებიც ცხადია სწავლობენ ქართულ ენას და ეუფლებიან სხვადასხვა უცხოურ ენებსაც. ცდისპირებად ავირჩიე მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეები, საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლეები, რომლებიც თბილისის საჯარო სკოლებში სწავლობენ.

კითხვარის დასაწყისი იყო გაცნობითი ხასიათისა და მოიცავდა კითხვებს ასაკისა და სქესის შესახებ, ასევე კითხვებს იმის შესახებ, თუ რომელ კლასში სწავლობენ და რომელ ენას ეუფლებიან მოსწავლეები. შემდეგ, მე-6 კითხვიდან შეკითხვები ეხებოდა ლექსიკონებს: თუ რომელი ტიპის ლექსიკონები აქვთ, როდის იყენებენ ლექსიკონებს, რამდენად ხშირად იყენებენ კითხვარში ჩამოთვლილ ლექსიკონებს. კითხვარის ბოლო ნაწილი კი ლექსიკონის გამოყენების საკითხებს ეხებოდა საგაკვეთილო პროცესში.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 58-მა მოსწავლემ. აქედან მამრობითი სქესი 32.8% და მდედრობითი სქესი 67.2%. ასაკის სიხედვით ყველაზე მეტი მონაწილე 48.3% იყო 16 წლის (სულ 28 მოსწავლე 58-ი მოსწავლიდან), შემდეგ 36,2% 15 წლის (სულ 21 მოსწავლე) და ბოლოს 15,5% 17 წლის (სულ 9 მოსწავლე).

კითხვაზე, თუ რომელ ენას სწავლობენ, ცდისპირების პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: ინგლისური 96.6% და რუსული 3,4%, ასევე, იყო შეკითხვა თუ სხვა

რომელიმე ენას სწავლობენ დამატებით და აქ პასუხი მათ თვითონ უნდა ჩაეწერათ. პასუხებში მოსწავლეებმა მონიშნეს: ესპანური, გერმანული და ფრანგული ენები.

შემდეგ კითხვაზე, იყენებდნენ თუ არა მოსწავლეები ლექსიკონებს, პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: დადებითი პასუხი 87.9% და უარყოფითი პასუხი 12.1%. ამ შეკითხვის ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი იმას მოწმობს, რომ მოსწავლეები აუცილებელ და მნიშვნელოვან ასპექტად თვლიან ლექსიკონის გამოყენებას უცხოური ენების სწავლის დროს.

მომდევნო კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელი ტიპის ლექსიკონი აქვთ ამჟამად მოსწავლეებს. აქ პროცენტული მაჩვენებელი გაიყო შემდეგნაირად: ბეჭდური ლექსიკონები - 44,8% და ონლაინლექსიკონები- 44,85%, ხოლო მათ მოწყობილებაზე ჩატვირთული აპლიკაცია (ლექტოპი, მობილური, ტაბლეტი) - 34,5%. პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ შესაძლოა მოსწავლეებს ერთდროულად აქვთ როგორც ონლაინ- ასევე, ბეჭდური ტიპის ლექსიკონები ან მათ მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია.

რადგან გამოკითხვაში მონაწილეობას ამ შემთხვევაში მოსწავლეები იღებდნენ, აუცილებლად ჩავთვალოთ ეს კითხვა დამესვა მათთვის, კერძოდ: „როდის იყენებთ ლექსიკონებს?“ ასარჩევი პასუხები იყო: უცხოური ენის სწავლის დროს; უცხოელ ადამიანებთან საკონტაქტოდ; კომპიუტერული თამაშების დროს. პასუხების შედეგები არის შემდეგი: უცხოური ენების სწავლების დროს 93.1%, უცხოელ ადამიანებთან საკონტაქტოდ კი 6.9%. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ მოსწავლეები ლექსიკონის გამოყენებას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ და ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად თვლიან უცხოური ენის შესწავლისას.

კითხვარის მომდევნო ნაწილის კითხვებზე პასუხების შეფასება ხდება 5-ბალიანი შკალით: 1-დან - 5ქულამდე (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის). შედეგები, ანუ საშუალო მაჩვენებლები 3-დან ქვევით უფრო უარყოფით პასუხს გულისხმობს და 3-დან ზევით უფრო დადებითს.

შეკითხვა N 1:

„რამდენად ხშირად იყენებთ მოცემული ლექსიკონების ტიპებს?“

1. მე ვიყენებ განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,00
2. მე ვიყენებ ორენოვან ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 2,57
3. მე ვიყენებ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3.09

პასუხების მიხედვით ყველაზე ხშირად გამოყენებადი ლექსიკონი არის უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონები, შემდეგ მოდის განმარტებითი ლექსიკონები და ბოლოს კი ორენოვანი ლექსიკონები.

შეკითხვა N2:

„ხშირად იყენებთ ქვემოთ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის ლექსიკონებს?“ აქაც პასუხები უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის).

1. მე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 2,55
2. მე ვიყენებ კომპიუტერში ჩატვირთულ ციფრულ ლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 2.69
3. მე ვიყენებ ჩემს მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას (ტაბლეთი, ტელეფონი, სმარტსაათი ან სხვა): საშუალო მაჩვენებელი - 2,59
4. მე ვიყენებ ონლაინლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 2.78
5. მე ვიყენებ სამიეზო სისტემას, როგორც ლექსიკონს (მაგალითად, მე ვეძებ სიტყვას ან ფრაზას ინტერნეტში): საშუალო მაჩვენებელი - 3,24
6. მე ვიყენებ სათარგმნ აპლიკაციას ან პროგრამას (მაგალითად, google translate): საშუალო მაჩვენებელი - 3.59.

მე, როგორც პედაგოგს, მოსწავლეების მიერ გაცემული პასუხების მიხედვით არ გამკვირვებია ის ფაქტი, რომ ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს რიგით მე-6 შეკითხვას - 3.59. ჩემი დაკვირვებითაც, მოსწავლეები ძალიან ხშირად იყენებენ სათარგმნ

აპლიკაციებს ან პროგრამებს, როგორიცაა მაგალითად, google translate, მათი აზრით, ეს პლატფორმა უფრო კომფორტული და ადვილად ხელმისაწვდომია მათთვის. აქ კი აუცილებელია მოსწავლემ იცოდეს, რამდენად სანდოა ასეთი პროგრამებიდან მიღებული ინფორმაცია მათთვის.

შეკითხვა N 3:

„რომელ ქართულ და სხვა, არაქართულ ლექსიკონებს იყენებთ?“

პასუხები აქაც უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის).

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<https://ena.ge/explanatory-online>): საშუალო მაჩვენებელი – 1.98

2. ქართული მართლწერის შემმოწმებელი პროგრამა „მცდარბეჭდილმძებნი“

(<https://spellchecker.ge/>): საშუალო მაჩვენებელი – 1,62

3. რუსულ-ქართული ლექსიკონი (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=9>) : საშუალო მაჩვენებელი – 1.74

4. ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი (<https://en.bab.la/dictionary/english-georgian/>): საშუალო მაჩვენებელი – 2.57

5. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (<https://dictionary.ge>) : საშუალო მაჩვენებელი – 2.25

6. ფრანგული ენის განმარტებითი ლექსიკონი

(https://www.lexilogos.com/francais_dictionnaire.htm): საშუალო მაჩვენებელი – 1.29

7. იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონი

(https://www.lexilogos.com/italien_dictionnaire.htm): საშუალო მაჩვენებელი – 1.35

8. რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი (<https://slovarozhegova.ru/>): საშუალო მაჩვენებელი – 1.54
9. ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონები (https://www.lexilogos.com/espagnol_dictionnaire.htm): საშუალო მაჩვენებელი – 1.53
10. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Cambridge (<https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/>): საშუალო მაჩვენებელი – 2.18
11. გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონი - Duden(<https://www.duden.de/woerterbuch>): საშუალო მაჩვენებელი – 1.45
12. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Longman (<https://www.ldoceonline.com>): საშუალო მაჩვენებელი – 2.00
13. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Macmillan (<https://www.macmillanenglish.com/ge/dictionary>): საშუალო მაჩვენებელი – 1.75
14. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონი - Oxford (<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>): საშუალო მაჩვენებელი – 2.00
15. ინგლისური ენის ლექსიკონი - The Free Dictionary (<https://www.thefreedictionary.com>): საშუალო მაჩვენებელი – 1.87
16. ინგლისური ენის ლექსიკონი - Urban Dictionary (<https://www.urbandictionary.com>): საშუალო მაჩვენებელი – 1.82.

ლექსიკონების ჩამონათვალის სიმრავლე განაპირობა იმან, რომ მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა უცხოურ ენას. ამ ჩამონათვალის ბოლოს იყო ღია პასუხი „სხვა“, სადაც ცდისპირებს უნდა ჩაეწერათ, თუ სხვა რომელ ლექსიკონებს იყენებენ გარდა ჩამოთვლილი ლექსიკონებისა. აქ პასუხად მოსწავლეებს google translate-ის პლატფორმა ჰქონდათ მითითებული.

როგორც შედეგებიდან ჩანს, პასუხი ყველა კითხვაზე არის საშუალოზე დაბალი. დავინტერესდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი იმ დროს, როდესაც კითხვაზე - იყენებენ თუ არა ლექსიკონებს უცხოური ენების სწავლისას - პასუხები იყო დადებითი. გავესაუბრე რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც იღებდნენ გამოკითხვაში მონაწილეობას და ჩემი ვარაუდი გამართლდა. როგორც ვფიქრობდი, მათი დიდი ნაწილი ლექსიკონად მიიჩნევს საძიებო სისტემებს და Google translate-ს. ზოგიერთი მათგანი ლექსიკონის სახელს ვერც ხვდებოდა, ნაცნობი იყო კემბრიჯისა და ოქსფორდის ლექსიკონები.

კითხვარის მესამე ნაწილი მოიცავს შეკითხვებს, რომლებიც უკავშირდება ლექსიკონის საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას და მოიცავს 36 კითხვას. მოსწავლეების კითხვარში შეკითხვების რაოდენობა მეტია მასწავლებლების კითხვართან შედარებით (26 კითხვა), რადგან საინტერესო იყო მათი პასუხები ზოგ დამატებით შეკითხვაზე, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდნენ ლექსიკონების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში. პასუხები უნდა შეეფასებინათ აქაც 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის).

მე-9 ცხრილში წარმოდგენილია როგორც კითხვები, ისე მოსწავლეების პასუხების საშუალო ქულები და სტანდარტული გადახრის მაჩვენებლები.

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
1.	ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.	3.59	1.35
2.	ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან) ვისწავლე	1.97	1.22
3.	მნიშვნელოვანია ვისწავლო ლექსიკონის სწორად გამოყენება.	3.74	1.25
4.	ლექსიკონში ყოველთვის ვკითხულობ შესავალს.	2.57	1.35

5.	კლასში განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მასში შემავალ ინფორმაციას.	2.02	1.35
6.	მე ჩვეულებრივ ვეცნობი ლექსიკონებში ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას.	2.59	1.38
7.	უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (მაგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).	2.40	1.36
8.	გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში შემავალი სიტყვა-სტატიის მთლიან სტრუქტურას.	2.28	1.36
9.	სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლეს ლექსიკონის გამოყენება.	2.66	1.47
10.	უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლეს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები (მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, შემოკლებები და სხვა)	2.45	1.37
11.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.	2.62	1.37
12.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საშუალო საფეხურზე.	2.71	1.35

13.	ჩვევა მაქვს გადავხედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.	2.36	1.41
14.	ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.	2.10	1.23
15.	ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე.	2.76	1.32
16.	ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება.	3.24	1.44
17.	გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	2.38	1.47
18.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.53	1.43
19.	გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	2.12	1.30
20.	გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	2.74	1.51
21.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	2.59	1.49
22.	გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს, ასევე,	2.19	1.41

	ლექსიკონისა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს.		
23.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად	2.17	1.25
24.	გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google)	2.57	1.45
25.	ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	2.57	1.44
26.	არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.	2.14	1.18
27.	მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.66	1.49
28.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ტექსტების შედგენის და წერილების დასაწერად.	2.14	1.25
29.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ლექსიკონის გასამდიდრებლად.	2.33	1.41
30.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.07	1.35
31.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ ომონიმიაზე.	2.22	1.30
32.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე	2.14	1.17

33.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.	2.16	1.16
34.	ლექსიკონის შეძენისას აზრს ვეკითხები მეგობარს, მასწავლებელს, რომელი ჯობია შესაძენად.	2.31	1.33
35.	ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ ვაქცევ ყურადღებას.	2.24	1.34
36.	მე მხოლოდ უფასო ლექსიკონებს ვიყენებ.	2.74	1.48

ცხრილი N 9.

4.1.1 შედეგების ანალიზი

როგორც ვხედავთ, პასუხების სტანდარტული გადახრის ციფრები მერყეობს 1.17-დან 1.51-მდე, რაც მიუთითებს მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საკმაოდ ფართო გავრცელებაზე. რაც შეეხება კვლევის ამ ნაწილის შედეგების სანდოობასა და შინაგან შეთანხმებულობას, რომელიც გაიზომა კრონბახერის ალფა კოეფიციენტით, იგი შეადგენს $\alpha = 0.998$. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს კითხვების შინაგან შეთანხმებულობაზე, მათ სანდოობაზე და იმაზე, რომ ისინი თანმიმდევრულად ზომავენ კვლევის ძირითად კითხვას, მოსწავლეების მიერ ლექსიკონის გამოყენებასა და, ზოგადად, ლექსიკონის გამოყენების აღქმას.

მოსწავლეები იყენებენ ლექსიკონებს უცხოური ენების შესწავლისას, რასაც მათი პასუხები ადასტურებს: დადებითი პასუხი 87.9% და უარყოფითი პასუხი 12.1%.

ძირითადად მოსწავლეები ფლობენ ბეჭდურ და ონლაინლექსიკონებს, ან აქვთ მათ მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია, მათი მხრიდან ლექსიკონების გამოყენება ხდება უცხოური ენების სწავლისას ან უცხოელ ადამიანებთან საკონტაქტოდ.

ჩამოთვლილი ლექსიკონების ტიპებიდან უმრავლესობა იყენებს უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონებს, რაც იმას ნიშნავს რომ მათთვის ლექსიკონის გამოყენება

მხოლოდ იმ დროს არის მიზანშეწონილი როცა საქმე უცხო სიტყვას ეხება. რატომ განმარტებითი? სავარაუდოდ იმიტომ, რომ მათ განმარტებითი ლექსიკონების გამოყენებას ავალბენ უცხოური ენების სწავლებისას.

კითხვარში მოცემული ლექსიკონების სახეობებიდან, პასუხების მაჩვენებელი ქულა საშუალოზე დაბალი აღმოჩნდა. მოსწავლეების უმრავლესობა იყენებს საძიებო სისტემებს ან მანქანურ მთარგმნელს (Google translate), რაც, სავარაუდოდ, ზოგ მოსწავლეს ლექსიკონი ჰგონია.

რაც შეეხება ლექსიკონის გამოყენების საკითხებს საგაკვეთილო პროცესში, აქ შეკითხვების საშუალო მაჩვენებელი არის ძირითადად დაბალი. ეს შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს, უცხოური ენების შესწავლისას, არ იყენებენ ლექსიკონს და არ ასწავლიან მის სწორად და ეფექტურად გამოყენებას. მოსწავლემ არ იცის რა სახის ინფორმაცია შეიძლება მოიძიოს ლექსიკონში, როგორც ფონეტიკური, ისე გრამატიკული და ლექსიკური. ლექსიკონები, მოსწავლეების პასუხების მიხედვით, არ გამოიყენება არც მართლწერის შესამოწმებლად, არც წარმოთქმისთვის, არც გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად, არც მნიშვნელობის დასადგენად. მოსწავლეების უმრავლესობამ არ იცის რა ტიპის ლექსიკონები არსებობს და საძიებო სისტემები ჰგონია ხშირად ლექსიკონი.

მიაჩნიათ თუ არა მოსწავლეებს საჭიროდ ლექსიკონის გამოყენების სწავლა? დიახ, მიაჩნიათ. ამ დასკვნას ამყარებს შემდეგი კითხვების პასუხების მაჩვენებლები: N14 შეკითხვა: „ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება“, საშუალო მაჩვენებელი - 2.10 და N15 შეკითხვა: „ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე“, საშუალო მაჩვენებელი - 2.76. ეს მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ მოსწავლეები არ ეთანხმებიან ამ შეკითხვებს, უფრო მეტიც, N16 შეკითხვაზე: „ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება“, პასუხების საშუალო მაჩვენებელი არის მაღალი - 3.24, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მათ მოსაზრებას, რომ მათ სჭირდებათ და საჭიროდაც თვლიან ისწავლონ ლექსიკონის სწორი გამოყენება.

ჩემთვის, ამ გამოკითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი სწორედ ეს დასკვნაა, მოსწავლეების სურვილი ისწავლონ ლექსიკონის სწორად გამოყენება.

არ გამკვირვებია დაბალი ქულები იმ შეკითხვების პასუხად, რომლებიც ეხება პოლისემიას, კონვერსიასა და ომონიმias. მასწავლებლების გამოკითხვამ ნათლად დაგვანახა, რომ ამ საკითხებზე საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებთან არ მუშაობენ. გამოკითხვის შემდეგ მქონდა საშუალება გავსაუბრებოდი რამდენიმე მოსწავლეს. ნიშანდობლივია, რომ რამდენიმე ბავშვმა ისიც კი აღნიშნა, რომ მათთვის სიახლე იყო თუ რამდენი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ლექსიკონების გამოყენებით და რამდენი ტიპის ლექსიკონი არსებობს.

4.2. ქ. თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების

გამოკითხვის შედეგების შედარებითი ანალიზი

ქ. თბილისის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შემდეგ, ერთმანეთს შევადარე მათი პასუხები. საგულისხმოა ის, რომ სადაც მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებთან იყენებს ლექსიკონებს სიტყვის მოძიების და ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად, ლექსიკონის გასამდიდრებლად და სიტყვის წარმოთქმის მოსაძიებლად, იქ მოსწავლეების პასუხების საშუალო მაჩვენებელი დაბალია. ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მასწავლებლებს გაკვეთილზე შეაქვთ წინასწარ მომზადებული მასალა, ახალი სიტყვების ჩამონათვალი და არ ასწავლიან მოსწავლეებს დამოუკიდებელ მუშაობას ამ ამოცანების გადასაჭრელად. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ არ არის საკმარისი დრო გაკვეთილზე, არ არსებობს შესაბამისი დამხმარე რესურსები დეტალურად გაწერილი გაკვეთილის გეგმით, რომლის გამოყენებასაც შეძლებდა მასწავლებელი. სხვა შემთხვევაში კი პასუხების საშუალო მაჩვენებელი როგორც მასწავლებლებთან, ისე მოსწავლეებთან დაბალია. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში არ მუშაობენ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობაზე, არც კონვერსიაზე და სიტყვის სწორი მეტყველების ნაწილის ამოცნობაზე, არც ომონიმიაზე და სხვა.

გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებლებთან უშუალო გასაუბრებამ, მათ რიგ საკითხებზე აზრი შეაცვლევინა. კერძოდ, გასაუბრების შემდეგ საჭიროდ მიიჩნიეს ლექსიკონის გამოყენების საკითხების შეტანა ეროვნულ სასწავლო გეგმასა თუ კურიკულუმში.

რაც შეეხება მოსწავლეებს, მათ მკაფიოდ გამოხატეს ლექსიკონის გამოყენების შესწავლის სურვილი, ხოლო ზოგიერთ მათგანთან გასაუბრების შემდეგ, მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ არ იცოდნენ ამდენი ტიპის ლექსიკონის არსებობის შესახებ და არც იმის შესახებ, რომ ლექსიკონებში ძალიან დიდი ინფორმაციაა შეტანილი.

4.3. რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები

რეგიონებიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქარელის რაიონის, ქუთაისისა და წალენჯიხის რაიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. კვლევაში მონაწილეობდა 14 მოსწავლე, მამრობითი სქესი -50% და მდედრობითი სქესი 50%. ცდისპირები იყვნენ X, XI და XII კლასის მოსწავლეებმა, ასაკი - 15, 16, 17 და 18 წლის. გამოკითხული მოსწავლეების ძირითადი ნაწილი სწავლობს შემდეგ უცხო ენებს: ინგლისური ენა 92.9% და რუსული 7.1%. გრაფაში სხვა, ზოგმა მოსწავლემ მიუთითა ესპანური და გერმანული ენები.

კითხვაზე იყენებენ თუ არა მოსწავლეები ლექსიკონებს, მათი პასუხებია: დიახ 78.6% და არა 21.4%. ეს გულისხმობს იმას რომ მოსწავლეების უმრავლესობა თვლის რომ ენების სწავლებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორია ლექსიკონების გამოყენება.

შემდეგი კითხვა ეხებოდა იმას, თუ რომელი ტიპის ლექსიკონები აქვთ ამჟამად. მათი პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: ბეჭდური ლექსიკონი - 35.7%, ონლაინლექსიკონები - 35.7%, მათ მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია (ლექტოპი, მობილური ტელეფონი, სმარტ საათი და სხვა) – 35.7%.

კითხვაზე, თუ როდის იყენებენ მოსწავლეები ლექსიკონებს პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: უცხოური ენის სწავლის დროს 71.4%, უცხოურელ ადამიანთან საკონტაქტო 7.1% და კომპიუტერული თამაშების დროს 21.4%. როგორც ვნახეთ მოსწავლეთა უმრავლესსა ლექსიკონებს იყენებს ენების სწავლების დროს,

შემდეგ მოდის კომპიუტერული თამაშები და ნაკლები მაჩვენებელი აქვს უცხოელ ადამიანებთან ურთიერთობის დროს ლექსიკონის გამოყენებას.

შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებენ ლექსიკონებს: განმარტებითს, ორენოვანს, უცხო სიტყვათა, პასუხები იყო საკმაოდ მაღალი:

1. მე ვიყენებ განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3,36
2. მე ვიყენებ ორენოვან ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3.43
3. მე ვიყენებ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3.29.

შეკითხვაზე, თუ რომელი ტიპის ლექსიკონს იყენებენ: ბეჭდურს, ელექტრონულს, მათ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას, საძიებო სისტემებს თუ სათარგმნ პროგრამებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საძიებო სისტემებს - 3,93, დაბალი მაჩვენებელი კი ბეჭდურ ლექსიკონებსა და კომპიუტერში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.

შეკითხვაზე, თუ რომელ ქართულ და სხვა არაქართულ ლექსიკონებს იყენებენ, პასუხების საერთო მაჩვენებელი არის დაბალი, გამონაკლისია კემბრიჯისა და ოქსფორდის ლექსიკონები, ისე როგორც სხვა გამოკითხვებში.

კითხვარის ბოლო ნაწილი ეთმობა ლექსიკონის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში და მოიცავს 36 კითხვას. კითხვები, მათზე პასუხების საშუალო მაჩვენებელი და სტანდარტული გადახრა მოცემულია მე-10 ცხრილში.

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
1.	ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.	4.07	0.83

2.	ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან) ვისწავლე	2.93	1.49
3.	მნიშვნელოვანია ვისწავლო ლექსიკონის სწორად გამოყენება.	4.14	1.03
4.	ლექსიკონში ყოველთვის ვკითხულობ შესავალს.	3.43	1.34
5.	კლასში განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მასში შემავალ ინფორმაციას.	3.00	1.62
6.	მე ჩვეულებრივ ვეცნობი ლექსიკონებში ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას.	3.43	1.45
7.	უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (მაგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).	3.29	1.64
8.	გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში შემავალი სიტყვა- სტატიის მთლიან სტრუქტურას.	3.43	1.45
9.	სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლეს ლექსიკონის გამოყენება.	3.50	1.51
10.	უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლეს სიტყვა-სტატიის		

	სტრუქტურა და კოდების სისტემები (მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, შემოკლებები და სხვა)	3.29	1.54
11.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.	3.64	1.28
12.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საშუალო საფეხურზე.	3.50	1.45
13.	ჩვევა მაქვს გადავხედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.	3.21	1.58
14.	ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.	2.86	1.83
15.	ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე.	2.93	1.69
16.	ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება.	3.64	1.45
17.	გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	3.21	1.58
18.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	3.21	1.31

19.	გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	3.07	1.44
20.	გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	3.57	1.28
21.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	3.43	1.40
22.	გაკვეთილზე ვიყენებ ონლაინლექსიკონებს, ასევე, ლეპტოპსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს.	2.79	1.53
23.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად	3.00	1.57
24.	გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google)	2.93	1.54
25.	ლექსიკონს გაკვეთილზე ვიყენებ სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	2.93	1.44
26.	არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.	2.86	1.46
27.	მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.71	1.49

28.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ტექსტების შედგენის და წერილების დასაწერად.	2.79	1.58
29.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ლექსიკის გასამდიდრებლად.	3.07	1.54
30.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.21	1.48
31.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ ომონიმიაზე.	2.79	1.81
32.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე	2.71	1.68
33.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.	2.79	1.67
34.	ლექსიკონის შემდგენისას აზრს ვეკითხები მეგობარს, მასწავლებელს, რომელი ჯობია შესაძენად.	3.21	1.63
35.	ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ ვაქცევ ყურადღებას.	2.93	1.73
36.	მე მხოლოდ უფასო ლექსიკონებს ვიყენებ.	3.43	1.55

ცხრილი N 10.

რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეების პასუხების სტანდარტული გადახრის მაჩვენებლი მერყეობს 0.80-დან 1.83 ჩათვლით, რაც მიუთითებს მოსწავლეების

მიერ გამოთქმული მოსაზრებების საკმაოდ ფართო გავრცელებაზე. რაც შეეხება კვლევის ამ ნაწილის შედეგების სანდოობასა და შინაგან შეთანხმებულობას, რომელიც გაიზომა კრონბახერის ალფა კოეფიციენტით, იგი შეადგენს $\alpha = 0.9972$. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს კითხვების შინაგან შეთანხმებულობაზე, მათ სანდოობაზე და იმაზე, რომ ისინი თანმიმდევრულად ზომავენ კვლევის ძირითად კითხვას, მოსწავლეების მიერ ლექსიკონის გამოყენებასა და ზოგადად, ლექსიკონის გამოყენების აღქმას.

როგორც შედეგებიდან ირკვევა, მოსწავლეების თითქმის უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ ლექსიკონის გამოყენება ისწავლა დამოუკიდებლად და არა ოჯახისგან ან ახლობლებისგან.

მოსწავლეების უმრავლესობა თვლის, რომ მნიშვნელოვანია ლექსიკონის სწორად გამოყენების შესწავლა, არიან მოტივირებულები განივითარონ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევები და მეტიც, აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევენ მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილონ უცხოური ენის სწავლისას. მოსწავლეების პასუხებიდან ირკვევა, რომ ისინი კითხულობენ ლექსიკონის შესავალ ნაწილს, ეცნობიან ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას და კოდირების სისტემებს, ძიების ტექნიკას, სიტყვა-სტატიის მთლიან სტრუქტურას, თუმცა არ იყენებ ლექსიკონებს წარმოთქმისა და მართლწერისთვის, გრამატიკული ინფორმაციისათვის, არ მუშაობენ ომონიმურ და კონვერსიულ სიტყვებზე, ან სიტყვის პოლისემიაზე.

მოსწავლეები პასუხები მოწმობს იმას, რომ მათ სკოლის სხვადასხვა საფეხურზე შეისწავლეს ლექსიკონების გამოყენების უნარები: დაწყებითი, საბაზო თუ საშუალო.

11-ე ცხრილში მოცემულია ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და რეგიონების საჯარო სკოლების მოსწავლეების პასუხების საშუალო მაჩვენებლები.

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა თბილისის მოსწავლეები	საშუალო ქულა რეგიონის მოსწავლეები

1.	ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.	3.59	4.07
2.	ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან) ვისწავლე	1.97	2.93
3.	მნიშვნელოვანია ვისწავლო ლექსიკონის სწორად გამოყენება.	3.74	4.14
4.	ლექსიკონში ყოველთვის ვკითხულობ შესავალს.	2.57	3.43
5.	კლასში განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მასში შემავალ ინფორმაციას.	2.02	3.00
6.	მე ჩვეულებრივ ვეცნობი ლექსიკონებში ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას.	2.59	3.43
7.	უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (მაგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).	2.40	3.29
8.	გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში შემავალი სიტყვა-სტატიის მთლიან სტრუქტურას.	2.28	3.43
9.	სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლეს ლექსიკონის გამოყენება.	2.66	3.50

10.	უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლეს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები (მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, შემოკლებები და სხვა)	2.45	3.29
11.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.	2.62	3.64
12.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საშუალო საფეხურზე.	2.71	3.50
13.	ჩვევა მაქვს გადავხედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.	2.36	3.21
14.	ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.	2.10	2.86
15.	ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე.	2.76	2.93
16.	ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება.	3.24	3.64
17.	გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	2.38	3.21

18.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.53	3.21
19.	გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	2.12	3.07
20.	გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	2.74	3.57
21.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	2.59	3.43
22.	გაკვეთილზე ვიყენებ ონლაინლექსიკონებს, ასევე, ლეპტოპსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს.	2.19	2.79
23.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად	2.17	3.00
24.	გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google)	2.57	2.93
25.	ლექსიკონს გაკვეთილზე ვიყენებ სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	2.57	2.93
26.	არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.	2.14	2.86

27.	მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.66	2.71
28.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ტექსტების შედგენის და წერილების დასაწერად.	2.14	2.79
29.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ლექსიკის გასამდიდრებლად.	2.33	3.07
30.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.	2.07	2.21
31.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ ომონიმიაზე.	2.22	2.79
32.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე	2.14	2.71
33.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.	2.16	2.79
34.	ლექსიკონის შემენისას აზრს ვეკითხები მეგობარს, მასწავლებელს, რომელი ჯობია შესაძენად.	2.31	3.21
35.	ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ ვაქცევ ყურადღებას.	2.24	2.93

36.	მე მხოლოდ უფასო ლექსიკონებს ვიყენებ.	2.74	3.43
-----	--------------------------------------	------	------

ცხრილი N 11.

როგორც შედეგებიდან ირკვევა, რეგიონის მოსწავლეებს უფრო მეტი დადებითი საშუალო მაჩვენებელი აქვთ კითხვებზე, ვიდრე თბილისის მოსწავლეებს. ეს შეიძლება გამომდინარეობს იქიდან, რომ რეგიონში მეტ ყურადღებას აქცევენ ლექსიკონის გამოყენების საკითხებს საგაკვეთილო პროცესის დროს, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როდესაც ამავე რეგიონების მოსწავლეები გამოიკითხა, მათი საშუალო მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში დაბალი იყო.

თბილისისა თუ რეგიონის სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ლექსიკონის სწორ გამოყენებას უცხოური ენის სწავლებისას, ასევე, მათთვის მნიშვნელოვანია გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს. აქ ორივე მხარეს, გამოკითხვების მიხედვით, მაღალი მაჩვენებლები აქვთ და აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსიკონების გამოყენება მათ დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეისწავლეს.


რეგიონის სკოლის მოსწავლეები უფრო ხშირად იყენებენ ლექსიკონებს საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესასრულებლად, ვიდრე თბილისის სკოლის მოსწავლეები.

თბილისის მოსწავლეები იყენებენ ფასიან ლექსიკონებს საჭიროებისამებრ, ხოლო მოსწავლეები სხვადასხვა რეგიონებიდან ძირითადად უფასო ლექსიკონებს მიმართავენ.

4.4. აღმოსავლური ენის შემსწავლელების გამოკითხვის შედეგები


ვფიქრობ რომ თბილისის და რეგიონის მოსწავლეების გამოკითხვის შემდეგ, რომლებიც ძირითადად ევროპულ ენებს შეისწავლიან, საინტერესო იყო აღმოსავლური ენების შემსწავლელების დამოკიდებულება ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი და იმისადმი, თუ როგორ იყენებენ ისინი ლექსიკონებს აღმოსავლური ენების შესწავლის დროს. ამიტომ გადავწყვიტე გამომეკითხა ის ახალგაზრდები, რომლებიც აღმოსავლურ ენებს შეისწავლიან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 32 ენის შემსწავლელმა, ძირითადად სტუდენტებმა.

გამოკითხვაში მონაწილეთა სქესი - მდედრობითი 100% (იხ. სურათი 31).



სურათი 31.

გამოკითხული აღმოსავლური ენის შემსწავლელების ასაკი მერყეობს 16 წლიდან 30 წლამდე: 16 წლის - 3.1%, 17 წლის 3.1%, 18 წლის - 12.5%, 19 წლის 21.9%, 20 წლის - 25%, 21 წლის - 15.6%, 22 წლის 12.5%, 27 წლის 3.1%, 30 წლის 3.1% (იხ. სურათი 32).



სურათი 32.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს იმ შემსწავლელებმა, რომლებიც ეუფლებიან კორეულ, იაპონურ, სპარსულ და ჩინურ ენებს. აქედან ყველაზე მეტი პროცენტი -78.1% კორეული ენის შემსწავლელები არიან.

შეკითხვაზე, იყენებენ თუ არა ლექსიკონებს, ყველა ცდისპირის პასუხი იყო დადებითი.

კითხვაზე, თუ რომელი ტიპის ლექსიკონები აქვთ ამჟამად, პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: ბეჭდური - 18.8%, ონლაინლექსიკონი 90.6% და მათ მოწყობილობაზე ჩატვირთული აპლიკაცია (ლექსიკონი, მობილური ტელეფონი, სმარტ საათი და სხვა) - 40.6%. როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად ცდისპირები იყენებენ ონლაინლექსიკონებს, შემდგომ მათ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას და ბოლოს ბეჭდურ ლექსიკონებს.

შემდეგი კითხვა ეხებოდა იმას, თუ როდის, რა მიზნით იყენებენ ლექსიკონებს აღმოსავლური ენების შემსწავლელები. პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: უცხოური ენის სწავლის დროს 96.9%, უცხოელ ადამიანებთან საკონტაქტოდ 3.1%. ამ კითხვის შემდეგ იყო ღია შეკითხვა „სხვა“, სადაც ცდისპირებს დამატებით უნდა დაეფიქსირებინათ, თუ როდის იყენებენ ლექსიკონებს. რამდენიმემ ჩაწერა, რომ ლექსიკონებს იყენებს საგაკვეთილო პროცესში, სხვამ კი მიუთითა, რომ ლექსიკონებს იყენებს სოციალურ ქსელებზე პოსტების კითხვის დროს, სტატიების კითხვის დროს.

კითხვარის მეორე ნაწილის კითხვებზე პასუხები ფასდებოდა 5-ბალიანი შკალით: 1-დან - 5 ქულამდე (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის). როგორც სხვა გამოკითხვების დროს, ამ შემთხვევაშიც მაჩვენებელი 3 ქულის ზემოთ დადებით შეფასებად ითვლება, 3-ის ქვემოთ კი უარყოფით პასუხად.

შეკითხვა N1: „რამდენად ხშირად იყენებთ მოცემული ლექსიკონების ტიპებს?“

პასუხები:

მე ვიყენებ ორენოვან ლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 3.50

მე ვიყენებ განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3.66

მე ვიყენებ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს: საშუალო მაჩვენებელი - 3.72

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების სიხშირეს აღმოსავლურ ენების შემსწავლელელებში საშუალო ქულის მაღალი მაჩვენებლები აქვს, განსხვავებით ქართული და ევროპული ენების შემსწავლელელებისგან.

კითხვა N2:

„ხშირად იყენებთ ქვემოთ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის ლექსიკონებს?“

აქაც შემსწავლელეებს პასუხები უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5 - ყოველთვის).

1. მე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 1.94
2. მე ვიყენებ კომპიუტერში ჩატვირთულ ციფრულ ლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 3.13
3. მე ვიყენებ ჩემს მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციას (ტაბლეტი, ტელეფონი, სმარტსაათი ან სხვა.): საშუალო მაჩვენებელი - 3.34
4. მე ვიყენებ ონლაინლექსიკონებს: საშუალო მაჩვენებელი - 4.16
5. მე ვიყენებ საძიებო სისტემას, როგორც ლექსიკონს (მაგალითად, მე ვეძებ სიტყვას ან ფრაზას ინტერნეტში): საშუალო მაჩვენებელი - 3,69
6. მე ვიყენებ სათარგმნ აპლიკაციას ან პროგრამას (მაგალითად, google translate): საშუალო მაჩვენებელი - 3.47.

შედეგების მიხედვით ვხედავთ, რომ აღმოსავლური ენების ყველა ლექსიკონის გამოყენებას აქვს მაღალი მაჩვენებელი, გარდა ბეჭდური ლექსიკონებისა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამა თუ იმ აღმოსავლური ენის შემსწავლელეებს არა აქვთ წვდომა ან არ მოეპოვებათ ლექსიკონი ბეჭდური სახით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ონლაინლექსიკონების გამოყენებას, შემდეგ საძიებო სისტემებს, სათარგმნ აპლიკაციებს

ან პროგრამებს და მათ მოწყობილობაზე ჩატვირთულ აპლიკაციებს. აქაც ვხედავთ, რომ პასუხების მაჩვენებლები ბევრად მაღალია, ვიდრე ქართული და ევროპული ენების შემსწავლელებისა.

აღმოსავლური ენების შემსწავლელების კითხვარიდან ამოვიღე კითხვა „რომელ ქართულ და სხვა, არაქართულ ლექსიკონებს იყენებთ?“, რადგან ამ ჩამონათვალში ძირითადად ევროპული ენების ლექსიკონები იყო შეტანილი. ამ ჩამონათვალის ნაცვლად, აღმოსავლური ენების შემსწავლელებისათვის ჩავსვი მათზე მორგებული შეკითხვა, რომ მიმეღო შესაბამისი პასუხი, კერძოდ: „რომელ ლექსიკონს იყენებთ თქვენ მიერ მითითებული ენის შესწავლის დროს?“ პასუხი იყო ღია და შემსწავლელებს თავად უნდა ჩაეწერათ პასუხები. მათ პასუხებში შეიტანეს შემდეგი ლექსიკონები: Korean-English Learner's Dictionary,

დიდი ინგლისურ-ქართულიონლაინ ლექსიკონი (dictionary.ge),

Google Translate,

Papago translator,

Oxford Learners' Dictionary,

naver translator,

glosbe translate,

Hanzi translator,

chinese.ge,

trainchinese,

ჩინურ-ქართული ლექსიკონი,

Pleco - ჩინურისთვის,

takoboto- იაპონურისთვის.

კითხვარის ბოლო ნაწილი კი ეხება ლექსიკონის გამოყენების საკითხებს უცხოური, ამ შემთხვევაში კი აღმოსავლური ენის შესწავლის პროცესში. აქ სულ 36 შეკითხვაა და ეს კითხვები მორგებულია უკვე უცხოური ენების შემსწავლელების ინტერესებზე. პასუხები უნდა შეეფასებინათ აქაც 1-დან 5-მდე ქულით (1 - არასოდეს, 2 - იშვიათად, 3 - ხანდახან, 4 - ხშირად, 5- ყოველთვის).

შეკითხვა N1: ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.

1. ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 33

ამ კითხვაზე 1 ქულა და 2 ქულა არც ერთ ცდისპირს არ აურჩევია, 3 ქულა - 28.1%, 4 ქულა - 25% და 5 ქულა - 46.9%-მა (იხ. სურათი 33). ამ კითხვაზე პასუხების საშუალო მაჩვენებელია 4.19, რაც პასუხების მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს. ეს პასუხი ემთხვევა გამოკითხული სკოლის მოსწავლეების შედეგებს, თუმცა ბევრად მაღალია, ვიდრე ქართული და ევროპული ენების შემსწავლელი მოსწავლეების პასუხები.


შეკითხვა N2: ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან) ვისწავლე.

2. ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან)

[Copy chart](#)

ვისწავლე

32 responses




სურათი 34.

ამ შეკითხვის პასუხების შედეგების მიხედვით 1 ქულა აირჩია 37.5%, 2 ქულა - 34.%, 3 ქულა- 9.4%, 4 ქულა - 6.3% და 5 ქულა -12.5%. საშუალო მაჩვენებელია 2.22 (იხ. სურათი 34).

ქულების ასეთი განაწილებით შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ენების შემსწავლელების ერთმა ნაწილმა ლექსიკონის გამოყენება დამოუკიდებლად ისწავლა, სხვისი დახმარების გარეშე, მეორე ნაწილმა კი ოჯახისგან. ეს პასუხები განსხვავდება სხვა მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებისგან.


შეკითხვა N3: მნიშვნელოვანია ვისწავლო ლექსიკონის სწორად გამოყენება.



სურათი 35.

ამ შეკითხვის პასუხად 5 ქულა გამოკითხულთა 71.9%-მა აირჩია, 4 ქულა - 25%, 3 ქულა 3.1%, 2 ქულა და 1 ქულა 0%-ია (იხ. სურათი 35). საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად მაღალია - 4.69. ეს შედეგები ემთხვევა ქართული და ევროპული ენების შემსწავლელების პასუხებს, ენების შემსწავლელებს აქვთ სურვილი შეისწავლონ ლექსიკონის სწორად გამოყენება, თუმცა აღმოსავლური ენების შემსწავლელების შედეგები ბევრად მაღალია სკოლის მოსწავლეების შედეგებთან შედარებით.

შეკითხვა N4. ლექსიკონში ყოველთვის ვკითხულობ შესავალს.



სურათი 36.

გამოკითხულთა 34.4%-მა ამ კითხვის პასუხად აირჩია 1 ქულა, 18.8%-მა - 2 ქულა, 7.1% - 3 ქულა, 28.1% - 4 ქულა, 9.4% - 5 ქულა. საშუალო მაჩვენებელი არის დაბალი 2.41. შედეგებიდან გამომდინარე, აღმოსავლური ენების შემსწავლელების უმრავლესობა არ კითხულობს ლექსიკონის შესავალ ნაწილს.

შეკითხვა N5: კლასში განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მასში შემავალ ინფორმაციას.



სურათი 37.

ამ შეკითხვის პასუხად 1 ქულა აირჩია 18.8%-მა, 2 ქულა 31.3%-მა, 3 ქულა 15.6%-მა, 4 ქულა 25%-მა და 5 ქულა 9.4%-მა (იხ. სურათი 37). პასუხებიდან გამომდინარე, შემსწავლელების პასუხების საშუალო მაჩვენებელი დაბალია 2.75. ანალოგიური ვითარებაა გამოკითხული სკოლის მოსწავლეების შემთხვევაშიც.

შეკითხვა N6: მე ჩვეულებრივ ვეცნობი ლექსიკონებში ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას.



სურათი 38.

ამ შეკითხვის პასუხად 1 ქულა აირჩია 31.3%-მა, 2 ქულა 18.8%-მა, 3 ქულა 28.1%-მა, 4 ქულა 9.4%-მა და 5 ქულა 12.5%-მა. პასუხებიდან გამომდინარე, შემსწავლელთა უმრავლესობა ჩვეულებრივ არ ეცნობა ლექსიკონებში მისი გამოყენების ინსტრუქციას. შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი დაბალია - 2.53.

შეკითხვა N7: უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (მაგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).

7. უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილეთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (შეგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).

37 responses



სურათი 39.

ამ შეკითხვის პასუხად 1 ქულა აირჩა გამოკითხულთა 28.1%-მა, 2 ქულა 9.4%-მა, 3 ქულა 37.5%-მა, 4 ქულა 12.5%-მა და 5 ქულა 12.5%-მა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცდისპირების უმრავლესობა უცხოური ენის გაკვეთილზე არ განიხილავს ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას. საშუალო ქულა შესაბამისად დაბალია - 2.72.

შეკითხვა N8: გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში შემავალი სიტყვა-სტატიის მთლიან სტრუქტურას.



სურათი 40.

ამ შეკითხვაზე პასუხები ასე გადანაწილდა: 1 ქულა - 31.3%, 2 ქულა - 15.6%, 3 ქულა - 31.3%, 4 ქულა - 12.5% და 5 ქულა - 9.4%-მა (იხ. სურათი 40). შედეგები აქაც დაბალია: შემსწავლელთა უმრავლესობა არ განიხილავს გაკვეთილზე ლექსიკონში შემავალი სიტყვა-სტატიის მთლიან სტრუქტურას, საშუალო ქულაც შესაბამისად არის დაბალი - 2.53.

შეკითხვა N9: სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლეს ლექსიკონის გამოყენება.




სურათი 41.

ამ კითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 28.1%, 2 ქულა - 28.1%, 3 ქულა - 15.6%, 4 ქულა 12.5% და 5 ქულა 15.6% (იხ. სურათი 41). პასუხებიდან გამომდინარე, ცდისპირებს ლექსიკონის გამოყენება არ უსწავლიათ სკოლის დაწყებით საფეხურზე. საშუალო ქულა დაბალია - 2.59.

შეკითხვა N10. უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლეს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები (მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, შემოკლებები და სხვა).

10. უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლებელს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები (მასწავლებელი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, ზემოქმედები და სხვა)

32 responses




სურათი 42.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -28.1%, 2 ქულა- 12.5%, 3 ქულა - 31.3%, 4 ქულა 12.5% და 5 ქულა 15.6% (იხ. სურათი 42). აქედან გამომდინარე, შემსწავლელების უმრავლესობას უცხოური ენის გაკვეთილზე არ ასწავლეს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები, შესაბამისად საშუალო ქულა არის დაბალი - 2.75.

შეკითხვა N11: მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.

11. მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.

32 responses



სურათი 43.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -25%, 2 ქულა- 6.3%, 3 ქულა - 31.3%, 4 ქულა 12.5% და 5 ქულა 25% (იხ. სურათი 43). შემსწავლელების უმრავლესობამ, როგორც ირკვევა, ლექსიკონების გამოყენება საბაზო საფეხურზე შეისწავლეს. პასუხების საშუალო ქულა არის დადებითი - 3.06.

შეკითხვა N12: მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საშუალო საფეხურზე.



სურათი 44.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 9.4%, 2 ქულა - 12.5%, 3 ქულა - 37.5%, 4 ქულა 9.4% და 5 ქულა 31.3% (იხ. სურათი 44). გამოკითხულთა უმრავლესობამ, როგორც შედეგები გვიჩვენებს, ლექსიკონის გამოყენება ისწავლეს საშუალო საფეხურზე. საშუალო მაჩვენებელი კი შედეგების მიხედვით არის მაღალი -3.41.

შეკითხვა N13: ჩვევა მაქვს გადავხედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.

13. ჩვევა მაქვს გადახედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.
32 responses

[Copy chart](#)




სურათი 45.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 18.8%, 2 ქულა- 15.6%, 3 ქულა - 31.3%, 4 ქულა 12.5% და 5 ქულა 21.9% (იხ. სურათი 45). შედეგების მიხედვით, შემსწავლელთა უმრავლესობამ აირჩია ის პასუხები, რომლებიც ადასტურებს, რომ მათ აქვთ ჩვევა გადახედონ ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს. საშუალო მაჩვენებელი ამ კითხვის პასუხად დადებითია - 3.03.

შეკითხვა N14: ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.

14. ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.
32 responses


[Copy chart](#)



სურათი 46.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -59.4%, 2 ქულა-31.3%, 3 ქულა - 6.3%, 4 ქულა 3.1% და 5 ქულა 0% (იხ. სურათი 46). შედეგებიდან ირკვევა რომ შემსწავლელების უმრავლესობა არ ეთანხმება იმას ,რომ ლექსიკონების გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს და რომ ყველამ იცის მისი გამოყენება, ამიტომაც რომ უმრავლესობამ აირჩია ამ შეკითხვის 1 ქულა და შესაბამისად საშუალო ქულაც არის დაბალი -1.53.

შეკითხვა N15: ვფიქრობ, რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე.




სურათი 47.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 68.8%, 2 ქულა - 18.8%, 3 ქულა - 9.4%, 4 ქულა 0% და 5 ქულა 3.1% (იხ. სურათი 47). ამ შემთხვევაშიც შემსწავლელების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ლექსიკონის გამოყენება უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე, რადგან მათი უმრავლესობა ირჩევს 1 ქულას, ესე იგი არ ეთანხმებიან ამ შეკითხვას, არავინ არ ირჩევს 4 ქულას და მხოლოდ რამდენიმე ცდისპირი, 32 გამოკითხულიდან 5 ფიქრობს, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე არ უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება. პასუხების საშუალო

მაჩვენებელი არის 1.50. ეს პასუხები ემთხვევა სკოლის მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებს.

შეკითხვა N16: ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება.



სურათი 48.


ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -3.1%, 2 ქულა- 0%, 3 ქულა - 9.4%, 4 ქულა 21.9% და 5 ქულა 65.6% (იხ. სურათი 48). ამ შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცდისპირების უმრავლესობის აზრით ლექსიკონის გამოყენება უნდა ისწავლებოდეს უცხოური ენის გაკვეთილზე. ამ შეკითხვის პასუხად 4 და 5 ქულა აირჩია გამოკითხულთა უმრავლესობამ, 1 ქულა 32-დან 1 შემსწავლელმა და 2 ქულა კი არც ერთმა. საშუალო მაჩვენებელიც მაღალია - 4.47. ამ კითხვაზე პასუხები ემთხვევა მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებს, თუმცა საშუალო მაჩვენებელი ბევრად მაღალია.

შეკითხვა N17: გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს.

17. გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 49.


ამ შეკითხვაზე პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -56.3%, 2 ქულა- 18.8%, 3 ქულა - 9.4%, 4 ქულა 12.5% და 5 ქულა 3.1% (იხ. სურათი 49). აღმოსავლური ენების შემსწავლელები არ იყენებს ბეჭდურ ლექსიკონებს გაკვეთილის მსვლელობისას. პასუხების საშუალო მაჩვენებელიც შესაბამისად დაბალია - 1.88.

შეკითხვა 18: ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.

18. ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 50.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -12.5%, 2 ქულა-18.8%, 3 ქულა - 21.9%, 4 ქულა 28.1% და 5 ქულა 18.8% (იხ. სურათი 50). შედეგებიდან ჩანს რომ გამოკითხულთა უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს ლექსიკონებს ტექსტის გაგების სავარჯიშების შესასრულებლად, საშუალო მაჩვენებელი დადებითია - 3.22.

შეკითხვა N19: გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.



სურათი 51.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -12.5%, 2 ქულა-15.6%, 3 ქულა - 28.1%, 4 ქულა 15.6% და 5 ქულა 28.1%. პასუხების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს. პასუხების საშუალო ქულა შესაბამისად დადებითია - 3.31.

შეკითხვა N20: გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.

20. გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად. [Copy chart](#)
32 responses



სურათი 52.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -9.4%, 2 ქულა-12.5%, 3 ქულა -21.9%, 4 ქულა - 25% და 5 ქულა - 31.3% (იხ. სურათი 52). გამოკითხულთა უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს ლექსიკონს სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად. საშუალო მაჩვენებელი არის მაღალი - 3.56.

შეკითხვა N21: გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.


21. გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად. [Copy chart](#)
32 responses



სურათი 53.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 25%, 2 ქულა - 15.6%, 3 ქულა - 18.8%, 4 ქულა - 15.6% და 5 ქულა - 25% (იხ. სურათი 53). შედეგების მიხედვით ცდისპირთა უმრავლესობა გაკვეთილზე ლექსიკონებს არ იყენებს სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად. საშუალო მაჩვენებელი არის დაბალი - 3.00.

შეკითხვა N22: გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს, ასევე ლექსიკონსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს.



სურათი 54.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 18.8%, 2 ქულა - 21.9%, 3 ქულა - 15.6%, 4 ქულა - 21.9% და 5 ქულა - 21.9% (იხ. სურათი 54).


ცდისპირების უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს ონლაინლექსიკონებს, ასევე, ლექსიკონსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს. პასუხების საშუალო მაჩვენებელი დადებითია - 3.06.

შეკითხვა N23: გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად.

23. გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 55.


ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -18.8%, 2 ქულა- 37.5%, 3 ქულა -18.8%, 4 ქულა - 12.5% და 5 ქულა - 12.5% (იხ. სურათი 55). პასუხების შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ლექსიკონებს არ იყენებს გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად. შესაბამისად, პასუხების საშუალო მაჩვენებელია - 2.63.

შეკითხვა N24: გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google).

24. გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google)

[Copy chart](#)


32 responses



სურათი 56.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -18.8%, 2 ქულა-18.8%, 3 ქულა - 25%, 4 ქულა - 12.5% და 5 ქულა - 25% (იხ. სურათი 56). შედეგებიდან ირკვევა, რომ ცდისპირთა უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google). საშუალო მაჩვენებელი დადებითია - 3.06.

შეკითხვა N25: ლექსიკონს გაკვეთილზე ვიყენებ სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.



სურათი 57.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -15.6%, 2 ქულა-18.8%, 3 ქულა - 18.8%, 4 ქულა - 25% და 5 ქულა - 21.9% (იხ. სურათი 57). აქედან გამომდინარე, შემსწავლელების უმრავლესობა ლექსიკონს გაკვეთილზე იყენებს სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად. ამ შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი არის მაღალი - 3.19.

შეკითხვა N26: არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.

26. არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 58.


ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 43.8%, 2 ქულა - 31.3%, 3 ქულა - 15.6%, 4 ქულა - 6.3% და 5 ქულა 3.1%. ამ პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ აღმოსავლური ენების შემსწავლელებს აქვთ სურვილი და მოტივაცია შეისწავლონ ლექსიკონის გამოყენება, ისინი არ ეთანხმებიან ამ შეკითხვის შინაარსს. ამ შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად არის დაბალი - 1.94. ეს პასუხი შეესაბამება მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებს.

შეკითხვა N27: მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.

27. მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 59.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -25%, 2 ქულა- 12.5%, 3 ქულა - 37.5%, 4 ქულა - 6.3% და 5 ქულა - 18.8% (იხ. სურათი 59). შედეგების მიხედვით ცდისპირების უმრავლესობა კლასში არ იყენებს მანქანურ მთარგმნელებს. შესაბამისად, პასუხების საშუალო დაბალია - 2.81.

შეკითხვა N28: გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად.



სურათი 60.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -18.8%, 2 ქულა- 31.3%, 3 ქულა - 34.4%, 4 ქულა - 9.4% და 5 ქულა - 6.9% (იხ. სურათი 60). ამ კითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა არ იყენებს ლექსიკონებს ტექსტების შედგენისა და წერილების დასაწერად საგაკვეთილო პროცესში. ამ შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი დაბალია - 2.53.

შეკითხვა N29: გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ლექსიკის გასამდიდრებლად.



სურათი 61.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -12.5%, 2 ქულა-15.6%, 3 ქულა - 9.4%, 4 ქულა - 25% და 5 ქულა - 37.5% (იხ. სურათი 61). შედეგებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა უმრავლესობა გაკვეთილზე იყენებს ლექსიკონებს ლექსიკის გასამდიდრებლად. შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი შესაბამისად არის მაღალი - 3.59.


შეკითხვა N30: უცხოური ენის გაკვეთილზე ვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.



სურათი 62.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -53.1%, 2 ქულა- 18.8%, 3 ქულა - 15.6%, 4 ქულა - 9.4% და 5 ქულა - 3.1% (იხ. სურათი 61). შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა არ იყენებს ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარაჯიშოების შესასრულებლად უცხოური ენის გაკვეთილზე. საშუალო მაჩვენებელი ამ შეკითხვისა არის 1.91.

შეკითხვა N31: უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ ომონიმიაზე.



სურათი 63.


ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა -12.5%, 2 ქულა- 25%, 3 ქულა - 15.6%, 4 ქულა - 34.4% და 5 ქულა - 12.5% (იხ. სურათი 63). შედეგებიდან ირკვევა, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე შემსწავლელების უმრავლესობა მუშაობს ომონიმიაზე. პასუხების საშუალო მაჩვენებელია - 3.09. როგორც აღინიშნა, გამოკითხულთა უმრავლესობა სწავლობს კორეულ ენას, რომელიც დიდი ომონიმით ხასიათდება. შესაბამისად, ბუნებრივია და მოსალოდნელია, რომ ამ თემაზე შემსწავლელებს ამუშავებდნენ საგაკვეთილო პროცესში.

შეკითხვა N32: უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე.

32. უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 64.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 15.6%, 2 ქულა - 18.8%, 3 ქულა - 43.8%, 4 ქულა - 9.4% და 5 ქულა - 12.5% (იხ. სურათი 64). ამ პასუხების მიხედვით ცდისპირთა უმრავლესობა უცხოური ენის გაკვეთილზე არ მუშაობს პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე. ამ შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი დაბალია - 2.84.

შეკითხვა N33: უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.

33. უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.

[Copy chart](#)

32 responses



სურათი 65.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა - 12.5%, 2 ქულა - 15.6%, 3 ქულა - 40.6%, 4 ქულა - 25% და 5 ქულა - 6.3% (იხ. სურათი 65). შედეგების

მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა უცხოური ენის გაკვეთილზე არ მუშაობს კონვერსიულ სიტყვებზე. კონვერსია არ ახასიათებს კორეულ ენას, ამიტომ გასაგებია და მოსალოდნელი, რომ უმრავლესობისთვის ეს თემა უცნობია.

ამ კითხვაზე პასუხების საშუალო მაჩვენებელია - 2.97.

შეკითხვა N34: ლექსიკონის შეძენისას აზრს ვეკითხები მეგობარს, მასწავლებელს, რომელი ჯობია შესაძენად.

ამ შეკითხვის პასუხების საშუალო მაჩვენებელია 2.75.

შეკითხვა N35: ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ ვაქცევ ყურადღებას.

ამ შეკითხვის პასუხებიდან ირკვევა, რომ შემსწავლელთა უმრავლესობა ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ აქცევს ყურადღებას. შეკითხვის საშუალო მაჩვენებელია 2.38.

შეკითხვა N36: მე მხოლოდ უფასო ლექსიკონებს ვიყენებ.



სურათი 66.

ამ შეკითხვის პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 1 ქულა 0%, 2 ქულა- 0%, 3 ქულა - 34.4%, 4 ქულა - 18.8% და 5 ქულა - 46.9% (იხ. სურათი 66). პასუხების მიხედვით შემსწავლელების უმრავლესობა იყენებს მხოლოდ უფასო ლექსიკონებს. ამ შეკითხვის საშუალო მაჩვენებელი მაღალია - 4.13.

გამოკითხვის შედეგების უკეთ აღსაქმელად აღმოსავლური ენების შემსწავლელებისთვის დასმულ კითხვებზე პასუხების საშუალო ქულა და სტანდარტული გადახრა იხილეთ 12-ე ცხრილში:

N	საკვლევი კითხვები	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა
1.	ლექსიკონის გამოყენება ვისწავლე დამოუკიდებლად.	4.19	0.86
2.	ლექსიკონის გამოყენება ოჯახისგან (მშობლებისგან და ახლობლებისგან) ვისწავლე	2.22	1.36
3.	მნიშვნელოვანია ვისწავლო ლექსიკონის სწორად გამოყენება.	4.69	0.54
4.	ლექსიკონში ყოველთვის ვკითხულობ შესავალს.	2.41	1.32
5.	კლასში განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს და მასში შემავალ ინფორმაციას.	2.75	1.30

6.	მე ჩვეულებრივ ვეცნობი ლექსიკონებში ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციას.	2.53	1.36
7.	უცხოური ენის გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში ძიების მეთოდებს და ტექნიკას (მაგალითად, როგორ ვიპოვო სიტყვის მნიშვნელობა, წარმოთქმა, ზმნის წარსული დროის ფორმები და სხვა).	2.72	1.35
8.	გაკვეთილზე განვიხილავთ ლექსიკონში შემავალი სიტყვა- სტატიის მთლიან სტრუქტურას.	2.53	1.32
9.	სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლეს ლექსიკონის გამოყენება.	2.59	1.43
10.	უცხოური ენის გაკვეთილზე მასწავლეს სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კოდების სისტემები (მახვილი, ტრანსკრიფცია, სიმბოლოები, განმარტებები, შემოკლებები და სხვა)	2.75	1.41
11.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საბაზო საფეხურზე.	3.06	1.50

12.	მე ლექსიკონების გამოყენება შევისწავლე საშუალო საფეხურზე.	3.41	1.32
13.	ჩვევა მაქვს გადავხედო ლექსიკონში არსებული შემოკლებების ჩამონათვალს.	3.03	1.40
14.	ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება.	1.53	0.76
15.	ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე.	1.50	0.92
16.	ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება.	4.47	0.92
17.	გაკვეთილზე ვიყენებ ბეჭდურ ლექსიკონებს	1.88	1.21

18.	ლექსიკონებს გაკვეთილზე ვიყენებ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად.	3.22	1.31
19.	გაკვეთილზე ვიყენებ კომპიუტერში ან სხვა მოწყობილობაში ჩატვირთულ ელექტრონულ ლექსიკონებს.	3.31	1.38
20.	გაკვეთილზე ლექსიკონს ვიყენებ სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად.	3.56	1.32
21.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებთ სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად.	3.00	1.55
22.	გაკვეთილზე ვიყენებთ ონლაინლექსიკონებს, ასევე, ლეპტოპსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს.	3.06	1.46
23.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად	2.63	1.29
24.	გაკვეთილზე ვიყენებ საძიებო სისტემებს (მაგალითად, Google)	3.06	1.46

25.	ლექსიკონს გაკვეთილზე ვიყენებ სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად.	3.19	1.40
26.	არ ვარ მოტივირებული ვისწავლო ლექსიკონის გამოყენება.	1.94	1.08
27.	მანქანურ მთარგმნელებს (მაგალითად, google translate) ვიყენებ ლექსიკონების ნაცვლად კლასში.	2.81	1.40
28.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ტექსტების შედგენის და წერილების დასაწერად.	2.53	1.11
29.	გაკვეთილზე ლექსიკონებს ვიყენებ ლექსიკის გასამდიდრებლად.	3.59	1.46
30.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვიყენებ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სავარჯიშოების შესასრულებლად.	1.91	1.17
31.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ ომონიმიაზე.	3.09	1.28

32.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის ამოცნობაზე	2.84	1.19
33.	უცხოური ენის გაკვეთილზე ვმუშაობთ კონვერსიულ სიტყვებზე.	2.97	1.09
34.	ლექსიკონის შეძენისას აზრს ვეკითხები მეგობარს, მასწავლებელს, რომელი ჯობია შესაძენად.	2.75	1.34
35.	ლექსიკონის ყიდვისას ფასს არ ვაქცევ ყურადღებას.	2.38	1.16
36.	მე მხოლოდ უფასო ლექსიკონებს ვიყენებ.	4.13	0.91

ცხრილი N 12.

4.5 გამოკითხვის შედეგების ანალიზი

კითხვარზე მიღებული პასუხების სტანდარტული გადახრის მაჩვენებლები მერყეობს 0.54-დან 1.55-ის ჩათვლით, რაც მიუთითებს შემსწავლელების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საკმაოდ ფართო გავრცელებაზე. რაც შეეხება კვლევის ამ ნაწილის შედეგების სანდოობასა და შინაგან შეთანხმებულობას, რომელიც გაიზომა კრონბახერის

აღუა კოეფიციენტით, იგი შეადგენს $\alpha = 1.008$. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს კითხვების შინაგან შეთანხმებულობაზე, მათ სანდოობაზე და იმაზე, რომ ისინი თანმიმდევრულად ზომავენ კვლევის ძირითად კითხვას, შემსწავლელების მიერ ლექსიკონის გამოყენებასა და, ზოგადად, ლექსიკონის გამოყენების აღქმას.

აღმოსავლური ენების შემსწავლელთა პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ მათმა უმრავლესობამ ლექსიკონის გამოყენება დამოუკიდებლად ისწავლა. ისინი აუცილებელ სასწავლო რესურსად თვლიან ლექსიკონებს და იყენებენ კიდევ მათ სწავლის პროცესში.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ლექსიკონების სწორად გამოყენების შესწავლა, ისინი ამისთვის არიან მოტივირებულები და აქვთ სურვილი უფრო მეტი რამ შეისწავლონ ლექსიკონების გამოყენების შესახებ. გამოკითხვის შედეგები გვიჩვენებს, რომ მათ უმრავლესობას არ უსწავლია სიტყვის მოძიების ტექნიკა, სიტყვა-სტატიის სტრუქტურა, კოდირების სისტემები. აღმოსავლური ენების შემსწავლელები ლექსიკონებს იყენებენ ტექსტის გაგების სავარჯიშოების შესასრულებლად, სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად, სიტყვის სწორი დაწერილობის შესამოწმებლად, ლექსიკის გასამდიდრებლად, ლექსიკონების გამოყენებით მუშაობენ ომონიმიაზე. თუმცა არ იყენებენ ლექსიკონებს გრამატიკული ინფორმაციის, სიტყვის სწორი წარმოთქმის მოსაძიებლად, არ მუშაობენ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობაზე და სხვა.

აღმოსავლური ენის შემსწავლელები ძირითადად იყენებენ ონლაინლექსიკონებს, საძიებო სისტემებს, ასევე, ლეპტოპსა და მობილურში ჩატვირთულ ლექსიკონებს. საგულისხმოა, რომ გამოკითხულები არ იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა სახის სავარჯიშოების შესასრულებლად.

აღმოსავლური ენების შემსწავლელების პასუხები მთლიანობაში ბევრად უკეთესია, ვიდრე ევროპული ენების შემსწავლელებისა. თუ გავიხსენებთ აღმოსავლური ენების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, ცხადი გახდება, რომ ეს უკეთესი შედეგები არ არის მათი დამსახურება, რადგან ისინი არ ასწავლიან ლექსიკონის გამოყენებას ენების შემსწავლელებს. ვინაიდან აღმოსავლური ენების შემსწავლელების

უმრავლესობა სტუდენტები არიან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი უკვე ფლობენ ერთ ევროპულ ენას და ეს გამოცდილება მათ ეხმარება თავად გაართვან თავი ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლური ენების შემსწავლელები გრძნობენ საჭიროებას უკეთ გაერკვნენ ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან კარგად ესმით, რომ ეს მათ გაუადვილებს ენების შესწავლას.

საერთო დასკვნა და რეკომენდაციები

ჩემი სადისერტაციო კვლევა განეკუთვნება თეორიული ლექსიკოგრაფიის იმ მიმართულებას, რომელსაც ეწოდება ლექსიკონის გამოყენების კვლევა, ლექსიკონის მომხმარებელთა კვლევა (Research on Dictionary Use). ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო ლექსიკონის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა საქართველოს სკოლებში ექსპერიმენტის გზით, კერძოდ, ერთი მხრივ, მოსწავლეების მიერ ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების გამოკვლევა, ხოლო მეორე მხრივ, ლექსიკონების მიმართ სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულების შესწავლა ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვის საფუძვლების უკეთ გამოვლენის მიზნით.

რატომ ლექსიკონის გამოყენების სწავლება? რას გულისხმობს ლექსიკონის გამოყენების სწავლება ან ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება?

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი ხშირად ზედაპირულია და გაიგივებულია ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქციასთან. რეალურად კი ეს პროცესი გაცილებით ღრმა, რთული და მრავალკომპონენტია. მე მიმაჩნია, რომ ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაბრუნება სკოლებში, სწორედ ამის გააზრებით უნდა დაიწყოს.

ლექსიკონის გამოყენება ბევრ ასპექტს მოიცავს: ესაა სიტყვისა მართლწერა და წარმოთქმა, ესაა ლექსიკონში შეტანილი გრამატიკული ინფორმაცია, ესაა ლექსიკონთან დაკავშირებული მრავალი საკითხი - ომონიმია, კონვერსია, პოლისემია, შესიტყვებები, იდიომები, ფრაზული ზმნები, ტერმინოლოგია; ესაა სხვადასხვა კვალიფიკაციები -

სტილისტიკური, დროისმიერი, ადგილისმიერი. თითოეული ეს საკითხი მოითხოვს სისტემატურ მუშაობას და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას.

იციან სკოლის მოსწავლეებმა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი? შეუძლიათ ტრანსკრიფციის წაკითხვა, სიტყვის სწორად წარმოთქმა, მახვილის სწორად დასმა. პასუხი ცალსახაა - არ იციან! არ იციან იმიტომ, რომ არ უსწავლიათ.

შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს ლექსიკონში შეტანილი გრამატიკული ინფორმაციის დეკოდირება? სიტყვის მეტყველების ნაწილი, მეტყველების ნაწილების არაწესიერი წარმოების ფორმები, წინდებულები, არსებკითი სახელისა და ზმნის შთანხმების საკითხები და სხვა.

პასუხი აქაც ცალსახაა - არ იციან, იმიტომ რომ არ უსწავლიათ.

შეუძლიათ მოსწავლეებს პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობა ლექსიკონის დახმარებით? ეს ხომ მეტად აქტუალური საკითხია, რადგან ინგლისური სიტყვები დიდი პოლისემიურობით გამოირჩევა.

პასუხი ამ კითხვაზე არის ის, რომ მოსწავლეების დიდმა ნაწილმა არც იცის რა არის პოლისემია, იგი ლექსიკონში კითხულობს მხოლოდ პირველ მნიშვნელობას და არც კი უკვირდება ეს მნიშვნელობა რელევანტურია თუ არა კონკრეტულ კონტექსტში.

შეუძლიათ მოსწავლეებს სიტყვის მეტყველების ნაწილის სწორად ამოცნობა კონტექსტში? ეს საკითხიც აქტუალურია, რადგან ნულოვანი დერივაცია, ანუ კონვერსია მეტად გავრცელებულია ინგლისურ ენაში.

პასუხი ამ კითხვაზე არის არა! მოსწავლეებმა არ იციან რა არის კონვერსია.

შეუძლიათ მოსწავლეებს ომონიმური სიტყვების გარჩევა და ლექსიკონის დახმარებით სწორი კონტექსტუალური ომონიმის ამოცნობა? ახალ ინგლისურ პერიოდში დაბოლოებების დაკარგვამ ინგლისურ ენაში მოამრავლა ომონიმური სიტყვები და ხანდახან ერთ სიტყვას 4 - 5 ან მეტი ომონიმი აქვს.

პასუხი ამ კითხვაზეც უარყოფითია, რადგან მოსწავლეებმა არ იციან რა არის ომონიმია.

იციან მოსწავლეებმა რა არის შესიტყვება და რა მნიშვნელობა აქვს მას ენის შესწავლის პროცესში? სამწუხაროდ არ იციან, ისევე როგორც არ იციან ბევრი სხვა საკითხი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე.

აცნობიერებენ სკოლის მოსწავლეები, თუ როგორ განსხვავდება ინგლისური და ქართული ენები ერთმანეთისგან აზრის გადმოცემის მანერით, თუ როგორი ასიმეტრიაა ქარულ და ინგლისურ ენებს შორის როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ დონეებზე (Adamska, 2010; Margalitadze and Meladze, 2016).

ლექსიკონის გამოყენების სწავლება სწორედ ამ საკითხების სწავლებას გულისხმობს, ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება კი მოიცავს ამ უნარების განვითარებას, კერძოდ: ომონიმური სიტყვებიდან სწორი კონტექსტუალური ომონიმის შერჩევას, სწორი მეტყველების ნაწილის შერჩევას კონტექსტში, პოლისემიური სიტყვის სწორი კონტექსტუალური მნიშვნელობის ამოცნობას, იდიომის მნიშვნელობის მოძიებას და არა სიტყვასიტყვით თარგმნას და სხვა. ამ უნარების განვითარება არ არის ადვილი, მას მუდმივი წვრთნა და ვარჯიში სჭირდება სწორი მეთოდოლოგიით და შესაბამისი სასწავლო რესურსებით.

სამწუხაროდ, ეს საკითხები არ იციან არა მხოლოდ მოსწავლეებმა, არამედ, რიგ შემთხვევაში, თავად მასწავლებლებმაც.

სწორედ ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაბრუნება სკოლებში უნდა დაიწყოს იმის გაცნობიერებით, თუ რა არის ლექსიკონის სწავლება და რა საკითხებს მოიცავს, რა არის ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება და რა უნარების განვითარება იგულისხმება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსიკონის გამოყენების სწავლების პროცესში მოსწავლეები ბევრ რამეს გაიგებენ თავად ენის შესახებ, რაც სასარგებლო იქნება როგორც უცხოური ენის შესწავლის, ისე მშობლიური ენის დაცვის თვალსაზრისითაც. როგორც შესავალში აღვნიშნე, თანამედროვე ქართულ ენაში მომრავლებულ ანგლიციზმებს და კალკებს უკავშირებს თ. მარგალიტაძე ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვას (Margalitadze, 2018: 2020), რაც ამ პრობლემას უფრო აქტუალურს ხდის თანამედროვე საქართველოს განათლების სისტემისთვის.

საქართველოს სკოლებში არსებული ვითარება არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი პრობლემა. მრავალმა კვლევამ, რომელიც უცხოეთში ჩატარდა გამოავლინა, რომ, ხშირ შემთხვევაში, ლექსიკონის მომხმარებელი ვერ ავლენს ლექსიკონის გამოყენების ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, მაგ., ვერ ცნობს პოლისემიური სიტყვის კონტექსტუალურ მნიშვნელობას ლექსიკონის დახმარებით და სიტყვა-სტატიის მხოლოდ პირველი მნიშვნელობის ნახვით შემოიფარგლება. ასევე მომხმარებელს უჭირს კონტექსტში სიტყვის სწორი მეტყველების ნაწილის დადგენა, ომონიმების გამიჯვნა და სწორი კონტექსტუალური ომონიმის შერჩევა და სხვა. მკვლევრებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ბევრ ქვეყანაში დაიკარგა ლექსიკონის გამოყენების კულტურა, რასაც თავისი უარყოფითი შედეგები აქვს, მათ შორის ქართული ენისათვის.

ამ ვითარების გამოსასწორებლად ლექსიკოგრაფებმა ბევრ ქვეყანაში დაიწყეს პროექტების შემუშავება, რომლის მიზანია ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაბრუნება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება უცხოური ენების შემსწავლელელებში. ჩვენი კვლევა ამას ისახავდა მიზნად, შეგვესწავლა არსებული ვითარება სკოლებში და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები ამ ვითარების გამოსასწორებლად.

ჩემი პირველი კვლევის მიზანი იყო პასუხი კითხვებზე:

1. საჭიროა თუ არა უცხოური ენების შემსწავლელელებისთვის ლექსიკონის გამოყენების სწავლება სკოლაში, რათა გაუმჯობესდეს მათი უნარი ამოიცნონ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა ან გაუმკლავდნენ სხვა კომპლექსურ ლექსიკურ საკითხებს?
2. რამდენად ეფექტურია სპეციალურად შექმნილი სავარჯიშოები ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, განსაკუთრებით ამა თუ იმ კონტექსტში სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობის, მეტყველების ნაწილის ამოცნობისათვის და ინგლისური ლექსიკის სხვა ასპექტებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის?

ექსპერიმენტმა ნათლად დაგვანახა ლექსიკონის გამოყენების სწავლების აუცილებლობა. ერთი მხრივ, დავინახეთ, რომ სამკვირიანი მუშაობა A ჯგუფის მოსწავლეებთან საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მათ ლექსიკასთან დაკავშირებული დავალებები უკეთ შეესრულებინათ. მეორე მხრივ, B ჯგუფის მოსწავლეების ლექსიკონის გამოყენების უნარებზე დაკვირვებამ დაგვანახა ამ უნარების არარსებობა და მათი განვითარების საჭიროება. ჩვენი ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგები შეესაბამება იმ შედეგებს, რაც ანალოგიურმა კვლევებმა გამოვლინა სხვა ქვეყნებში, კერძოდ ის, რომ ვისაც ასწავლეს ლექსიკონის გამოყენება, ის უკეთესად ართმევს თავს რელევანტური და საჭირო ინფორმაციის ამოღებას ლექსიკონიდან.

ამ ექსპერიმენტმა დამარწმუნა იმაში, რომ საჭიროა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის მოდულის შემუშავება სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელიც მოიცავს ლექსიკონის გამოყენების სხვადასხვა ასპექტებს: დაწერილობა და წარმოთქმა, გრამატიკა და ლექსიკა: პოლისემია, ომონიმია, კონვერსია, შესიტყვებები, იდიომები და ტერმინოლოგია. ამგვარი მოდულის შექმნისათვის საჭირო იყო სკოლებში ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარება, რომელიც მოიცავდა როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს და უკეთ წარმოაჩენდა როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების საჭიროებებს სკოლებში, ხოლო პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის მოდული სავარჯიშოების კრებულითა და მასწავლებლებისათვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი დაეფუძნება ამ საჭიროებების უფრო სიღრმისეულ გააზრებას.

ეს გამოკითხვა ჩატარდა 2024-2025 წლების დეკემბერ-იანვარში და მასში მონაწილეობა მიიღო 68 მასწავლებელმა და 104 მოსწავლემ. მათ შორის 38 იყო ქ. თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლები, 20 კი რეგიონების საჯარო სკოლებისა. ინტერვიუ ჩავატარე კორეული ენის 3 მასწავლებელთან, იაპონური ენის 2 მასწავლებელთან, სპარსული ენის 1 მასწავლებელთან და ჩინური ენის 4 მასწავლებელთან.

რაც შეეხება მოსწავლეებს, გამოიკითხა ქ. თბილისის საჯარო სკოლების 58 მოსწავლე, რეგიონების საჯარო სკოლების 14 მოსწავლე და აღმოსავლური ენების 32 შემსწავლელი.

მასწავლებლების პასუხები კითხვარის თითქმის ყველა კითხვაზე იყო საშუალო მაჩვენებელზე დაბალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი პრაქტიკულად არ ასწავლიან მოსწავლეებს ლექსიკონების გამოყენებას. კითხვარის შევსების დასრულების შემდეგ დამაინტერესა ზოგიერთმა საკითხმა, ამიტომ გამოკითხული პედაგოგების ნაწილს, რომლებიც ჩემი კოლეგები არიან და შემეძლო მათთან კომუნიკაცია, გავესაუბრე კითხვარის შესახებ. საუბარი არ მიმდინარეობდა გამოკითხვის რეჟიმში, არამედ, პირიქით, კოლეგიალურ გარემოში. მასწავლებლებთან უშუალო გასაუბრებით დავადგინე, რომ კითხვარის რიგი საკითხები მათთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, კერძოდ, ეს ეხებოდა სპეციალურ სახელმძღვანელოებთან და სავარჯიშოებთან დაკავშირებულ კითხვებს, რომლებიც მასწავლებლებს უნდა დაეხმაროს მოსწავლეებისათვის ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაში. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ კითხვარში იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომლებსაც ისინი ადრე არ აქცევდნენ ყურადღებას და არ ფიქრობდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო ლექსიკონის გამოყენება ენების სწავლების დროს. ამავდროულად, ეს კითხვარი ბევრი მასწავლებლისთვის ძალიან ინფორმაციულიც აღმოჩნდა, მათ ბევრი საინტერესო საკითხი გაიგეს ლექსიკონების გამოყენების შესახებ. მაგალითად, პოლისემიური სიტყვების კონტექსტუალური მნიშვნელობების ძებნა სალექსიკონო სიტყვა-სტატიის გამოყენებით, კონვერსიისა და ომონიმის საკითხები და სხვა. კითხვარმა ისინი ასევე დააფიქრა ხელოვნური ინტელექტისა და სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენების საჭიროებაზე უცხოური ენების სწავლების პროცესში. პირადი გასაუბრების შემდეგ, მასწავლებლების ნაწილი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების საკითხები უნდა შევიდეს ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც, რათა ამ პრობლემას მეტი ყურადღება დაეთმოს. მასწავლებლებმა ასევე ხაზი გაუსვეს სალექციო თუ ტრენინგ-კურსების საჭიროებას,

რათა ისინი უკეთ გაერკვნენ ლექსიკოგრაფიის პრობლემატიკაში და სწორად წარმართონ ლექსიკონის გამოყენების სწავლება სკოლებში.

რაც შეეხება მოსწავლეების გამოკითხვას და ლექსიკონის გამოყენების საკითხებს საგაკვეთილო პროცესში, აქ შეკითხვების საშუალო მაჩვენებელი არის ძირითადად დაბალი. ეს შედეგებიც მიუთითებს იმაზე, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს, უცხოური ენების შესწავლისას, არ იყენებენ ლექსიკონს და არ ასწავლიან მის სწორად და ეფექტურად გამოყენებას. მოსწავლემ არ იცის რა სახის ინფორმაცია შეიძლება მოიძიოს ლექსიკონში, როგორც ფონეტიკური, ისე გრამატიკული და ლექსიკური. ლექსიკონები, მოსწავლეების პასუხების მიხედვით, არ გამოიყენება არც მართლწერის შესამოწმებლად, არც წარმოთქმისთვის, არც გრამატიკული ინფორმაციის მოსაძიებლად, არც მნიშვნელობის დასადგენად. მოსწავლეების უმრავლესობამ არ იცის რა ტიპის ლექსიკონები არსებობს და საძიებო სისტემები ჰგონია ხშირად ლექსიკონი.

მიაჩნიათ თუ არა მოსწავლეებს საჭიროდ ლექსიკონის გამოყენების სწავლა? დიახ, მიაჩნიათ. ამ დასკვნას ამყარებს შემდეგი კითხვების პასუხების მაჩვენებლები: N14 შეკითხვა: „ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს. ყველამ იცის მისი გამოყენება“, საშუალო მაჩვენებელი - 2.10 და N15 შეკითხვა: „ვფიქრობ რომ ლექსიკონის გამოყენება არ უნდა ისწავლებოდეს სკოლის უცხოური ენის გაკვეთილზე“, საშუალო მაჩვენებელი - 2.76. ეს მაჩვენებლები მოწმობს იმას, რომ მოსწავლეები არ ეთანხმებიან ამ შეკითხვებს, უფრო მეტიც, N16 შეკითხვაზე: „ენის გაკვეთილზე უნდა ისწავლებოდეს ლექსიკონის გამოყენება“, პასუხების საშუალო მაჩვენებელი არის მაღალი - 3.24, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მათ მოსაზრებას, რომ მათ სჭირდებათ და საჭიროდაც თვლიან ისწავლონ ლექსიკონის სწორი გამოყენება.

ჩემთვის, ამ გამოკითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი სწორედ ეს დასკვნაა, მოსწავლეების სურვილი ისწავლონ ლექსიკონის სწორად გამოყენება.

ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვანახა კვლევის ამ მეთოდის გარკვეული შეზღუდვები. კითხვარი კვლავ რჩება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდად, თუმცა, ასეთ შემთხვევებში უნდა გვახსოვდეს, რომ პასუხები ყოველთვის არ არის სანდო (Kosem et al. 2018). თუ ჩვენ გვსურს უფრო სანდო მონაცემები გვქონდეს, ამ

შემთხვევაში კითხვარებით კვლევა სხვა მეთოდებთან კომბინირებულად უნდა წარიმართოს, მაგალითად, როგორიცაა პირდაპირი დაკვირვება, ხმამაღლა ფიქრი. რაც შეეხება პროტოკოლებს და ვიდეოჩანაწერებს, ასევე ინტერვიუებს, მათ შეიძლება ბევრი რამ გვითხრან ლექსიკონის გამოყენების სტრატეგიების შესახებ (Müller-Spitzer et al. 2012). ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა ახალი კვლევის შესაძლებლობები, როგორიცაა კომპიუტერის გამოყენების მონიტორინგი პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩაშენებული ფუნქციონალის გამოყენებით, ან თვალის მოძრაობის ანალიზი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. ჩვენ ასევე უნდა აღვნიშნოთ სოციალური მედიის საშუალებით კომუნიკაცია, მათ შორის კითხვა-პასუხის თემა, ფორუმები (მაგალითად: Yahoo! - პასუხები; Google კითხვები და პასუხები; Google-ის ხშირად დასმული კითხვები). მათი წაკითხვით და გამოკვლევით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ პრაქტიკაში ლექსიკონის გამოყენების რეალური პრობლემების შესახებ.

ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია იმ საჭიროების დადასტურება, რომ მასწავლებლებისთვის უნდა შეიქმნას მეთოდური სახელმძღვანელოები, სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს განუვითარებს ლექსიკონის გამოყენების უნარ-ჩვევებს. სავარჯიშოების ციკლის შემუშავების პარალელურად საჭიროა მათი ეფექტურობის მუდმივი ტესტვა საკლასო მეცადინეობის დროს და მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ამ სასწავლო მასალის მუდმივი დახვეწა. ამ ამოცანის ეფექტურად გადაჭრისათვის საჭიროა საინიციატივო ჯგუფის შექმნა მოხალისე მასწავლებლებისგან, რომლებიც ითანამშრომლებენ ლექსიკოგრაფებთან და მონაწილეობას მიიღებენ როგორც სავარჯიშოების შემუშავებაში, ისე მათ ტესტვაში უცხოური ენების გაკვეთილებზე და უკუკავშირს მიაწოდებენ მკვლევარების ჯგუფს. საჭირო იქნება გაკვეთილების დეტალური გეგმების შედგენა პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის მოდულის განხორციელებისათვის, რომელშიც შევა წინარე ტექსტები, სავარჯიშოები და მომდევნო ტესტები. მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რაც ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით დანერგვას სკოლებში. კვლევამ ასევე დაგვანახა სპეციალური სალექციო

კურსისა და ტრენინგ-კურსის შექმნის საჭიროება მასწავლებლებისათვის თანამედროვე ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობაზე, უცხოური ენების სწავლების პროცესში ლექსიკონების, განსაკუთრებით ორენოვანი ლექსიკონების, გამოყენების აუცილებლობაზე, ლექსიკონის გამოყენების კულტურის დაკარგვის უარყოფით შედეგებზე და სხვა.

ბიბლიოგრაფია

წყაროები და დოკუმენტური მასალები

1. Johnson, S. 1755. A Dictionary of the English Language. London: Printed by W. Strahan.
2. CEGOD, The Comprehensive English-Georgian Online Dictionary (ed. T. Margalitadze). 2010. The Lexicographic Centre: Tbilisi State University.

სამეცნიერო ლიტერატურა

3. Adamska, A. 2010. Examining Equivalence. *International Journal of Lexicography*, 23(4), 387–409.
4. Atkins, B.T.S. 1998. *Using Dictionaries: Studies of Dictionary Use by Language Learners and Translators*. Tübingen: Niemeyer.
5. Barnhart, C. 1962. Problems in editing commercial monolingual dictionaries. In F.W. Householder and S. Saporta (Eds.), *Problems in Lexicography*. Bloomington: Indiana University Press.
6. Béjoint, H., & Moulin, A. 1987. The place of the dictionary in an EFL programme. In A.P. Cowie (Ed.), *The Dictionary and the Language Learner*. Tübingen: Niemeyer.
7. Chen, Y. 2007. A survey of English Dictionary Use by English Majors at Chinese Universities. *Lexicography Studies*, 2, 120–130.
8. Cohen, L., Manion, L., & Morrison, K. 2007. *Research Methods in Education*. London & New York: Routledge.
9. Creese, S., McGillivray, B., Nesi, H., Rundell, M. & Sule, K. 2018. Everything You Always Wanted to Know about Dictionaries (But Were Afraid to Ask): A MOOC. In Čibej et al. (Eds.), *EURALEX 2018 Proceedings*, Ljubljana: University Press.
10. Farina, D. M. T. Cr., Vrbinc, M., & Vrbinc, A. 2019. Problems in Online Dictionary Use... *International Journal of Lexicography*, 32(4), 458–479. <https://doi.org/10.1093/ijl/ecz017>
11. Gavriilidou, Z. & Konstantinidou, E. 2021. The Design of an Intervention Program... In Gavriilidou et al. (Eds.), *EURALEX 2021 Proceedings*, 735–745. Komotini: Democritus University.
12. Gouws, R. 2022. Dictionaries: Bridges, Dykes, Sluice Gates. In Klosa-Kückelhaus et al. (Eds.), *EURALEX 2022 Proceedings*, 36–52. Mannheim: IDS-Verlag.

13. Greenbaum, S., Meyer, C.F. & Taylor, J. 1984. The image of the dictionary for American college students. *Dictionaries*, 6, 31–52.
14. Hatherall, G. 1984. Studying dictionary use: Some findings and proposals. In Hartmann (Ed.), 183–189.
15. Kavaliauskas, V. 2012. Academic Dictionary of the Lithuanian Language... Proceedings of the II Batumi Symposium. Tbilisi: Meridian.
16. Kosem, I., Lew, R., Müller-Spitzer, C., Ribeiro, S.M. & Wolfer, S. 2018. The image of the monolingual dictionary across Europe. *International Journal of Lexicography*, 32(1), 92–114.
17. Labov, W. 1972. *Some Principles of Linguistic Methodology*. Language in Society. Cambridge University Press.
18. Laufer, B., & Hadar, L. 1997. Assessing the effectiveness of monolingual, bilingual... *The Modern Language Journal*, 81(2), 189–196.
19. Leaney, C. 2007. *Dictionary Activities*. Cambridge: Cambridge University Press.
20. Levy, M. & Steel, C. 2015. Language learner perspectives on the functionality... *ReCALL*, 27(2), 177–196. <https://doi.org/10.1017/S095834401400038X>
21. Lew, R. 2002. Questionnaires in Dictionary Use Research. *EURALEX 2002 Proceedings*, Copenhagen.
22. Lew, R. 2011. Studies in Dictionary Use: Recent Developments. *International Journal of Lexicography*, 24(1), 1–4.
23. Marchisio, M. et al. 2019. Adapting STEM Automated Assessment System... *eLearning Conference Proceedings*, 403–410.
24. Mareello, C. 2012. Reference Skills: From Paper to Online Dictionaries. *Batumi Symposium Proceedings*. Tbilisi: Meridian.
25. Margalitadze, T. & Meladze, G. 2016. Importance of Partial Equivalence... *EURALEX 2016 Proceedings*, 787–797. <http://euralex.org>
26. Margalitadze, T. 2018. Once Again Why Lexicography is Science. *Lexikos*, 28. <https://doi.org/10.5788/28-1-1464>

27. Margalitadze, T. 2020. Language and Ecology of Culture. *Lexicographica*, 36, 225–240.
<https://doi.org/10.1515/lex-2020-0012>
28. Margalitadze, T. & Meladze, G. 2023. How to Solve Problems in Dictionary Use. *Lexikos*, 33(2). <https://doi.org/10.5788/33-2-1840>
29. Margalitadze, T. & Márkus, K. P. 2024. Cross-Border Collaboration... EURALEX 2024 Proceedings.
30. Mitchell, E. 1983. Search-do reading: Difficulties in using a dictionary. Aberdeen: College of Education.
31. Müller-Spitzer, C., Koplenig, A. & Töpel, A. 2012. Online Dictionary Use. In Granger & Paquot (Eds.), *Electronic Lexicography*, 425–457. Oxford: OUP.
32. Nesi, H. 1996. The role of illustrative examples... *Dictionaries*, 17, 198–206.
33. Nied Curcio, M. 2022. Dictionaries, Foreign Language Learners and Teachers... In Klosa-Kückelhaus et al. (Eds.), *EURALEX 2022 Proceedings*, 71–84.
34. P. Márkus, K. 2022. *Teaching Dictionary Skills*. Budapest: L'Harmattan.
35. P. Márkus, K., Fajt, B. & Dringó-Horváth, I. 2023. Dictionary skills in teaching... *International Journal of Lexicography*, 36(2), 173–194. <https://doi.org/10.1093/ijl/ecad004>
36. Quirk, R. 1973. The social impact of dictionaries in the U.K. In McDavid & Duckert (Eds.), *Lexicography in English*. New York: NY Academy of Sciences.
37. Rundell, M. 1999. Recent Trends in Publishing Monolingual Learners' Dictionaries. In Hartmann (Ed.), *European Language Council*, 83–98.
38. Tomaszczyk, J. 1979. Dictionaries: Users and uses. *Glottodidactica*, 12, 103–119.
39. Tono, Y. 1984. On the Dictionary User's Reference Skills. PhD thesis. Tokyo: Gakugei University.
40. Vardidze, T. 2020. The Impact of Teaching English Polysemy... *Journal of Education in the Black Sea Region*, 5. <https://jebs.ibsu.edu.ge/jms/index.php/jebs/article/view/205>
41. Wiegand, H.E. 1984. On the Structure and Contents of a General Theory of Lexicography. In Hartmann (Ed.), *LEXeter '83 Proceedings*, 3–12. Tübingen: Niemeyer.
42. Wingate, U. 2002. *The Effectiveness of Different Learner Dictionaries*. Tübingen: Niemeyer.

43. კაპანაძე, ა. 2017. განმარტებითი, ორენოვანი და კომბინირებული ტიპის ლექსიკონების ეფექტიანობის კვლევა ინგლისური ენის ქართულ შემსწავლელელებში. სადოქტორო ნაშრომი. თსუ.

44. ბათუმის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. 2012. თბილისი: მერიდიანი.